975
2000

# ბურჯი ეროვნებისა



2000

1–2

# ფიქრები ათასწლეულის კარიბჭესთან

მესამე ათასწლეულის კარიბჭესთან ვდგავართ.
მეორე ათასწლეულის უკანასკნელი წელი იკრეფს ძალას.

მესამე ათასწლეულის კარიბჭესთან ვდგავართ და იმედით გავყურებთ მომავალს...

ცოტაც და ისტორიას ჩაბარდება მეორე ათასწლეული; ათასწლეული, რომელიც საქართველოს გამთლიანებით, გაძლიერებით, აღმასვლით დაიწყო...

დიდი დავით აღმაშენებელი მოევლინა საქართველოს ათასწლეულის დასაწყისში - ყველა დროის ყველაზე დიდი ქართველი!...

ყველა დროის ყველაზე დიდი ქართველი - ასეთი შეფასება ილია ჭავჭავაძესაც მიეცა. ილია ჭავჭავაძეს, რომელიც ათასწლეულის დასასრულს მოევლინა საქართველოს და თითქმის საუკუნენახევარი განსაზღვრავს ქართული ეროვნული სულის განვითარებას, ასაზრდოებს, კვებავს მას!...

დავით აღმაშენებელი და ილია ჭავჭავაძე - ყველა დროის ყველაზე დიდი ქართველები; დასაწყისი და დასასრული II ათასწლეულისა.

დიდი ილია სენეკას სიტყვებს მოიშველიებდა, როცა დავით აღმაშენებელზე ფიქრობდა: „ჩვენთვის, ადამიანებისათვის, საჭიროა იმისთანა კაცი, რომ მის მიხედვითი და მისი მაგალითით შევიძლოთ საკუთარი ხასიათის გაწვრთნა და განმტკიცება. ოჰ, რა ბედნიერია იგი, ვინც არამც თუ ჩვენთან ყოფნით გვწვრთნის ჩვენ, არამედ მარტო თავისი სახელის ხსენებითაცო". ასეთ კაცად დავით აღმაშენებელი ეგულებოდა ილია ჭავჭავაძეს... ასეთ კაცად ილია გვეგულება ჩვენ, რა თქმა უნდა, დავით აღმაშენებელთან ერთად: თავი და ბოლო მეორე ათასწლეულისა!...

მნიშვნელოვან ფაქტად გვესახება:

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲗᲐᲡᲬᲚᲔᲣᲚᲘ ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებითა და დამკვიდრებით დაიწყო;

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲐᲗᲐᲡᲬᲚᲔᲣᲚᲘ - ქვეყნის გაერთიანებითა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურული თუ ეკონომიკური აღმასვლით;

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲐᲗᲐᲡᲬᲚᲔᲣᲚᲡ - ამ კანონზომიერებიდან გამომდინარე - იმედის თვალით შევყურებთ: ილიას გზის გაგრძელებას, ილიას იდეების აღორძინებას ველით!...

მესამე ათასწლეულისკენ მიმავალ გზაზე ილია ჭავჭავაძე გვამხნევებს და შეგვახსენებს: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება". შეგვახსენებს და გვეკითხება: „თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?..."

ამ შეკითხვის პასუხად ჩვენი მზადყოფნა უნდა დავანახოთ; მზადყოფნა მამულისათვის, ენისა და სარწმუნოებისათვის თავდადებისა!...

დავით აღმაშენებლისა და ილია ჭავჭავაძის საქართველოს გაბრწყინებას ველოდებით მესამე ათასწლეულში!...

975
2000

# შინაარსი

**ქართული უნივერსიტეტი 82 წლისაა** ........ 2

**ეს პრობლემაა**

**ლ. ღვინჯილია** - ჭე-კლასიდან შეპესემდე ........ 3

**უკვდავება ღვაწლისა**

**ა. არაბული** - ნიკოლოზ ჯანელიძე - ემიგრანტის ცხოვრების ფურცლები ........ 4

**აკაკის საიუბილეოდ**

**შ. ბარამიძე** - სტუდენტთა საიუბილეო ადრესები ........ 6

**მეცნიერის არქივიდან**

ქეთევან ლომთათიძის წერილი სიმონ ჯანაშიასადმი ........ 9

გიორგი ლომთათიძის ჩანაწერებიდან ........ 11

**ჩვენი სკოლა**

**გ. გოგოლაშვილი** - კვლავ პროგრამები, მიხეილ ჯავახიშვილი და სხვა... ........ 10

**ადიდებს სული ჩემი უფალსა**

ზიარებისა და აღსარებისათვის ........ 15

**სიტყვა ქართული**

**ნ. ჭახნაკია** - მეკვლე ........ 17

**ჩვენი ენა ქართული**

სწორია:... ........ 19

**თვალსაზრისი**

**ო. გვეტაძე** - „მაშინ არ ავად ვიყვენით“ ........ 20

**ჯანრი კაშია** - ქართული ხასიათისათვის ........ 23

**ვ. ხორნაული** - ამბავი კაი ყმებისა ........ 26

**პოლემიკა**

**გ. გოგოლაშვილი** - ენათმეცნიერის ასტრონომიული „დაკვირვებანი,“ ანუ კომენტარი ასტრონომის ენათმეცნიერულ „ნააზრევზე“ ........ 28

**შ. საბაშვილი** - მთავარი ხომ ჭეშმარიტებაა!? ........ 29

**გ. გოგოლაშვილი** - რას მოგვიტანს არაპროფესიონალიზმი და დილეტანტიზმი? ........ 29

**კონტაქტები**

სამეცნიერო კონფერენცია გერმანიაში ........ 31

**ეტლთათვის**

თხის რქაჲ ........ 32

წყლის საქანელი ........ 33

**ინფორმაცია** ........ 34

**ო, ენავ ჩემო!...**

**მ. ბურდიაშვილი** - „ჩვენ ვინა და კალამი ვინა“ ........ 36

**მოვუსმინოთ პატარებს** ........ 36

*გარეკანის მე-3 გვ. - ლინგვისტური პარადოქსები*

*გარეკანის მე-4 გვ. - ზამთარი თბილისში - ე. ახვლედიანის ნახატი*

21684

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბურჯი ეროვნებისა

BURJI EROVNEBISA

№1-2 (26)

2000

956



უმთავრესი ბურჯი ეროვნებისა გახლავთ სამშობლო ენა.

**იაკობი**

გამოდის თვეში ერთხელ

ფასი 1 ლარი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული უნივერსიტეტი 82 წლისაა

**82 წლის წინათ, 1918 წლის 26 იანვარს (ძვ. სტ.), დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი.**



საკენ. ამასთანავე, მოვიგონოთ იქ ჩვენი ძველნი მეცნიერები საუკუნო ხსენებით, ხოლო კანდელის ამნთებელ გმირს ივანეს ერთობლივ და გულმხურვალედ შემოვძახოთ ჩვენებური ქართველური ვაშა! გამარჯვება მარად და მარად!

მოსე ჯანაშვილი

*გაზეთი „საქართველო", 1918 წ. 23 იანვარი*



* * *

ახლა გულის წადილი... ამწვანდება ეროვნული მეცნიერების ნიადაგი... **ივანე ჯავახიშვილმა** იკისრა ყველაზე დიდი ტვირთი - გუთნისდედობა თვით ქართლურ მძიმე ღრმად მხვნელი გუთნისა!..

ჯავახიშვილის მხნეობამ ყოველივე დაბრკოლება დასძლია და ახალი ლამპარი აგვინთო, ქართული გიმნაზიის შენობა გვიქცია ეროვნული დიდების ტაძრად, მისი პირველი უნივერსიტეტის სავანედ...

მივიდეთ ვაკეზე. იქ ჯავახიშვილმა აგვინთო სხივოსანი მზიანი კანდელი, რომელიც ამიერიდან შუქურ-ვარსკვლავივით გაგვინათებს გზა-კვალს სავალად გმირულ და შზიან ნაბიჯით წინ, წინ ადამიანური მარადისობი-

* * *

*ფრაგმენტი უნივერსიტეტის პირველი რექტორის, საქვეყნოდ ცნობილი ქიმიკოსის, პროფესორ პეტრე მელიქიშვილის სიტყვიდან:*

სასტიკ, არსებობისთვის საშიშ დროსაც, როგორც ცალკეული პირები, ისე მთელი ხალხი ესწრაფვის ინტენსიურ მოღვაწეობას, განსაკუთრებით სულიერ სფეროში... და ჩვენც დღეს განვიცდით მძიმე წუთებს, ჩვენს არსებობას საფრთხე ემუქრება. ამისდა მიუხედავად, ჩვენ გვაქვს მოთხოვნილება შემოქმედებისა და აღმშენებლობის. ჩვენ, ქართველები, მცირე ხალხი ვართ, ჩვენ არ ვთამამდებით, შევადაროთ საკუთარი თავი დიდ ხალხებს, ჩვენი სწრაფვაც ასევე მოკრძალებულია. ჩვენ გვსურს იმ ენაზე, რომელზედაც პირველად გავიგონეთ დედის ალერსი და პირველად ავლაპარაკდით, მოვისმინოთ მეცნიერული ჭეშმარიტებანი და ის ჰუმანიტარული პრინციპები, რომლებიც ნამდვილი კულტურის საფუძვლებია.

ჩვენ ვაფუძნებთ ქართულ უნივერსიტეტს იმისთვის, რომ საშუალება მივცეთ ჩვენს ხალხს მშობლიურ ენაზე გაეცნოს და



აითვისოს მეცნიერული ჭეშმარიტების საწყისები და აგრეთვე საშუალება მივცეთ ჩვენს მეცნიერულ ძალებს, შეისწავლონ ჩვენი სამშობლო - საქართველო და კავკასია...

*ჩვენი ჟურნალის 1999 წლის X-XI ნომერში წამოვიწყეთ დისკუსია დღეს ქართული ენის ერთ-ერთ პრობლემურ საკითხზე - აბრევიატურებზე. პირველი ბატონი ლევან ღვინჯილია გამოგვეხმაურა. არის სხვა გამოხმაურებანიც, რომელთაც მომდევნო ნომრებში შემოგთავაზებთ.*

# ჭე-კლასიდან შეპესემდე

აბრევიატურების პრობლემა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის რთულ და ძნელად მოსაგვარებელ საკითხთა წყებას განეკუთვნება. ამდენად, სავსებით გასაგები და საფუძვლიანია სპეციალისტთა შეშფოთება, გამოწვეული ამ სფეროში არსებული უწესრიგობითა და განუკითხაობით. სამწუხაროდ, აბრევიატურების ხმარებაში არსებული ქაოსი დღითი დღე უფრო და უფრო მასშტაბური ხდება და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ყოველგვარი მცდელობა მოძალებული სიჭრელის თავიდან აცილებისა შესაძლოა უშედეგოც კი იყოს.

არსებული რეალობის შეფასება შედარებით ადვილია. ცხადია, გაცილებით უფრო ძნელია შექმნილი ვითარებიდან თავის დასაღწევად აუცილებელი რეკომენდაციების შემუშავება და დანერგვა.

ხსენებული პრობლემის მეცნიერული ანალიზისა და მისგან გამომდინარე პრაქტიკული წინადადებების თვალსაზრისით საგულისხმოა პროფ. **გიორგი წიბახაშვილის** წერილი **„აბრევიატურების ადგილი ქართულში“**, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „ბურჯი ეროვნებისას“ გასული წლის მე-10-11 ნომერში.

დაინტერესებული მკითხველი წერილს თავადაც გაეცნობა და ამდენად მის შინაარსზე ვრცლად აღარ შევჩერდებით. ის ფაქტი მისასალმებელია უთუოდ, რომ წერილის ავტორი, გარდა არსებული ვითარების საფუძვლიანი ანალიზისა, გარკვეულ რეკომენდაციებსაც გვთავაზობს.

კერძოდ, ბატონი გიორგის აზრით, შესაძლებელია ე.წ. „ყრუ“ აბრევიატურების (**შპს, დღგ**...) „გახიტყვება“ ლათინური მოდელის მიხედვით (**ბე, ვე, გე, დე, კა** და სხვა). „ოღონდაც ნორმის დონეზე უნდა დადგინდეს, რა ხმოვანი უნდა შეეხამოს თანხმოვანს და რა თანმიმდევრობით (**დე** თუ **ედ**, **კა** თუ **ქა** და ა.შ.). ანგარიში უნდა გაეწიოს უკვე დამკვიდრებულ პრაქტიკასაც (ედეპე, ცეესკა, დეღეგე, შეპესე და სხვები)“.

ავტორის მიერ შემოთავაზებული რეკომენდაცია არსებითად ქართულ აბრევიატურებს ეხება და მისი გაზიარება თავისთავად გულისხმობს ქართული ასონიშნების ლათინურად გახმოვანების წესის შემოღებას, რაც, ჩვენი აზრით, სერიოზულ დაფიქრებას საჭიროებს.

იყო დრო, როდესაც გარკვეულ ირონიულ კონტექსტში ფეხბურთის ამა თუ იმ გუნდს ზეპირ მეტყველებაში „ჭე კლასის“ გუნდად მოვიხსენიებდით. რას ვიფიქრებდით, თუ ამგვარი წახუმრებები სერიოზულ თავსატეხად გვექცეოდა.

წერილის ავტორი დამკვიდრებული პრაქტიკის გათვალისწინების მიზანშეწონილობასაც შეგვახსენებს.

აქვე იმასაც უნდა მიექცეს ყურადღება, რომ ანალოგიური მაგალითების რაოდენობა სულ თითებზე ჩამოსათვლელია, ანუ „მეტასტაზები“ ჯერ კიდევ არ არის მთლად უწუგეში.

იქნებ საკითხი ასე დაისვას: **შეპესე, დეღეგე** და მისთანანი მავანთა უწიგნურობის შედეგია თუ მოძალებული ტენდენციის კანონზომიერი გამოვლინება?

ანალოგიური მოდით შექმნილი აბრევიატურები ქართულში სხვაც გვაქვს (**შსს**-შინაგან საქმეთა სამინისტრო, **აშშ**-ამერიკის შეერთებული შტატები და მისთანანი), მაგრამ დღემდე არავის უთქვამს „შესესე“ ან „აშეშე“...

თუკი „ყრუ“ აბრევიატურის „გახიტყვების“ გზას დავადგებით, რაც სავსებით რეალურად მეჩვენება, მაშინ იქნებ უმჯობესი იყოს ქართულში უკვე არსებული მოდელის ანალოგის დამკვიდრება, როგორიცაა, მაგალითად თუმქა - თბილისის ელმავალმშენებელი ქარხანა.

ამავე წესით ეგების უმჯობესი იყოს (იქნებ არც ახლაა დაგვიანებული) დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას შემოკლებით **„დასთა“** მოვუხადაგოთ და არა „დესეთე“ ან „დეესთე“. „ცენტრალური საარჩევნო კომისია“ იყოს - **ცესკო** (ან ცესკომი) და არა ცეესკა.

ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ჩავწერთ ე.წ. „ყრუ“ აბრევიატურას (დღგ, შპს, შსს...) წესად დავამკვიდროთ მისი წარმოთქმა (წაკითხვა) სრულად.

მართალია, უცხოელები **შპს-ს** „გახიტყვებული“ აბრევიატურის სახით წარმოთქვამენ (ელტელე), მაგრამ რუსულში იმავე ტიპის კერძო სამართლის სუბიექტს (Общество Ограниченной Ответственностью) არავინ გაახმოვანებს ასე - ოოო, თუმცაღა წერით კი წერენ - ООО.

უცხოური აბრევიატურების ქართულად დაწერის საკითხი ასე თუ ისე მოგვარებადი ჩანს („ბიბისი“, „სიენენი“, „ბისეკი“, „ნატო“...), იკვეთება ტენდენცია აბრევიატურების გაქართულებისაც: **გაერო, ეუთო, სუუამი** (შდრ. რუს. ГУУАМ)...

უეჭველად გასაზიარებელია პროფ. გ. წიბახაშვილის წინადადება, რომ საჭიროა შესაბამისი ნორმატიული რეკომენდაციის შემუშავება და მიღებული გადაწყვეტილების სავალდებულო ნორმად ქცევა, რისი პრაქტიკული მექანიზმი, საბედნიეროდ, სახელმწიფოში არსებობს იმ კომისიის სახით, რომელსაც სათავეში უდგას ქვეყნის პრეზიდენტი.

დღიდან მნიშვნელოვანი იქნებოდა **შესაბამის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა** თვალსაზრისის გაცნობაც.

ლევან ღვინჯილია

# ნიკოლოზ ჯანელიძე - ემიგრანტის ცხოვრების ფურცლები

1993 წლის გაზაფხულზე გაზეთ „დროში“ გამოქვეყნდა გამოჩენილი გერმანელი ქართველოლოგის, ქალაქ ოლდენბურგის უნივერსიტეტის პროფესორის ვინფრიდ ბოედერის გულთბილი მოსაგონარი, მიძღვნილი უცხოეთში აღსრულებული კიდევ ერთი ღვაწლმოსილი ქართველისადმი - ნიკოლოზ ჯანელიძისადმი. მკვლევარი მწუხარებით გვამცნობდა, რომ 1993 წლის 31 მარტს ქალაქ იცეჰოეში 72 წლის ასაკში გარდაიცვალა ბედუკუღმართობის გამო სამშობლოსაგან მოწყვეტილი ჭეშმარიტი მამულიშვილი, ვისაც, მიუხედავად იძულებითი ემიგრანტობისა, ერთი დღეც არ უცხოვრია სამშობლოს გარეშე და სიცოცხლის ბოლო წუთებშიც, როგორც ბატონი ვინფრიდი წერდა, „დღევანდელი საქართველოს წინაშე მდგარი დიდი პრობლემები მისი წუხილის საგანი გახლდათ“!

სამწუხაროდ, სამოქალაქო ომის ტკივილებით გათანგულ სამშობლოში ბევრს არ გაუგონია გერმანელი მეგობრების მიერ საქართველოსათვის ნათქვამი სამძიმარი.

პროფ. ვინფრიდ ბოედერის აღნიშნული გამოხათხოვარი წერილისა არ იყოს, ისიც ნიშანდობლივია, რომ ასეთ უცხოელ კოლეგებს დაუფასებიათ ქართველი მოღვაწის უსაზღვრო მამულიშვილური სიყვარული და ქვეყნის ინტერესებისათვის მისი დაუღალავი შრომა და ღვაწლი 1983 წელს ალბერტ შვაიცერის სახელობის მშვიდობის მედლით აღუნიშნავთ.

ნიკოლოზ ჯანელიძეს მართლაც გადამდები სიყვარულით ჰყვარებია მშობლიური ენა და სულიერი კულტურა და ამ ღვთივბოძებული ნიჭით მან უცხოეთში არაერთი მოყვასი შესძინა საქართველოს. სხვას რომ თავი დავანებოთ, მის დამსახურებად ისიც იკმარებდა, პროფ. ვინფრიდ ბოედერს, ძირითადი პროფესიით ანგლოლოგს, ასე რომ შთააგონა ქართული ენობრივი სამყაროსადმი ინტერესი, თავისი წვლილი რომ შეიტანა ამ შესანიშნავი ქართველოლოგის „გადმობირებაში“.

სიცოცხლის უკანასკნელ ჟამს ვ. ბოედერს „მასწავლებლისათვის“ მოგონებების დაწერა უთხოვია. როგორც ჩანს, ნიკოლოზ ჯანელიძეს არც დრო ეყო და არც ძალა მემუარების დასასრულებლად, მაგრამ მისი ჩანაწერები ფრაგმენტულად მაინც გვიცოცხლებს ქართველი ემიგრანტის ტრაგიკული ბიოგრაფიის საინტერესო ფურცლებს.

როგორ აღმოჩნდა ემიგრაციაში ნიკოლოზ ჯანელიძე?

ნ. ჯანელიძე 1921 წელს დაბადებულა სამტრედიაში. 1941 წელს დაუმთავრებია გორის პედაგოგიური ინსტიტუტი და მუშაობა დაუწყია მშობლიურ ქალაქში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. მაგრამ მალე იგი ფრონტზე გაიწვიეს და 1942 წელს ქერჩთან ტყვედ ჩავარდა. ამ დროიდან დაუკავშირდა გერმანიას ნ. ჯანელიძის ცხოვრება და თავის მოგონებებსაც იგი სწორედ პირველი გერმანული შთაბეჭდილებებით იწყებს. ცხოვრების უფრო ადრინდელი პერიოდის (ჭაბუკობის, სწავლის, ომის) გახსენებას იგი გვერდს უვლის. ეგებ იმიტომ, რომ ამის შემკვეთი და „ადრესატი“ გერმანელი პიროვნებაა (ერთგან ხომ პირდაპირ მიაწერს: „დღეს ეს მოვიგონე თქვენთვის, ჩემო კარგო ბატონო ვინფრიდ!“), ანდა სულაც იმ მიზეზით, რომ მისთვის მოგონებები სწორედ განუკურნებელ ნოსტალგიასთან არის დაკავშირებული?!

ნ. ჯანელიძე, როგორც სამხედრო ტყვე, თავდაპირველად ერთი გლეხის ოჯახისათვის მიუმაგრებიათ. იგი ბუნებით მიწის მოყვარული კაცი ჩანს და ეს ამბავი სასიხარულოდ დარჩენია, მით უმეტეს, რომ მიზნად დაუსახავს გერმანული ენისა და გერმანელთა ცხოვრების ღრმად შესწავლა: „მეც მინდა გავიგო, თუ როგორ ცხოვრობს გერმანელი გლეხი, როგორ ამუშავებს ის თავის მიწას, როგორ უვლის და როგორ შემოაქვს ჭირნახული შემოდგომაზე სახლში“.

განცდით გადმოგვცემს ნ. ჯანელიძე იმ მომენტს, როდესაც ტყვეებიდან აარჩია და სახლში წაიყვანა ერთმა ხნიერმა გერმანელმა ქალმა. ამ პატარა „კეთილი გლეხის ოჯახში“ ნიკოლოზმა 9 თვე დაყო და იგი მართლაც დიდი სითბოთი იგონებს აქ გატარებულ დროს და მისადმი, როგორც ქართველისადმი, განსაკუთრებულ დამოკიდებულებას.

ერთხელაც ამ ოჯახს ერთი ქართველი ემიგრანტი სწვევია და ნ. ჯანელიძისათვის შეუთავაზებია, - ხომ არ ისურვებ, ვატიკანში წამოხვიდე და თეოლოგიის სტუდენტი გახდეო? როგორც აღმოჩნდა, მიხეილ თარხნიშვილის ინიციატივით განზრახული ყოფილა 6 ახალგაზრდა ქართველის მომზადება სასულიერო მოღვაწეობისათვის. აშკარაა ამ განზრახვის კეთილშობილება ორივე თვალსაზრისით: პირველი - ტყვეების ქვეყნისათვის სასარგებლო საქმეში ჩაბმა და, მეორეც - კიდევ ერთი ქართული მონასტრის დაარსება.

რომში ჩასულ ახალგაზრდებს პირველად შეხვედრია ქართველი კათოლიკე ვასო სათადერაშვილი, რომელმაც ისინი ცნობილ ქართველ მოღვაწეს - პატრ მიხეილ თარხნიშვილს - წარუდგინა. აი, როგორ აღწერს ამ მომენტს ნ. ჯანელიძე: „მამა მიხეილი ჩაგვიკრა ჩვენ შუაში. იცანის სახით, პირით, თვალებით და სულით! გახარებული არის, ამდენი ახალი ქართველი რომ ჰყავს მოწაფედ“.

სამწუხაროდ, მიხეილ თარხნიშვილის ეს იმედი და სიხარული არ გამართლდა: სამი ახალგაზრდა ქართველი მაშინვე უკან გაბრუნდა გერმანიაში. თვით ნიკოლოზი ერთხანს დარჩა ვატიკანში, ე.წ. რუსიკუმში (აქ ღვთისმსახურება და ურთიერთობები ძირითადად რუსულ ენაზე მიმდინარეობდა). ნ. ჯანელიძეს მიხეილ თარხნიშვილმა ქართული ენის მასწავლებლობაც კი შესთავაზა, როცა მისი განათლების შესახებ შეიტყო.

როგორც ჩანს, ვატიკანში ჩაყვანილი ახალგაზრდების უმეტესობა სასულიერო მოღვაწეობისათვის მოწოდებული არ აღმოჩნდა. თანაც, მათ მოქმედებაში აშკარად მჟღავნდება ტყვედნამყოფი ახალგაზრდების ეჭვი და სიფრთხილე. საბოლოოდ კი ყველაფერი გადაწყვიტა მ. თარხნიშვილთან ერთად კარდინალთან შეხვედრის პერსპექტივამ. როცა ქართველი ახალგაზრდები მარტოდ დარჩნენ, სიფრთხილე ერთ-ერთ მათგანს ასე გამოუხატავს: „რა გვინდა ჩვენ ახლა კარდინალთან? ამაზე ალბათ აქ გაზეთები დაწერენ და ქვეყნიერება გაიგებს და ვინ იცის, რა დაემართება ჩვენს მშობლებს საქართველოში?!"

ნ. ჯანელიძე შემდეგ დიდად ნანობს, ეს შესაძლებლობა ხელიდან რომ გაუშვა და პატივსაცემ, მზრუნველ პიროვნებასაც სურვილი ვერ შეუსრულა, მაგრამ იმ დროს ისიც მეგობრების აზრს დაჰყოლია. ადვილად ვერც გავამტყუნებთ, ვინაიდან სრულიად გასაგებია მათი შიში საბჭოური „მანქანის" მოსალოდნელი რეაქციის გამო; თანაც, ქართველ ახალგაზრდებს ხომ ჯერ კიდევ არ გადაუწურავთ სამშობლოში დაბრუნების იმედი!

ერთ დღესაც მამა მიხეილმა ახალგაზრდები ქალაქგარეთ, ომისაგან დანგრეულ კატაკომბებში წაიყვანა და აჩვენა ერთი ქვითკირის სახლი, რომელიც მომავალ ქართულ მონასტრად ყოფილა გათვალისწინებული. ამ განმარტოებულ ადგილას ბერობის პერსპექტივამ მეგობრებს კვლავ საფიქრალი აუშალა. ნ. ჯანელიძე წერს: „მე და ჟორამ (არსენიძემ) გადავწყვიტეთ გერმანიაში დაბრუნება. გაიოზმა გადაწყვიტა რომში დარჩენა". თვით ნიკოლოზს მეტად უორჭოფია ამ გადაწყვეტილების მიღებამდე და მეგობრებისთვისაც გაუმხელია: „მე ორივე მინდა, აქაც ვიყო და გერმანიაშიც, მანამ სანამ საქართველოში ჩასვლის დრო მოაღწევსო".

პატრი მიხეილისთვის ამ გადაწყვეტილების გამხელა ჟორა არსენიძემ იკისრა. მან მეგობრებს უთხრა: „მე ვარ ფიზიკური მშრომელი კაცი საქართველოშიც და გერმანიაშიც. მე ვერ მაკმაყოფილებს რუსიკუმში ცხოვრება. მე მსურს ისევ გერმანიაში გლეხთან ვიმუშაო; ჩვენ ქართველ ბიჭებთან მისვლა-მოსვლა, მათთან საუბარი, მათთან ღვინის სმა, სიმღერა და ჩხუბიც კიო".

ცხადია, ბიჭებს, განსაკუთრებით კი ნ. ჯანელიძეს, ემძიმებოდათ მამა მიხეილისათვის იმედების გაცრუება



და ქართული მონასტრის დაარსების გეგმის ჩაშლა. მაგრამ პატრი ძველებური გულითადობით შეხვედრია მათ და „ჯავრი და სირცხვილი შეუმსუბუქებია": „რას ვიზამ, ძალით ხომ არ გაგაჩერებთ... მე გერმანია ისე მიყვარს, როგორც საქართველო; მე გერმანიაში ვიყავი სტუდენტიო".

ახალგაზრდები გაჭირვებით დაბრუნდნენ გერმანიაში. ჟორა არსენიძე მიუნხენში დარჩენილა გოგი მაღალაშვილის მამულში. ნ. ჯანელიძე კი ბერლინში დაბრუნებულა აკაკი გამსახურდიასთან, ვინც მას თურმე რომში გამგზავრებაში ეხმარებოდა, და მისგან მკაცრი საყვედურებიც მიუღია.

ომი დამთავრდა. ნ. ჯანელიძე იცეჰოეში დასახლდა და, ვინაიდან, როგორც ჩანს, დაბრუნების იმედი თანდათან განელდა, აქ დაიწყო აქტიური მოღვაწეობა. მან პირველ რიგში მ. თარხნიშვილთან განაახლა მიწერ-მოწერა და მასთან კავშირი აღარც შეუწყვეტია. იგი ამ ურთიერთობის მოგონების დროს კიდევ ერთხელ აღნიშნავს: „მამა მიხეილი გულზე ატარებდა ქართულ ჯვარს, გულში კი საქართველოს კულტურის სიყვარულსო!"

1951 წ. ნ. ჯანელიძე ჰამბურგის უნივერსიტეტში შესულა სოფლის მეურნეობის ფაკულტეტზე. თუმცა ჯანმრთელობის მდგომარეობას არ მიუცია მისთვის შესაძლებლობა, რომ სწავლა დაესრულებინა.

როგორც ვხედავთ, ნ. ჯანელიძის ცხოვრების გზა არ ყოფილა იავარდით მოფენილი და არც მის ბიოგრაფიას ეთქმის „სანიმუშო", მაგრამ ქართველ ემიგრანტთა რთული ბედისა და თავგადასავლის გასათვალისწინებლად კი ძალზე საყურადღებოა. თუმცა უსამშობლოდ დარჩენილი კაცის ცხოვრება ისე არ აეწყო, როგორც მის პიროვნებას შეეფერებოდა, მაგრამ ნ. ჯანელიძეს ერთი დღეც არ უცხოვრია სამშობლოზე ფიქრისა და მისთვის სასარგებლო საქმის კეთების გარეშე. საკუთარი გადამდები ენთუზიაზმითა და ენერგიით იგი ყველა შესაძლებელ და ზოგჯერ შეუძლებელ გზასაც მიმართავდა, რათა მშობელი ქვეყნის სახელი ევროპელი ხალხისათვის გაეცნო. იგი მუდმივად საქართველოთი სულდგმულობდა. მოგონებებშიც აშკარად ჩანს, რომ მის თვალსა და გულს ყველაფერი საქართველოს აგონებდა - ბუნებაც, სიმღერაც, ნახატიც, ადამიანებშიც ამას ეძებდა. თავის მოგონებებში ვ. ბოედერის მისამართით წერს: „ამ დილით თქვენი ხმის გაგონებამ ქართული სიტყვებით და ქართული გამოთქმებით ძალიან გამახარა! მართალია ის გერმანელი ემიგრანტი, რომელიც ამერიკაში იყო ომის დროს გადახვეწილი და თქვა: „დედა ენა უცხოეთში სამშობლოს უდრისო!" ერთ შემთხვევასაც იხსენებს: ერთხელ ეკლესიაში დავინახე წყვილი. მაღალი კაცი თეთრი ულვაშებით, თბილი თვალებით. რომ არ მცოდნოდა, რომ ივ. ჯავახიშვილი ცოცხალი აღარ იყო, ისე ჰგავდა, აუცილებლად ვიტყოდი, ის არის-მეთქი. მისდა გასაკვირად, ეს კაცი მართლაც ჯავახიშვილი აღმოჩნდა, ოღონდ ქართულის არმცოდნე, რუსეთში გადასახლებულ ქართველთა კოლონიიდან, ჯავახოვად

გადაკეთებული გვარით!..

მ. თარხნიშვილისადმი პატივისცემა და დაუფასებელი მადლიერების გრძნობა რომ ბოლომდე გაჰყოლია ნ. ჯანელიძეს, ეს იქიდანაც კარგად ჩანს, რომ მისი შრომის პირველი ნაყოფი, 1961 წელს იცეჰოეში გერმანულ ენაზე გამოცემული წიგნი წმინდა ნინოს ცხოვრების შესახებ (Die Apostelin Nino, Eine georgische Legendengestalt) სწორედ მამა მიხეილს მიუძღვნა.

1970 წელს ნ. ჯანელიძემ ქ-ნ ლიდია პაპე-გეგელაშვილთან ერთად თარგმნა და გამოსცა ქართული სამზარეულოს წიგნი (Georgisches Kochbuch 333 Rezepte); 1974 წელს კი ქართული ზღაპრების კრებული.

ნ. ჯანელიძე ყოფილა ორგანიზატორი რამდენიმე აღსანიშნავი გამოფენისა: 1966 წელს ჰამბურგში მოეწყვია გამოფენა, მიძღვნილი შოთა რუსთაველის 800 წლისთავისადმი; ხოლო 1982 წელს იცეჰოეში - ქართველ ბავშვთა ნახატების გამოფენა.

სხვადასხვა დროს ნ. ჯანელიძე ასწავლიდა ქართულ ენას ჰამბურგისა და კილის უნივერსიტეტებში, კითხულობდა მოხსენებებს და წარმართავდა ქართული ენის შემსწავლელ კურსებს ყველგან, სადაც კი ამისი შესაძლებლობა მიეცემოდა. როგორც მისი ერთგული „მოწაფე" ვინფრიდ ბოედერი აღნიშნავს, - ის არ ყოფილა და არც სურდა ყოფილიყო მეცნიერი. მაგრამ იყო ბრწყინვალე მასწავლებელი იმდენად, რამდენადაც შეეძლო მოწაფეთათვის გადაეცა საქართველოსადმი თავისი უზომო სიყვარული. ყოველი მათგანისათვის განსაკუთრებულად მოეწოდებინა მასალა".

გერმანელი მეცნიერისავე მოგონებით ხაზი გაესმის ნ. ჯანელიძის საოცარ კომუნიკაბელურობას და გადამდებ ენთუზიაზმს, რისთვისაც იგი დიდი ტაქტითა და მიმზიდველობით იყენებდა ყველანაირ ხერხსა და მეთოდს. ქართულ ლიტერატურასა და კულტურასთან ერთად, საკუთარ მოწაფეებს ნეფებური სტუმართმასპინძლობის მადლსაც კი აზიარებდა...

ადვილი არ არის ამის თქმა, მაგრამ უდავოდ არის განგების მიერი სამართალი იმაში, რომ ნიკოლოზ ჯანელიძეს არ შეუსრულდა მთელი სიცოცხლის ოცნება - საქართველოში ვერ დაბრუნდა. ალბათ ამგვარ შემთხვევაში დღეს ჩვენ გვეყოლებოდა კიდევ ერთი ნაადრევად რეპრესირებული და ნაგვიანევად რეაბილიტირებული პიროვნება, მაგრამ არ იქნებოდა ის ნათელი კვალი, რომელიც შთამომავლობას კიდევ დიდხანს გაჰყვება.

როგორც ითქვა, ნიკოლოზ ჯანელიძემ არაერთი მეგობარი და გულშემატკივარი შესძინა საქართველოს, რომელთა მოღვაწეობის კეთილი ნაყოფიც ახლაც არის უეჭველი გარანტია უცხოეთში აღსრულებული კიდევ ერთი ქართველის ღირსეულად დაფასებისა.

**ავთანდილ არაბული**



# სტუდენტთა საიუბილეო ადრესები

1908 წლის დეკემბერში ჩატარდა აკაკი წერეთლის დაბადების 68 და მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე.

უნივერსიტეტო საქართველოს სწავლამოწყურებულმა შვილებმა, რომლებიც გაფანტული იყვნენ რუსეთის იმპერიის ისტორიულ, მსხვილ და სამრეწველო ქალაქების უნივერსიტეტებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, საიუბილეო კომიტეტის სახელზე მილოცვები და კოლექტიური მისალმებები გამოგზავნეს, რომლებშიც გადაუხსნეს გული და მგზნებარე, პათეტიკური სტრიქონებით ამხნევებდნენ მოსკოვისა და პეტერბურგის, ყაზანისა და რომის, ოდესისა და ქუთაისის, თბილისისა და ლაიფციგის ქართველი სტუდენტები. ეს გამოუქვეყნებელი მასალები, რომლებიც დღემდე ჩრდილში იყო მიფარებული, ჩვენი აზრით, საჭიროა, წაიკითხოს ქართველმა მკითხველმა, იმათ, ვინც აკაკი წერეთლის სიყვარულით სუნთქავენ.

ამგვარად, საიუბილეო ადრესებსა და მისალმებებს, რომელთაც დღემდე მზის სინათლე ენატრებოდა და მხოლოდ სამუზეუმო საკუთრების წყაროს წარმოადგენდნენ, ვთავაზობთ მკითხველს იმ მოსაზრებით, რომ უპრიანი იქნება, თავად გაიცნობიეროს და შექმნას სტუდენტთა ორმოცდაათწლიანი ოპტიმალური საიუბილეო შთაბეჭდილებები.

**შოთა ბარამიძე**

*დოცენტი.*

### ადესის ქართველ კურსანტთა, სტუდენტთა, მუშათა, სალდათთა და პოლიტიკურ პატიმართა ჯგუფებისაგან

ძვირფასო აკაკი!

დღეს მთელი ქართველი ხალხის გული გამსჭვალულია ერთი გრძნობით, ის აღგზნებულია განუსაზღვრელი სიყვარულით თავისი მხცოვანი მგოსნისადმი. დღეს საქართველოს სხვადასხვა „სიმები" აწყობილნი ერთ „ჩონგურად" მომხიბლავი „ერთობითა" და ჰარმონიით, გიგალობენ შენ მრავალჟამიერს - შენ, რომლის ლექსთა მუსიკა, მათი ძალა, მათი მშვენიერება, შენი მხატვრობის სითბო, სინათლე, - ეს ხომ ხელოსნის ხელთა მკვდარი რბენა არ არის, არცა ცდარუნი აჭრელებულად გალექსილი ჰწკარის, ეს „თვით ბუნების ბუნებრივი მუსიკა არის"...

შენ, რომელმაც ხალხის სიმღერა, მისი „ოფლიდაც" კი მაღალი მუსიკალური ხელოვნების ქნარზე ააჟღერე; შენ რომელ-

მაც ხალხური ენა, ხალხური ლექსი პოეტური შემოქმედების სიმაღლემდე აიყვანე, რომელმაც პოეზიაში შეიტანე ხალხოსნობა, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით; შენ, ზეგარდმო ნიჭით ცხებულმა, აეშვი ზევით, ღვთიური ცეცხლი მოსტაცე ხელოვნების მაღალ ცას, დაეშვი ძირს ხალხამდი, ღრმად ჩსწვდი ხალის გულს, უხვად გაჰფანტე შიგ ნატაცი ცეცხლი და უხილავი ძაფი განასკვე მაღალ პარნასსა და დაბალ „ბრბოს" შორის და მით ხელოვნების პანთეონში ხელთუქმნელი, შეუხებელი საუკუნო ძეგლი დაიდგი. და აი, მადლიერი ქართველი ხალხი დღესასწაულობს შენს ორმოცდაათი წლის იუბილეს და ამ სახალხო დღესასწაულს ვუერთდებით ჩვენც, მთელი ჩვენი არსებით და სხვებთან ერთად, გულის სიღრმიდან ამოვიძახებთ: ვაშა აკაკის! მრავალჟამიერ ჩვენს მოხუც მგოსანს!

დიახ, შენ მოხუცი ხარ, მგოსანო, მაგრამ „გულს ნუ გაგიტეხს ჭაღარა, ხალხი ეძახის, უყვის შენსა დაფსა და ნაღარას".

სსლმ, ფონ. 12852 - ხ.

**სტეფანე ვარდიძე რომის ქართველ სტუდენტთა სახელით**

თ. აკაკი წერეთლის 50 წლის იუბილეს დღესასწაული

თ. აკაკი წერეთელი ქართველი ერის სული და ენა არის (აკროსტიხი)

ამ დღემდის ოფლსა ვინცა ღვრის
მარად,
კაცობრივ სხივსა ვინცა ჰფენს
უხვად
ამ დღემდის სულსა ვინც აძლევს
ერსა,
კალმით ნაწვართით ვინც მღერს
ივერსა,
იმის ხსენება საშვილიშვილოდ,
წმიდად დარჩება სასიხარულოდ.
ეს არს მგოსნისა ზენა დიდება
რომ ცისკარსავით ჩვენში
ბრწყინდება:
ენისა მისი ზვირთნი მჩქეფარნი,
თვით ღვთაებისგან ნიჭად
ძღვანულნი,
ერის საყვარლის განათლებისთვის,
ლალმა შეხწირა ჩვენს
მამულისთვის.
ილვაწა დღემდის ხუთჯერ არ
წელსა,
ქართველთ ბედისთვის ვომა
ბნელსა!..
ახე შეიქმნა ერისა სული
რადგან მას უძღვნა ღვაწლითურთ
გული.
თავსა დავადგათ დაფნის
გვირგვინი,
ვიმღეროთ მისთვის ლექსნი
წყობილნი!
ერი ნახავს რა მგოსნის დიდებას,
ლოდინს დაატკბობს, იგრძნობს
დიდ შვებას.
ერის სიყვარულს არ აქვს
საზღვარი,
როგორც ზღვა დიდი
უფსკრული არი;
იმას თაყვანს სცემს, ვინც
მას ენაცვლის,
სულსა ვინც სწირავს,
ჭირში ვინც შველის.
აჰა, შეიძრა ქართველთა
ერი,
სულით და გულით მღერს
ბედნიერი: -
„უწყის უფალმან ჩვენო
მგოსანო,
ლაღ ბულბულსავით
ტკბილო მგოსანო,
ის ვრცელი წელი
ორმოცდაათი,
დიადი ნიჭი ჩვენთვისა
მნათი,
აღწერილია, ვითარცა
კლდეზედ,
ერთობ შენს ძმათა
მადლიერ მკერდზედ" -
ნიადაგ გიძღვნით ჩვენც
სიყვარულსა,
ახალს გილოცავ ხუთჯერ
ათ წელსა.
ა კაკო, ნათოვლს შენსა ჭაღარას
რომით ვესალმით, ვუკრავთ
ნაღარას!
იძლევს სახელი უკვდავებისა,
სული რადგან ხარ ქართველებისა!!!

სსლმ, ფონ. 12852-ხ.



**მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტთა მონდობილობით ს. ქვარიანი. ვ. მთვარელიშვილი**

ქართველი ერის სიამაყევ, დიდებული მგოსანო, აკაკი!

შეუვსწარი იმ სანეტა-

რო დროს, რომელსაც ყველა ქართველი აღტაცებით ეგებება და შენი იუბილეს დღესასწაულით გამოხატავს თავის გულწრფელ აღფრთოვანებას შენდამი, რათა ჯეროვანი პატივი სცეს ქართველი ხალხისთვის შენს დიდსა ნაყოფიერ შრომას.

ჩვენც, მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტობა, შვილნი პატარა საქართველოსი გადმოხვეწილნი შორს სამშობლოდან ცივ ყინულოვან ჩრდილოეთში, დაშორებულნი მანძილით, სულით და გულით კი ახლოს მდგომნი საქართველოსთან, ვუერთდებით ამ საერთო ფერხულს, რომელშიც ჩაბმულია დღეს მთელი ქართველობა დარწმუნებულნი, რომ შენი „სატრფო" არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს,

ვინც რომ იმას ძილს ეძახის
უმალ მასვე დაამიწებს".

რის დამამტკიცებელი დღევანდელი დღესასწაულია.

გისურვებთ მრავალჟამიერ სიცოცხლეს.

სსლმ, ფონ. 19796-ხ.

**მოსკოვის ქართველთა საზოგადოების** თავმჯდომარე
თავ. ა. სუმბათაშვილი
თავმჯდომარის ამხანაგი ივ. თაულაშვილი
მდივანი გ. ლომაური

სამშობლოს სიამაყე, ღრმად პატივცემულო, ბატონო აკაკი!

იმ წლის დასაწყისს „მოსკოვის ქართველთა საზოგადოებამ თავის საზოგადო კრებაზე დაადგინა, გაუწყოთ თქვენ იუბილეს დღეს, დიდებულო პოეტო, არჩევა საპატიო წევრად. გამგეობა მოგმართავთ უმორჩილესი თხოვნით, დღევანდელი ჩვენი ეროვნული დღესასწაული, აქ შორს და ცივ ჩრდილოეთშიც, გაგვითბოთ თქვენი თანხმობით და დაგვიმშვენოთ საზოგადოება თქვენი სახელოვანი მამულიშვილობით.

**მოსკოვის უნივერსიტეტში არსებული „ქართული კულტურის მოყვარულთა" წრის სახელით ბიუროს თავმჯდომარე გ. ქორდანია**

სახელოვანო მოხუცო!

დღეს შენი რთველია, დღეს შენ იმკი მას, რასაც ასე დაუღალავად სთესდი მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში. შენმა დიადმა პოეტურმა ნიჭმა და ქართული პოეზიის აღორძინებისაკენ მიმართულმა დაუღალავმა შრომამ დღეს შენს წინაშე თავი მოუყარა საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენელს. მათი პირით მთელი ერი თაყვანსა სცემს შენს სახელს. შენი ორმოცდაათი წლის იუბილე ეროვნულ დღესასწაულად გადაქცეულა...

ჩვენც, მოსკოვის უნივერსიტეტში არსებული „ქართული კულტურის მოყვარულთა წრის" წევრები აღფრთოვანებით ვეგებებით ამ საერთო დღესასწაულს და ჩვენს ხმასაც ვუერთებთ მთელი ერის გულიდან აღმონახეთქ სიხარულს.

შორეულ მხარეს გადმოტყორცნილი, ცივი მოსკოვიდან მხურვალე სალამს მოგიძღვნით, სასიქადულო და დიდებულო მგოსანო!

სსლმ, ფონ. 12852-ხ.

**ახლადდაარსებული მოსკოვის უმაღლეს სასწავლებელში მყოფი ქართველ ქალთა წრე**

სულით მუდამ ახალგაზრდავ, ძვირფასო მგოსანო!

მოწყვეტილნი ჩვენს სამშობლოს, ამ დიდებულ დღეს მთელ ქართველ ერს, გიძღვნით სალამს და გილოცავთ ორმოცდაათ წელს თქვენი ბრწყინვალე მოღვაწეობისას სამშობლო პოეზიის ასპარეზზე. ვვედრებით ზეცას, რომ კიდევ დიდხანს კვლავინდებურად თქვენი პოეზიის სიმთა ჟღერამ აადელვოს ქართველთა გული, განუცხოველოს სამშობლო ენისა და ქვეყნის სიყვარული და მით აღადგინოს საქართველო, „დღეს დაცემული და ცოცხალმკვდარი". დეე, დარწმუნდეს კაცობრიობა, რომ ჩვენი სამშობლო" არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს".

სსლმ, ფონ. 12852-ხ.

**ქუთაისში მყოფი სტუდენტები**

აკაკი წერეთელს!

სახელოვანო მგოსანო!

ყოველი კუთხე საქართველოსი აღტაცებით ეგებება ამ დიდმნიშვნელოვან დღესასწაულს. დაუღალავი ნაყოფიერი შრომისა და ღვთიური მაღალი ნიჭის შემწეობით შენ გაათვითცნობიერე ჩვენი ხალხი, წმინდა ჰუმანური გრძნობები დაუთესე მასში, გააძლიერე ქართული ლიტერატურა, გაამსუბუქე და გაამშვენიერე სამშობლო ენა. ყველანი გრძნობენ ამას და შენს გარშემო შეკრებილნი ქება-დიდებით გამკობენ.

სხვებთან ერთად, ჩვენც, შენდამი განუსაზღვრელი სიყვარულით და პატივისცემით გამსჭვალულნი ქუთაისში მყოფი სტუდენტები, წრფელის გულით გილოცავთ დიდებულ დღესასწაულს. გისურვებთ დღეგრძელ სიცოცხლეს და მხნედ გაგრძელებას იმ დიადი საქმისას, რომელსაც ნახევარი საუკუნის განმავლობაში ასე შეუდრეკელად ემსახურებოდი.

სსლმ, ფონ. 12852-ხ.

# ქეთევან ლომთათიძის წერილი სიმონ ჯანაშიასადმი

სიმონ ჯანაშიას არქივში დაცულია ქეთევან ლომთათიძის წერილი, დათარიღებული 1935 წლით. ამ დროს ქალბატონი ქეთევანი, უნივერსიტეტის ასპირანტი, მიემგზავრება მორიგ მივლინებაში აფხაზური ენის ადგილზე შესწავლის მიზნით. სამუშაოდ ისევ არჩეულია მაღალმთიანი სოფელი ახუწა, კომპაქტურად დასახლებული აფხაზებით. ახუწას მეტყველება აბჟუურ, სალიტერატურო ენის საყრდენ, დიალექტს განეკუთვნება. მივლინებაში მყოფი ასპირანტი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ანგარიშს აბარებს თავის ხელმძღვანელს. წერილში მოხსენიებული არიან ის პირნი, რომელთაც ხელი უნდა შეეწყოთ დამწყები მეცნიერისათვის, მათ შორისაა ს. ჯანაშიას ბიძაშვილი ბაგრატ (შოთა) ჯანაშია, შემდგომში „აფხაზურ-ქართული ლექსიკონის" ავტორი.

ს. ჯანაშია თავიდანვე დიდ იმედებს ამყარებდა თავის ასპირანტზე, რომლის მეცნიერული წინსვლა ნამდვილ სიხარულს ჰგვრიდა. აქვე გვინდა მოვიყვანოთ მისი მილოცვა ქ. ლომთათიძისადმი სადოქტორო დისერტაციის დაცვასთან დაკავშირებით:

*„ძვირფასო ქეთო!*

*დიდად გული მწყდება, რომ დღევანდელ ზეიმში მე ვერავითარ მონაწილეობას ვერ ვიღებ, ვერც აქტიურსა და ვერც პასიურს. ვერ დავმალავ: ძალიან მიხარია, რომ თქვენ ხსნით იმ ქალთა რიგს, რომელნიც ჩვენ მეცნიერებათა სარბიელზე ამ მაღალი წოდების მატარებელნი იქნებიან.*

*მოგილოცავთ მხურვალედ ამ საუცხოო გამარჯვებას და გისურვებთ, რომ იმ საპატიო კიბეზე, რომელზედაც ასე მტკიცედ დგახართ, შემდგომი საფეხურებიც დამსახურებულად აგევლოთ.*

*თქვენი მოყვარული სიმონ ჯანაშია"*

1945 წ. 25.XII.

რუსუდან ჯანაშია

ძვირფასო ბატონო სვიმონ! მე ძალიან კარგად ვიმგზავრე. მიუხედავად იმისა, რომ ვერც შოთა და ვერც მექთი ვერ ვნახე. ხუთშივე გამოვცხადდი კომისარიატში. შოთა სამსახურიდან ადრიანად წასულიყო. იქ ერთი ნაცნობი, ჩვენი დროის სტუდენტი ვინმე ბასტაძე აღმოჩნდა და ის შემყვა კომისრის მოადგილესთან (აგრბასთან). აგრბას სასიამოვნოდ დაურჩა მივლინების ამბავი და მაშინვე მანდატი დამაწერინა.

იქვე „აბავტოგზაში" შევედი. მექთი არ დამიხვდა. მითხრეს დღეს გაემგზავრა ტფილისშიო. მაგრამ აფხაზები თავისებური სტუმართმოყვარეობით მომეპყრნენ, გამომკითხეს მექთის რისთვის ვეძებდი და შემიყვანეს თვით დაწესებულების უფროსთან. იმან კი წერილი მიმიწერა ჯგერდში ერთ გაბელიასთან, რათა მე ჯგერდიდან ახუწას გავემგზავრებინე. ის გაბელია ჩემი ნაცნობიც აღმოჩნდა და მეორე დღეს, ე.ი. 7-ში გამამგზავრა. აქ ყველანი კარგად დამიხვდნენ. ძალიან გაუხარდათ ჩემი დაბრუნება. აქ ახლა ძალიან კარგია ყოფნა. მაგრამ მასწავლებლის საქმე არაა მოგვარებული. ერთი მასწავლებელია და ისიც ისე დატვირთული, რომ წუთით მოცლა არა აქვს. შემპირდა მაინც გამოვნახავ დროსო. სხვა კი რუსულის მცოდნე არავინ არის. ერთი აქაური კურსდამთავრებული უნდა ამოვიდეს. მაგრამ იმას 10 დღე კიდევ დააგვიანდება. ის კი უთუოდ დამეხმარება.

მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტში არ შემივლია. იმ დღეს უკვე დაკეტილი დამიხვდა. მეორე დღე გამოსასვლელი იყო და უნდა ორი დღე სოხუმში გამეცდინა. ისევ წამოსვლა ვამჯობინე. იქითობას გავივლი.

სხვა ახუწა ახლა ისე მივარდნილი კუთხე როდილაა. მექთის ახუწამდის საავტომობილო გზა გაუყვანინებია და მსუბუქი მანქანა თურმე თავისუფლად დადის.

ბატონო სვიმონ, თუ წერილს არ დაიზარებთ და თქვენს ამბავს გამაგებინებთ, მურად ამჭბას სახელზე გამოგზავნეთ. იყავით კარგად. მომიკითხეთ დედა, ქ. მართა, ნუნუ და ლაშიკო.

ბოდიში ფანქრით ნაჯღაბნისათვის. ქიათა ლომ (აქ ასე მეძახიან)

8 ოქტ. 1935 წ. ახუწა.



9 თებერვალი ქალბატონ ქეთევან ლომთათიძის დაბადების დღეა.

ბესარიონ ჟღენტის საზოგადოება და ჟურნალი „ბურჯი ეროვნებისა" ულოცავენ და დღეგრძელობას უსურვებენ ქალბატონ ქეთევანს.

# კვლავ პროგრამები, მიხეილ ჯავახიშვილი და სხვა...

„რამდენი წელია, განათლების რეფორმა მიმდინარეობს და ვერა და ვერ მოხერხდა სასკოლო და მისაღები გამოცდების პროგრამების შეჯერება. კანონიერად ისმის კითხვა, ვის ან რას ეწირება მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლება სკოლაში?" ამ კითხვას პრაქტიკოსი პედაგოგი სვამს (მ. კარტოზია, ღმერთიმა გიმნაზიის, ბატონი პრეზიდენტი: „ბურჯი ეროვნებისა", №12, 1999, გვ. 15).

მ. კარტოზიამ ერთმანეთს შეადარა ახლახან გამოსული საშუალო სკოლის ქართული ლიტერატურის პროგრამა და ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისაღები გამოცდების პროგრამას ქართულ ლიტერატურაში და, როგორც აღნიშნავს, სხვაობა მართლაცდა საგულისხმოა.

ლოგიკური და პრობლემური ავტორის მიერ დასმული შეკითხვები: „მისაღებ გამოცდაზე მისულ აბიტურიენტს, რომელსაც სასკოლო პროგრამის მიხედვით „ჯაყოს ხიზნები" აქვს გავლილი, როგორ შეიძლება „ჯიბლაღი" და „მიწის ყვავილი" გამოჰკითხო? გამომცდელმა რა ქნას? როგორ მოიქცეს? რატომ გვიჩენს განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი ასეთ თავსატეხს? განა არ შეიძლებოდა, რომ ეს საკითხი მოეგვარებინათ?"

მართლაცდა, რა ხდება?

საიდან გაჩნდა მისაღები გამოცდების პროგრამაში მ. ჯავახიშვილის „ჯიბლაღი" და „მიწის ყვავილი", როცა სასკოლო პროგრამაში „ჯაყოს ხიზნებია"?

საკითხი არც ისე მარტივია და ყველაზე მეტად ამ სირთულემ თუ გაუგებრობამ მიხეილ ჯავახიშვილი დააზარალა.

პატივცემულ პედაგოგს მხედველობიდან გამორჩა ის, რომ დღეს ქართული საშუალო სკოლების ბოლო სამ კლასში ალტერნატიული პროგრამები მოქმედებს. უფრო სწორად, არსებობს ორი პროგრამა მაღალი კლასებისათვის: პირველი, რომელსაც პირობითად განათლების სამინისტროს პროგრამას დავარქმევ, რომლის ახალმა გამოცემამაც დააწერინა ეს წერილი ქ-ნ მ. კარტოზიას და მეორე - ქართული ლიტერატურის პროგრამა IX-XI კლასებისათვის, რომლის ავტორი არის პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მარიამ თაბორიძე. როგორც განათლების სამინისტროს საშუალო განათლების სამმართველოს მთავარმა სპეციალისტმა გვითხრა, პედაგოგს უფლება აქვს აირჩიოს და მის მიერ მოწონებული პროგრამის მიხედვით ასწავლოს.

ჩვენ დავინტერესდით, მაგრამ ვერავინ გვიპასუხა, რომელი პროგრამა რამდენ სკოლაში გამოიყენება. ის კი არადა, შეიძლება ერთსა და იმავე სკოლაში ერთმა მასწავლებელმა ერთი პროგრამით ასწავლოს და მეორემ - მეორით...

პროფ. მ. თაბორიძის პროგრამა განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის გრიფითაა გამოსული, თუმცა, განსხვავებით პირველი პროგრამისაგან, არ ჩანს, განათლების სამინისტროს კოლეგიამ განიხილა და დაამტკიცა თუ არა. ვერც ის გავარკვიეთ, რა პრინციპით ხდება არჩევანი. და საერთოდ, **რამდენადაა მისაღები ერთმანეთისაგან ასე განსხვავებული პროგრამების ალტერნატივა.** როცა ასეთ შესაძლებლობას ვუშვებთ, უნდა არსებობდეს გარკვეული სტანდარტები, სავალდებულო მინიმუმი, რასაც დაეფუძნება ამგვარი ალტერნატიული პროგრამები.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილი გახდა, ასეთ სტანდარტებზე განათლების სამინისტრო მუშაობს, მაგრამ მაღალი კლასებისათვის ქართულ ლიტერატურაში სტანდარტები ჯერ არ შეუმუშავებიათ.

ამიტომაცაა, ერთ სკოლაში სხვას ასწავლიან, მეორე სკოლაში - სხვას.

ახლა კონკრეტულად მიხეილ ჯავახიშვილის თაობაზე. დავწერე ერთხელ, მ. ჯავახიშვილის რეპრესიები გრძელდება-მეთქი.

ადრე, 90-იან წლებამდე, საშუალო სკოლისა და უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების პროგრამებში „არსენა მარაბდელი" იყო შეტანილი და თითქოს ყველაფერი წესრიგში იყო.

მერე გაიმართა დისკუსია, „არსენა მარაბდელი" უნდა ისწავლებოდეს თუ არა სკოლაში; ამ დროს გამოჩნდა ალტერნატიული პროგრამაც, რომელშიც ამ რომანის ნაცვლად მ. ჯავახიშვილის მოთხრობები იქნა შეტანილი. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ უმაღლესი სასწავლებლის პროგრამიდან 80-იანი წლების ბოლოს ამოიღეს „არსენა მარაბდელი" და მ. ჯავახიშვილი დარჩა პროგრამის გარეთ.

სამწუხარო კურიოზებია: მწერალსა თუ ნაწარმოებს, რომელიც არ შედის მისაღები გამოცდების პროგრამაში, არც სკოლაში აქცევენ ყურადღებას. უფრო სწორად, უმეტესწილად ახალგაზრდა სწავლობს იმას, რასაც მოეკითხება მისაღებ გამოცდაზე და არა იმას, რასაც ითვალისწინებს საშუალო სკოლის პროგრამა. ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც. უმაღლეს სასწავლებლებში მიდიოდნენ ახალგაზრდები, რომლებიც წაკითხულიც არ ჰქონდათ მ. ჯავახიშვილი.

მიძებნეს გამოსავალი: 90-იანი წლების დასაწყისში უმაღლეს სასწავლებლში მისაღები გამოცდების პროგრამაში შეიტანეს მოთხრობა „ლამბალო და ყაშა". როგორც გაირკვა, ეს შესანიშნავი მოთხრობა მხოლოდ კლასგარეშე საკითხავ ლიტერატურაში იყო დასახელებული ერთ-ერთ მოქმედ სასკოლო პროგრამაში.

ასუ ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სა-

მეცნიერო-მეთოდურმა საბჭომ საგანგებოდ იმსჯელა პროგრამების თაობაზე. სხდომას ესწრებოდა განათლების სამინისტროს ქართული ლიტერატურის მეთოდსაბჭოს თავმჯდომარე პროფ. გ. ფარულავაც. ლოგიკურად დაისვა კითხვა: რაკი არ ვასწავლით სკოლაში, როგორ შეიძლება მოვითხოვოთ მისაღებ გამოცდებზე და „ლამბალო და ყაშა" ამოიღეს მისაღები გამოცდების პროგრამიდან. მ. ჯავახიშვილი ისევ პროგრამის გარეთ დარჩა.

შემდეგ ეტაპზე 1998 წლის განათლების სამინისტროს პროგრამაში „არსენა მარაბდელი" „ჯაყოს ხიზნებით" შეცვალეს. მაგრამ, ეს ცვლილება შეეხო იმ პროგრამას, რომელშიც იყო „არსენა მარაბდელი". მეორე პროგრამაში სავალდებულოდ არის მითითებული მ. ჯავახიშვილის მოთხრობები: „ჩანჩურა", „ჯალდო", „მიწის ყივილი" და „მართალი აბდულაჰ".

1998 წლის თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო-მეთოდურმა საბჭომ უკვე იმსჯელა მისაღები გამოცდების პროგრამების თაობაზე; იმსჯელა ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომაც და გადაწყდა, რომ თსუ მისაღები გამოცდების პროგრამაში შეეტანათ საშუალო სკოლებში მოქმედ **ერთ-ერთ პროგრამაში წარმოდგენილი მოთხრობები „ჯალდო" და „მიწის ყივილი"**. ფილოლოგიის ფაკულტეტის აზრი გაითვალისწინა და დაამტკიცა თსუ სამეცნიერო-მეთოდურმა საბჭომ და გამოქვეყნდა კიდეც ასე. ეს იყო 1998 წელს. მაგრამ რადგანაც ყველა სკოლაში არ ისწავლებოდა ეს ნაწარმოებები, ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოზე ითქვა და გაკეთდა კიდეც განცხადება, რომ მისაღები გამოცდების პროგრამაში შეტანილი „ჯალდო" და „მიწის ყივილი" 1999 წლის მისაღებ გამოცდებზე აბიტურიენტებს არ მოეკითხებოდა. ვიმედოვნებდით, რომ განათლების სამინისტროს საშუალო განათლების სამმართველო და სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი ანგარიშს გაუწევდა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის აზრს, ანდა მასთან კონსულტაციებს გამართავდა ამის თაობაზე; მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა... აქ მეცნიერის ღირსებაზე არ არის საქმე. ბევრი საქმე ფუჭდება: ვაბნევთ პედაგოგებს, ვაბნევთ აბიტურიენტებს. ზარალდება კლასიკოსი მწერალი (და შესაბამისად, მკითხველი...).

განათლების სამინისტროს შესაბამისმა სამსახურებმა ვფიქრობთ, ყოველივე ეს კარგად უნდა იცოდნენ. ამ თვალსაზრისით თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო-მეთოდურ საბჭოსთან კონტაქტი და თანამშრომლობა საქმეს მხოლოდ სიკეთეს მოუტანს.

ეს საკითხი ჩვენ მ. ჯავახიშვილის მაგალითზე დავსვით. პრობლემები სხვა მწერალთა შემოქმედებასთან დაკავშირებითაც იჩენს თავს.

მადლობას მოვახსენებთ პედაგოგ მ. კარტოზიას ამ საკითხის წამოჭრისათვის და მოვუწოდებთ პრაქტიკოს მასწავლებლებს, ერთად ვიფიქროთ ჩვენი ენისა და ლიტერატურის პრობლემებზე.

*პროფ. გ. გოგოლაშვილი*

*თბილისის ი. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდსაბჭოს თავმჯდომარე.*



# გიორგი ლომთათიძის ჩანაწერებიდან

შესრულდა ქართული არქეოლოგიური სკოლის შესანიშნავი წარმომადგენლის გიორგი ლომთათიძის 85 წლისთავი (1914-1971). თბილისის უნივერსიტეტის გეოლოგიური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ იგი სამუდამოდ დაუკავშირდა საქართველოს ისტორიული წარსულის კვლევას. ენიმკიში გაიარა ბატონმა გიორგიმ ასპირანტურის კურსი პროფ. გ. ნიორაძის ხელმძღვანელობით. 1941 წლიდან იგი ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომელია, შემდეგ - სწავლული მდივანი და ბოლოს - ფეოდალური ხანის არქეოლოგიის განყოფილების დამაარსებელი და ხელმძღვანელი. მისი უშუალო თაოსნობითა და მონაწილეობით ჩატარდა არა ერთი მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ექსპედიცია (კლდეეთი, მცხეთა, თბილისი, უჯარმა, რუსთავი, ურბნისი, თელავ-ალვანი, ჯავახეთის ახალქალაქი, ქვემო ქართლი, ვარძია...). გარდა ძირითადი საქმიანობისა, გ. ლომთათიძემ საერთოდ მთელ ჰუმანიტარულ მეცნიერებას დაამჩნია კვალი. მის უმდიდრეს არქივში ინახება გასაოცარი მასალა: სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ადგილას შეგროვებული ქართული დიალექტური მეტყველების ნიმუშები, ონომასტიკური კარტოთეკა, „მოხალისე ენათმეცნიერის" დაკვირვებები, ექსპედიციათა და ექსკურსიათა დღიურები (სხვათაშორის, ბ. გიორგი თანაავტორია გეოლოგიურ ტერმინთა ლექსიკონისა, მის კალამს ეკუთვნის მრავალი თარგმანი რუსული და ინგლისური ენებიდან, სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ნაშრომები, მოთხრობები...). ქართული ენის სიწმინდისათვის ზრუნვა ხომ მისი სასიცოცხლო მოთხოვნილება იყო.

გ. ლომთათიძის შემოქმედების მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი მხარე იყო საზოგადოებრივი მოღვაწეობა. ბატონი გიორგი რომ არა, ექვთიმე თაყაიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობა ბევრად უფრო ღარიბი იქნებოდა. ის ხომ ექვთიმე თაყაიშვილის „მარჯვენა ხელი" (აკ. შანიძე) იყო წლების მანძილზე.

ამჟამად, მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმე ნიმუშს გ. ლომთათიძის მიერ ჩაწერილი დიალექტური მასალიდან. მასალის არქივიდან ამოღებისა და სასტამბოდ გამზადებისათვის დიდ მადლობას მოვახსენებთ ქალბატონ ნინო ლოლობერიძეს, გ. ლომთათიძის ცხოვრების ერთგულ თანამგზავრს.

რუსუდან ჯანაშია

# „ფხოვური ჩანაწერები“

მაღაროსკარი 1962 წელი 29/VII-19/VIII

### „ვიყავენით“

1. მაღაროსკარში
2. ქუდოში
3. გომეწარში
4. ქალოლოში
5. ქაშაპაში
6. თვალივში
7. მიგრიაულთაში
8. კოპალას ხატში (კართანას) და იქვე ველებზე
9. ხილიანაში
10. კაწალხევში
11. შუაფხოში
12. ბარისახოში
13. ჩარგალში

### „ვერ ვიყავენით“

1. არბანისანში
2. მაღაროსა და უკან მაღაროში
3. შარახევში
4. გუდრუხში
5. ხოშში
6. ვანრევში
7. ყოშნაში
9. აფშოში
9. აფხუშოში (ნასოფლარი)
10. უძილაურთაში
11. ცაბაურთაში
12. თვალეს (?) ქვემოთ
13. ხოშრითად კაწალხევს ზემოთ
14. უკანა ფშავში (შუაფხოს გარდა)

### მეტყველების ნიმუშები

**3.VIII. სოფ. მიგრიაულთა**

90 წლის (ან მეტი წლის) ხანახევრიდ დაბრმავებული დედაბერი მარიამ ხორნაული-ბაღიაშვილი (კაწალხევიდან? გამოთხოვილი)

-სახ-ბინა (=სახლ-ბინა)

- სხვათა ნაბინავარში ვართ.
- ფურლის ქარი (ავადობაა).
- წინწანაქარ არაის ნაყოქამ ერთ-ორ ყლუპს (წამლად). ბევრს კი ვერ მოვუდგები.
- ჩემი შვილები სამ-სამი წლით ეკარგა ერთმანეთსა.
- ჩემი ქალი ხუთი წლით სჯობავ თავი ძმასა.
- გულის კოვზა.
- ჩემ კაცს ვაჟებ ალალებდა (- ვაჟების ყოლა ახარებდა).
- ეგ ვაჟი, რაცა შეაჟ ეხლა, სამჯერ მოგვიკვდის ერთ დღეზა. მკვდარ შავახვეწიდით სკამზე, ფიცარზე; ხან წყალ დავასხიდით, ხან დოსა და გაცოცხლდის - ეს პატარიკაი. უფროსი კი წითელმა ქარმა მამიკლა. ძლოცავაც მოვზვარეთ, მაგრამ მაინც მამიკვდა.
- ბიჭვ! (მე მეუბნება) ნეტავ შენც დასხდებოდე, ფეხზე ჰქუდახარ!
- წისავ (= უწინ)...
- [წიწილებს უჯავრდება]

მამო (= მამავ?), შე ძაღლის ჯურო, შენა!

- [ქალის] გატაცება ძალიან ცუდია, არ ვარგა ისი და თავის ნებით ვისაც მიეცემა, ის კარგია.
- [ქორწილში რა გეცვათ? ჰკითხა მხია ბექაიამ] დარაია. მე შაგხურ-ღვიძლისფერი იყო. ზოგმა წითელ იცოდა. ზოგმა ყვითელ მე არ მიყვარდა!
- მამულები (= მაყრები).
- იმდენ ყოფილიყვნენ დამრჩალები.
- ამიტყდა მოხოვარი. უნდა მოვყბოცნე და ღელამ იმად გამოთხოვა (ღოტაი (მამა ალერე მოეკვლიმია): სხვა მომტაცებს და უნამუსოდ გამოსდოს. გაზაფხულზე დამნიშნეს და როდგელ წამომიყვანეს... (ღოტა ვეკავი. რო გავეთხოვე. ჩარგალს დავიწერეთ ჯვარი. ღელეს ისისიმე ეკეტა. დიაკვანი ქრისტესია. იმერლები იყვნენ...
- რათ გინდათ, დედილოს, ამდენს რო იწერთ?
- ჩვენი ხატი შორს არი, ცაბაურთას, თავარანგელოზი. ძალიან ძრიელ ხატია. შუამწვრის, გიორგის... პეტრე-პავლობას მიდიან ხოლმე.
- წაწლობა. წოლა არ მიყვარდა და ჩემ ქალებთანაც არავის ვუშვებდი. ზოგ-ზოგას ისეთ ჯოხებ ავარტყოდი, რო გავაქცოიდი!
- ლაშარს კი არა... ღელეს ვიყავით ხატში.
- აი, ეს ხეხილი ჩემმა შვილმა დარგო მირგვლივ.
- თიკვი (= ქსოვილი ნაჭერი.: შალისა? სიერთოდ?].
- წყალიც კარგია, ჰაერიც [ამ სოფელში, ვუქეთ], მაგრამ მე აღარა ვარ კარგი, რო ვეღარც თავს ვუვლი და ვეღარც სახლსა.
- ჯვარ რო დავიწერეთ, ბევრებ კაცებ ეტანა ჩემ ქმარს. ზოგმა აბაზ მაჩუქა, ზოგმა - ორ აბაზი, ვინ რა გაიმეტა.

**4.VIII. ს. ხილიანა.** კაი ხნის დედაბერი, ხითალიანი, უქმურად შეხედა, გააქცია ქონდრადები.

- ქალო! [შეხძახა შინ აიყნიდან პატარა გოგოს, შვილიშვილს]...

ბალლო! გამოიმეტანე პური, კიდევ დაუფშრუკო წიწილებსა!

შიით ამ ქორდაბუმულებს! [საერთოდ, შევამჩნიე: ფშაველები „გოგოს“ არ ამბობენ, პატარებსაც კი „ქალს“ უძახიან].

მაღაროსკარში ყოფნისას სამჯერ ავედით ჩარგალში და საათობით ვიჯექით ვაჟას სახლ-მუზეუმთან, ყინულივით წყაროსთან. აჭაურიბა ნაჩვენიდ ჯალისავით მიზიდავს, ვაჟას ჰაერით ვსუნთქავ...

**10.VIII.62. სოფ. ქუდო** (მაღაროსკარის ზედა დაშორებული

უბანია, უპირისპირდება „ჭალას“ და მაღაროსკარს. მაღარო კი ამის პირდაპირ მაღარულა-გომეწრის გაღმაა, ასევე მაღლობზე. ორივე მშვენიერი, ძალიან ლამაზი სოფელია და გადასახედიც. პაერი ხომ!

მზევინარ ნოსაურაშვილი-ქისტაურისა

...წლისაა (სამოცზე მეტისა ვიქნები, სამოცდახუთისა - მეტისაც ჩანს). - ვაიმე, განა კი დავესწარი შვილო?! გადაქამფრებული ვარ. აი, ჩემმა ძმამ იცის, სამის წლით ჩემზე უფროსია. დამავიწყდება, კაცო!

- ეს ჩვენი სახლი ნაკეთნუკეთებია, განა.

- მარიამი კლდეზე გადავარდა, აი, კოლექტივის მზადებაზე, ათი წელი მაინც იქნება, და მას მერე ისეა, დაბეჩავებული.

- აბა, მა რას იჯამს? ქმარი პყავ, ეშმაკის გზაზეა დამდგარი. კოლექტივში მუშაობს. თითონ თუ არ იმუშავა, არ გამოვა.

- მარიამი, ნინო (სამკითხველოს გამგე) და ეთერი-ექთანი. ქმარი შოფერი ყავს... მოქმედია, ძალიან ყოჩაღია საქმისთვისა.

- მარიამი დედ-მამის გულისად არ გათხოვდა.

- ნაბიჭვრებით სავსეა ეხლა. ნახევარზე მეტი „უნამუსოთ“ და ნუტაგი ეგრე პყავდეს ვინმე არ ვინალევლი.

- ხუცველა გახმეს, ხუცველა მაისპეს, ხელითლა ეწუტავ ემა ლობიოსა.

- აი, მანდ ისე გაგვიტიალეს ღვარებმა (= ღორებმა) კართოფილი, ხიმინდი. სოფ. კანატიადან ყოფილა გამოთხოვილი, ხილიანას ახლოს ყოფილა, მაღლობზე.

-

- ერთი ხატი დიდლა არი. ჭალის ზევით, ბზიანს ეძახიან. ერთიც აი, მაღლა, ნახაცდრალია, საყდართ გორს ეძახიან.

- რა ვიცი ზოგს უხარია (ვაჟი რო ეყოლება და არი ქალი). ზოგი იტყვის სულ ერთია, ოღონდ კარქა მყავდეს, ოღონდ გაიზრდოსო.

- მამა საქმეზე იყო. უფრო დედა უვლიდა ნიადაგა (ბავშვებს).



- ბიჭები ხბოს მიაბრუნ-მოაბრუნებდნენ, სხვას რას გააკეთებდნენ?!

- მე თოთხმეტის წლისა ვერ ვიყავი, დედა რო მომიკვდა. მამაჩემსა მარტო ძროხები პყავდა ბევრები. ბენავიბაში გავიზარდე.

ბუნაგი თივისაც არი, ხისაც არი, ყველაისითა. რაშიც ამარილებენ ყველსა.

- ძილან მოვიდა ნინო... კაი ქათამს წავგვრიო.

- გაფშა (ლობიო) ვე. საცხისაგანა, თავის დღეში ეგრე არ გაფუჩებულა.

- სიმინდში ვურევთ დათესვაში.

- საჭმლადა? როგორც მოგეხერხება. ზარმაც ხალხი ვართ, თორო... მე კი ნიგვზით მირჩევნავ. სუ მუდამ რო ნიგოზ ვუყოთ...

- ესე დაწოლაკდებოდა ლობიოები, ვითომ ძროხებიაო (თამაშია) სხვა რამეს?- ბევრ რამესაც დავაწოლაკებდი, მაგრამ აღარ მახსოვს - ვაიმე. შარშან ემა მყვანდენ აქა ქალაქელები. სუ შამაიარეს სოფლები, ვერსად მეეხულათ ბინა რომ დაეყენებიათ.

ოცდარვის წლის . ბიჭი პყვანდათ, ქინაიობდა ხოლმე (გიჟივით ყოფილა).

. . . . . . .

- აი, რო იტყვიან, გასცოვდაო, პატარა ნიავი რო დაჰკრავს. მე მაგისი არა ვიცოდი რა. აი, არაგვის წყალი გამსვლია ფეხებშითა და არც როდის გავცივებულვარ.

- საქონლის სატკივრის წამალი არავინ არა იცოდა რა. ბედნიერით მომკვდარს არც გადააგდებდნენ - თხრიდნენ მიწას და ჩამარხავდნენ. უფრო ძროხები გვყავდა. ბიძია ჩემ მემცხვარე იყო, მამაჩემი- მხნავ-მთესავი და უფრო შინ მომუშავე 8-9-10 გვყვანდა ხოლმე.

- ჩემი მამა-ბიძანი იმათ გაიყარნენ, რომ ჩემ ბიძასა ვანო ხორნაულის მამიდა პყვანდა, ავი ქალი იყო და იმისად გაიყარნენ. მამაჩემ და ისა ჩხუბობდნენ. დედა ჩემი კი არ იყო ავი ქალი.

- ყველაზე დიდი დღეობა რა იციან აქა?

- აქ არ იციდენ დიდი დღეობა ამაღამ და ხვალ. წინათ კი სცოდნიათ დიდი დღეობა. მოდენილა ქვეყნის ხალხი.

- სულ გადავიწყდა მაქვს ყველა, გადარეულ მაქვს გონება. მეჭარობას (?) ეტყვიან, ღვთისმობრძანება, გონი შემოდგომაზეა.

- უშვილო ქალი სად მიდიოდა სალოცავად?

- ღელესა, ახლა კიდევ გადავი-დენ და გადაიტანეს ქვეითა. მიტანა სცოცნიათ-კაბა, თავშალი, ჩიქილა, რაც საუკეთესო ექნებოდა და შესწი-რავდა.

- საქონლის გამრავლებაო?

- რა ვიცი მენა. მკითხავებ არ არიან. იმათ იცოდნენ.

- მკითხავთან სად მიდიოდნენ?

- თიანეთსა. „გველის თვალთაო", „ბრმა ქალაიო", „გველის თვალას-თან" ვიყავით მე და ერთი დედაკაცი, ბევრი მითხრა: აი ეხლაცო ისე ხარო (ორსულადაო, მართლაც ვიყავი). გე-ხოცება ბავშვები, არც ეგ გაგეზრდე-ბაო, მითხრა და ისრეც მომივიდა.

- ყველაზე ძველი სოფელია რო-მელია?

- არ ვიცი შვილო, არა. ეხლა სუ ფშავით გადმოსული ხარო. უკანა ფშავითა. ზოგი აიმ ხატის ყმა არი, ზოგი - სხვისა. ბევრები ჩამოდიან ეხ-ლა ქვევითა. თავქვე ისე გადადიან, ზოგი კახეთისაკე, ზოგი ქიდისაკე.

- ნეტა ეგ ომ აღარ იყოს, მაგან დალუპა ხალხი, თორო ეხლა არა უშავს ხალხს. მაგრამა ბარს ჩასუ-ლები ჩვენზე უფრო ბეჩავები არიან... მითხრეს.

- მჭიდრო ადგილები იყო აქავ ძნელ საცხოვრებიო, მაგრამა მადლი კი ჰქონდა.

- ქუდის მარტო ორ კომლიდა ცხოვრობს ემის ზევით, სუ ექ ჩამოდიოდნენ ჭალაში. ერთია თურმა-ნაული, მეორე- მისრიაშვილი, აიქო თანდილაშვილები არიან, თანდილაა-ნი, ტუნტურიშვილები.

- საქონელიცა ჰყავთ, მარტო საწველელი ჰყავთ ათი.

- მოქმედობენ შვილო, შრომობენ და აქეთ კიდევაც.

- სახადელაო?

- ზოგი ბზანას ზემოთაა, ზოგი საყდრის გორაზე. ეხლა კი გაზარ-მაცდა ხალხი და მაღლა ალარ მარხავენ. ჩემი კაცი მეუბნებო-და, მანდ არ გამწირიოთო...

მთლად ისე კი არ გვიჭირს, რო ან შიშველი გვიჭირდეს, ან სიტიტვ-ლე გვიჭირდეს.

- მარიამის ცოდვაში ჩავდექით, ვერ ვასწავლეთ, თორემ სხვებს, აბა, რა უჭირთ?

- ნინო უკმაყოფილოა იმით რო მაგისთანა მაიმუნს კაცს არ უნდა გაჰყოლოდა. ვერ არი ისე, რო კარგა იყვეს.

- როცა გვალვა არ არი, იმდენი მოგვდის ლობიო, რომა ქალაქში მიგვაქ ხოლმე გასასყიდათ. კარაქსა, ერბოსაცა, ყველსაცა. სიმინდიც საკ-ყოფი მოგვდის. ეხლა აღარა სჭამენ, რო განდა ფქვილები და პურები, თორო რაც არ იყო, ძალიან გამტკბა-რი იყო. ქეცზე ვაცხობდი სიმინდის პურებსა. ნიგოზსაც ვყიდაი, ხილია უარებელი. სუყველას უდგა, მსხალსაცა, ვაშლსა, ქლიავსაც.

- გვალვას რო დაიჭერდა, ხატ-ში შეუთქვამდნენ, საკლავს დაკლავდნენ ხოლმე. წვიმა უნდო-დათ, წვიმას შემოთხოვდნენ, დარი უნდოდათ - დარსა.

- ოთხი დედალ მყავს, სუ მოკრეხებულ არიან, ეხლა მაიქც-ნენ. ხუთი გვყავს საწველავი ძრო-ხები.

- ბოიგარსა (თურმანაულს) სულ დეეხოცა ყველაი, 12 სული, ერთი ქალი და დარჩა, მამრე ერთი ცოტაი ქალი მოჰგვარეს და იმასთან ყოლდა სამი ბალღი. ერთიც ბერი მოჰყვა ამ ქალსა და ის უვლის, სხ-ვა ყველა მისავლელია.

- ბურნუთს ყნოსავს, სად შაუ-ლობ?

- თავად მამყავის. მამყავდა, ეხ-ლა კი დამიხმა.

- ცერებ გზებია, არც რა აღ-მართია, არცა.

- მოდი, პურ-ყველი ჭამე! (ეუბ-ნება შვილიშვილს, 5 წლის ამირანს).

მერე გამოგვაცილა და ბოიგარ თურმანაულის სახელი მოგვასწავ-ლა, რომელიც ბევრად უფრო მაღლა (?) ყოფილა.

[ჰო, რა წყაროა ამის სახლს ზე-მოთ? ძლივს ვიგემე ცივი ანკარა წყა-ლი ჩარგალში, ვაჟას მუზეუმთან.

ბოიგარი 80-ოდე (თუ მეტი) წლი-საა. თითქმის სულ უსინათლო, დაყრ-დომილი, მალი-მალ გმინავს. ორი „ცოტა" ქალ-ვაჟი ჰყავს და ეს მეორე ცოლიც დასნეულებია (მგონი კიბო აქვს ამ სამოთხესავით ადგილას?!).

-მამაჩემს ჭრელა ერქვა. მე განა ბოიგარ ვარ, ეფრემი მქვიან, მაგრამა ფშაველებმა ასე ვიცით. ორ სახელს მოვირქმევთ ხოლმე.

## ახალი წიგნი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

[illegible]

გიორგი ლომთათიძე

გამდიდრებისათვის ქართულისა ჩემისა

(შემდგენელი გურამ ბედოშვილი)

გამომცემლობა „ქართული ენა"

თბილისი

1999

გამომცემლობა „ქართულმა ენამ" გამოსცა გიორგი ლომთათიძის წიგნი „გამდიდრებისათვის ქართულისა ჩემისა". მასში შევიდა ცნობილი არქეოლოგის მიერ შეკრებილი დიალექტური მეტყველების ნიმუშები, სხარტულა გამონათქვამები, ფოლკლორული ნიმუშები, ქართული გვარსახელები. კრებულში იბეჭდება აგრეთვე მეცნიერის დღიურები და „მოხალისე ენათმეცნიერის დაკვირვებები და შენიშვნები". წიგნი შეადგინა ენათმეცნიერმა გურამ ბედოშვილმა; გამოსაცემად მოამზადა რუსუდან ჯანაშიამ.

# ზიარებისა და აღსარებისათვის

## ჩვენს შეკითხვებს უპასუხებს მთაწმინდის წმინდა ნინოს ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი *თეიმურაზ ჩაჩიბაია*

**- მამა თეიმურაზ, ზიარება და აღსარება ისეთი საიდუმლოებებია, რომელთა გარშემო დღეს ბევრი განსხვავებული აზრი არსებობს. ამ საკითხებზე თვითონ მოძღვრებს აქვთ სხვადასხვა შეხედულება. ამიტომ გასაკვირი სულაც არ არის, რომ ერშიც ჩნდება შეკითხვები. საკითხის გასარკვევად თქვენ მოგმართეთ, რადგან სწორედ ახლახან გამოიცა თქვენი წიგნი - „ზიარებისა და აღსარებისათვის", რომელიც სწორედ ამ საკითხებს ეხება. დღეს ეკლესიებში უამრავი ხალხი დადის; ბევრი ეზიარება კიდეც, მაგრამ არ ესმის ზიარების არსი. ჩვენი შეკითხვები გვინდა სულ თავიდან დავიწყოთ. მაშ, ასე: საჭიროა თუ არა ეკლესიაში ხშირი სიარული? ხალხის დიდი ნაწილი თვლის, რომ საკმარისია სწამდეთ ღმერთი, ჰქონდეთ ღვთის შიში, დღესასწაულებზე დაანთონ სანთლები, ხოლო ეკლესიაში ხშირი სიარული საჭირო არ არის.**

**გთხოვთ, აგვიხსნათ, როდის, რომელ დღეებში არის სავალდებულო ეკლესიაში მისვლა?**

- მცირე სჯულის კანონში წერია: „ჩვენ, პეტრე და პავლე, გამცნებთ თქვენ: მონანი, გინა აზნაურნი, შურებოდნენ სხუათა მათ დღეთა, ხოლო შაბათსა და კვირიაკესა მოვიდენ ეკლესიად, რაითა ისმინონ სწავლასა ღმრთის მსახურებისასა" (9,38).

ეკლესიაში ხშირი მისვლა ერთნაირად ეხება ყველას - ერისკაცი იქნება თუ სამღვდელო. დიდი სჯულის კანონის მიხედვით, თუ ჭირი და მარცხი არ იქნება დამაბრკოლებელი, სხვა მიზეზით სამი კვირის განმავლობაში წირვა-ლოცვაზე მოუსვლელობისათვის კაცი ისჯება.

კვირას ეკლესიაში მისვლისათვის უნდა მოვემზადოთ, რადგან კვირა საუფლო დღეა. ძველ აღთქმაში ასეთი დღე იყო შაბათი. შაბათის უქმის დარღვევა დიდ ცოდვად ითვლებოდა. ღმერთმა ექვს დღეში აღასრულა ყოველი საქმე სამყაროსა და კაცის შექმნისა, მეშვიდე დღეს განისვენა და „წმიდა-ყო დღე იგი შაბათი". „შაბათი" ქართულად „განსვენებად" ითარგმნება: ეს იყო წინასახე იმ ახალი განსასვენებელი დღისა, რომელიც უნდა გამოჩენილიყო ჟამთა დასასრულსა და ჟამთა დასაწყისს, ესე იგი, მესიის მოსვლისას. მოვიდა უფალი ქვეყნად და თავისი ქმნილების გამოსახსნელად შაბათ დღეს ჯოჯოხეთში ჩავიდა. განაახლა ადამიანი და ჯოჯოხეთიდან ჭეშმარიტ განსასვენებელში - ცათა სასუფეველში შეიყვანა, ერთშაბათს, ანუ კვირას აღდგა და დღე განსვენებისა - შაბათი კვირით შეცვალა. შემოქმედმა თავისი საქმე აღასრულა და თავისი აღდგომით „წმიდა-ყო დღე იგი".

წმინდა **იოანე ოქროპირი** ამბობს: „კვირაში შვიდი დღეა. ეს შვიდი დღე ღმერთმა ჩვენთან გაყო ისე, რომ თავისთვის ბევრი არ აიღო და არც ჩვენ მოგვცა ცოტა. თანაბრადაც კი არ გაყო, არამედ შენ ექვსი დღე დაგითმო, თვითონ ერთი დაიტოვა. შენ კი ამ დღესაც არ გსურს თავი შეიკავო ამქვეყნიური საზრუნავისაგან".

ადამიანი, რომელიც ღვთისათვის განკუთვნილ დღეს მიისაკუთრებს, თავისთვის გამოიყენებს, არის ქურდი. ეს დღე ღმერთს ეკუთვნის. ღმერთს არ აკლია დღე და საერთოდ, არ აკლია არაფერი, მაგრამ რაკი ეს ჩვენი სულისათვის არის საჭირო, იმისათვის, რომ ვცხონდებოდეთ, რამდენადმე მიიმჩემლივანია ეს დღე, რამე სხვა სახელი კი არ დაარქვა, არამედ თავისი სახელი უწოდა. „კვირა" ბერძნული სიტყვა „კირიოდან" მოდის და ნიშნავს „უფალს".

**- რა არის ზიარება? რატომ ვეზიარებით?**

- ღმერთი მოვიდა ქვეყნად და ადამიანური ბუნება მიიღო. პავლე მოციქული ამბობს: „ერთსაცა ეზიარა ხორცსა და სისხლსა". ესე იგი, ჩვენი ხორცი და სისხლი მიიღო. უფალმა ჩვენი ბუნებისაგან ყველაფერი აიღო, ცოდვის გარდა. ამით ჩვენი თანაზიარი გახდა. ეს ყოველივე კი იმისათვის მოიმოქმედა, რომ ჩვენც მისი თანაზიარი ვყოფილიყავით. ამისთვის მოგვცა ხორცი და სისხლი საჭმელად და სასმელად. ეს არ არის სიმბოლო, ეს არის ქრისტეს ჭეშმარიტი სისხლი და ხორცი. ის ჩვენს



ბუნებას ეზიარა, თავისი ხორცი და სისხლი, განწმენდილი ჩვენ მოგვცა საჭმელად და ამით განღმრთობას გვანიჭებს. ღმერთი კაც იქმნა და ამით ჩვენც განგვაღმრთობს. ღმერთმა ადამიანი თავის ხატად და მსგავსად შექმნა. ცოდვით დაცემის შემდეგ ჩვენ ღმერთს დავშორდით. რაც დავკარგეთ, იმას მისი სისხლისა და ხორცის ზიარებით აღვიდგენთ. აქვე ვუერთდებით ქრისტეს, რათა ამქვეყნიდან გავალთ თუ არა, მასთან ვიყოთ. მსგავსი მსგავსთან მივიდეს.

**- მამა თეიმურაზ, აუცილებელია თუ არა ხშირი ზიარება? არის თუ არა განსაზღვრული ზიარების რაოდენობა, ანუ რამდენჯერ შეგვიძლია ვეზიაროთ?**

- წირვაზე ხშირი დასწრება თავისთავად გულისხმობდა ხშირ ზიარებასაც, რადგან ძველად ყოველ წირვაზე ეზიარებოდნენ. ზიარების მიღება დღეში მხოლოდ ერთხელ შეიძლებოდა.

**თეოფანე დაყუდებული** ყოველდღიურად აღასრულებდა წირვას და თავისთავად ცხადია, ეზიარებოდა კიდეც. წმინდა ბასილი დიდი სწერს ერთ ქალბატონს: „კეთილ არს და სასარგებლო ზიარება ყოველდღიურად და მიღება ყოვლადწმიდისა ხორცისა და სისხლისა ქრისტესი, ვინაიდან გარკვევით ამბობს თვით ქრისტე: „რომელი სჭამდეს ხორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, აქუნდეს ცხოვრებაი საუკუნოი" (იოანე 6,54). ჩვენ ყოველ შვიდეულში ოთხჯერ ვეზიარებით- კვირას, ოთხშაბათს, პარასკევსა და შაბათს; და ასევე ვეზიარებით სხვა დღეებშიც, თუ რომელიმე წმინდანის ხსენება აღესრულება".

თუ გვსურს საუკუნო

ცხოვრებას მივემთხვიოთ, ამ ცხოვრების მომნიჭებელი პურიც ხშირად უნდა მივიღოთ, რადგან არ ვიცით, როდის დადგება ჟამი ჩვენი ამ სოფლით განსვლისა.

ვამბობთ რა ლოცვას „მამაო ჩვენო", ამით, უპირველეს ყოვლისა, ზიარებას ვითხოვთ. წმ. **კირილე იერუსალიმელი** ასე განმარტავს ამ ლოცვას: „პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს", ჩვეულებრივი პური არ არის არსობისა. ეს წმინდა პური კი (სისხლი და ხორცი უფლისა) არსობისაა, ე.ი. სულის არსზე მოქმედებს. ეს პური მიეცემა მთელ შენს არსებას სულისა და ხორცის სასარგებლოდ. სიტყვა „დღეს" კი გამოყენებულია „ყოველი დღის" ნაცვლად. ესე იგი, თუკი შესაძლებლობა გვექნება და კრძალულებითა და საკუთარი თავის გამოცდით მოვემზადებით, ზიარების მიღება ყოველდღიურად საჭირო და სასარგებლო ყოფილა.

თუ უზიარებლობის სასჯელი არ გვაღელვებს, უნდა ვეცადოთ, როცა კი ვიქნებით ჟამის წირვაზე, არასოდეს შევაქციოთ ზურგი ამ წმინდა ძღვენს, ვინაიდან ჩვენთვის დაიკლა, ჩვენთვის განიტეხა ეს პური. ამიტომაც მიმართავს მღვდელი წირვაზე მყოფებს ქრისტეს სიტყვებით, რომ თქვენთვის არის განტეხილი ეს პური, თქვენთვის, ყოველთათვის არის დათხეული ეს სისხლი (მათე 26, 26-28). როგორ შეიძლება ჩვენ მის მიღებაზე უარი ვთქვათ? **მაკარი მეგვიპტელი** ერთ ქალს ასე მიმართავს: „არასოდეს მიატოვო ეკლესიაში სიარული, ქრისტეს საიდუმლოთა ზიარებას არასოდეს აარიდო თავი. უბედურება იმიტომ შეგემთხვა, რომ უკვე ხუთი კვირაა, რაც შენ ქრისტეს საიდუმლოთა ზიარებას არ მიმთხვევიხარ". მაკარი მეგვიპტელი დიდ დროდ თვლის ხუთი კვირის უზიარებლობას.

არასწორია, თავის უღირსად ჩათვლის გამო, იშვიათად რომ ეზიარებოდეს ადამიანი. იგი მდაბალია და სიწმინდეს კი არ უნდა მოაკლდეს, არამედ უნდა ებრძოლოს იმას, რაც ამ სიწმინდისაგან აბრკოლებს. კიდევ ვიმეორებთ, რომ ხშირი ზიარება წესია, ხოლო ზიარების აკრძალვა სასჯელია. თავს ნუ დავისჯით, ნურც სხვას დავსჯით ამ მძიმე სასჯელით, თუ ამის მიზეზი არ იქნება ისეთი ცოდვები, რის გამოც სჯულის კანონი გარკვეული დროით კრძალავს ზიარების მიღებას.

**- ეკლესიაში ხშირად გაიგონებთ, რომ ზიარების წინ ბარძიმთან მიახლოებისას არ შეიძლება პირჯვრის გადაწერა. იქნებ აგვიხსნათ, რატომ?**

- ტაძარში ასეთი აკრძალვები ხშირად გაისმის, მაგრამ ეს გაფრთხილება ისმის ისე, თითქოს რაღაც საიდუმლო მხარე ჰქონდეს და ამის გაკეთება, ჩვენს შემთხვევაში პირჯვრის გადაწერა, საშიში იყოს. ამ აკრძალვების წარმოშობის უმთავრესი მიზეზი კი ხალხის უმეტესობამ არ იცის. ბარძიმთან მიახლოებულმა მორწმუნემ შემთხვევით მოძღვარს ბარძიმზე ხელი რომ არ აჰკრას, უმჯობესია, რაც შეიძლება ნაკლები მოძრაობები გააკეთოს და მშვიდად ეზიაროს. ამ აკრძალვას არა აქვს რაიმე საკრალური მნიშვნელობა, აქვს მხოლოდ პრაქტიკული დანიშნულება.

**- ასევე ბევრი ამბობს, რომ ზიარების შემდეგ არ შეიძლება არც ხატების მთხვევა და არც მეტანია. თუ შეიძლება აგვიხსენით, რატომ?**

- ამასაც პრაქტიკული დანიშნულება აქვს. წმინდა ნაწილი შემთხვევით ბაგეზე რომ არ იყოს დარჩენილი და ხატების მთხვევის დროს ან მოძღვრის ხელზე მთხვევის დროს ამ საგნებზე რომ არ გადავიდეს, უმჯობესია ამ მოქმედებებისაგან თავი შევიკავოთ. ზიარების შემდეგ არ შეიძლება მეტანიის გაკეთება, რადგან წმინდა ნაწილი შეიძლება კარგად მიღებული არ იყოს და უკან გადმოვარდეს. ამ დროს მიღებული არ არის არც ლაპარაკი, არც კოცნა, არც მადლობის თქმა, არც ლოცვა. ლოცვა შეიძლება წარმოვთქვათ გულში. წმინდა ნაწილი რომ არ იყოს დარჩენილი, მისი კარგად მიღებისათვის ვაყოლებთ სეფისკვერსა და ღვინოს.

**- ბევრი ამბობს, თითქოსდა ზიარების წინ არ შეიძლება კბილების გაწმენდა. თქვენი აზრი ამ საკითხზე.**

- თუ რაიმეს ვკრძალავთ, ამის საფუძველი უნდა გვქონდეს. ეს უნდა იყოს ეკლესიის სწავლება და არა ჩვენი გამოგონილი დასკვნები. მთავარია, ზიარების წინ ადამიანი იყოს უზმოზე, არ მიიღოს არაფერი, თორემ სიფრთხილით (წყალი რომ არ გადავყლაპოთ) კბილების გაწმენდა შეიძლება.

**- სხვადასხვა აზრი არსებობს ბავშვების ზიარების შესახებაც. თვლიან, რომ ბავშვები დიდ ცოდვებს არ ჩადიან, ამიტომ ხშირი ზიარება არ სჭირდებათ. თქვენი აზრი ამ საკითხზე.**

- უფალმა რაკი ადამიანური ბუნება მიიღო, ბავშვებიც ამავე ბუნებისანი არიან. ამიტომ, რაც ეხება უფროსებს, მით უმეტეს, ეხება ბავშვებსაც. სახარებაში უფალი თვითონვე გამოყოფს ბავშვებს. ხშირად მათი ზიარება უფრო მოსახერხებელი და ადვილია, ვიდრე დიდისა. ამიტომ არ მოვაკლოთ ეს მადლი ბავშვებს და ხშირად ვაზიაროთ.

**- რა არის აღსარება და როდიდან დამკვიდრდა ეს წესი?**

- აღსარება, ცოდვების აღიარება მოდის ძველი აღთქმიდან. ახალ აღთქმაშიც **იოანე ნათლისმცემელსაც** ნათლისღების წინ აღუარებდნენ ცოდვებს. ძველი ქრისტიანები ცოდვებს მთელი კრებულის წინაშე, საჯაროდაც აღიარებდნენ. მერე ეს წესი შეიცვალა და პიროვნული აღსარებები დაწესდა.

**- არის ისეთი ცოდვები, რომლებიც დავიწყების გამო აღსარებაში არ გვითქვამს. ამბობენ, რომ ზეთის კურთხევის საიდუმლოს შესრულების დროს, ანუ შვიდგზის ზეთის ცხებისას დავიწყებული ცოდვები გვეპატიება. რას გვეტყოდით ამის შესახებ?**

- აქ ლაპარაკია ისეთ ცოდვებზე, რომლებიც საერთოდ არ გაგვახსენდება. ზეთის კურთხევის საიდუმლოს შესრულების შემდეგ, თუ რომელიმე დავიწყებული ცოდვა გაგვახსენდება, ის აუცილებლად აღსარებაში უნდა მოვინანიოთ.

**- დღეს ქართულ ეკლესიაში სავალდებულოა ყოველი ზიარების წინ აღსარების თქმა. მაგრამ არსებობს საწინააღმდეგო აზრიც. არიან მოძღვრები, რომლებიც ყოველი ზიარების წინ აღსარების თქმას სავალდებულოდ არ მიიჩნევენ. რას იტყოდით ამის შესახებ?**

- დღეს ქართულ ეკლესიაში სავალდებულოდ ითვლება ზიარების წინ აღსარების თქმა და ეს ორი საიდუმლო უმეტესად ერთად სრულდება, თუმცა არც „სჯულის კანონი", არც „სამღვდელო კონდაკი" და არც „კურთხევანი" მათ ერთად შესრულებას არ განაწესებს.

ძველი ქრისტიანები, როგორც ვნახეთ, თუ ყოველ წირვაზე არა, კვირაში რამდენჯერმე ან ერთხელ მაინც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეზიარებოდნენ. ნეტარი ავგუსტინეს შეხედულებით, მათთვის, ვინც არ არის შეკრული მომაკვდინებელი ცოდვებით, ზიარების წინ აღსარების თქმა აუცილებელი არ ყოფილა. მაგრამ მომაკვდინებელი ცოდვების ჩამდენნი, თუ არ სურთ ზიარება სამსჯავროდ გადაექცეთ, მღვდელთან აღსარებას უნდა აბარებდნენ და შემდეგომ, როცა მიიღებენ ცოდვათა გახსნას, ეზიარებოდნენ.

წმინდა მამები ურჩევდნენ ყოფათ აღსარება, მაგრამ არ ავალდებულებდნენ. აღსარების თქმა ხდებოდა ნებაყოფლობით, ეზიარებოდნენ აღსარების გარეშე. ზიარებაზე უარს მხოლოდ იმათ ეუბნებოდნენ, ვის შესახებაც იცოდნენ, რომ მომაკვდინებელი ცოდვები ჰქონდა ჩადენილი. თუ თვითონ არ ისურვებდა ადამიანი, თავისი ცოდვების შესახებ არაფერს ეკითხებოდნენ და უპირობოდ აზიარებდნენ. აღსარება და ზიარება თავდაპირველად არ უკავშირდებოდა ერთმანეთს. მათი დაკავშირება მოგვიანებით მოხდა. იშვიათი ზიარებისა და უშუალოდ ზიარების წინ აღსარების თქმის წესი ჩვენში რუსული ეკლესიიდან გადმოვიდა. რუსულ ეკლესიაში კი ეს წესი მე-17 საუკუნიდან დამკვიდრდა (დაწვრილებით იხ. წიგნში - დეკანოზ თეიმურაზ ჩანიბაია - „ზიარებისა და აღსარებისათვის").

21684

ყოველი ზიარების წინ აღსარების თქმა არ არის აუცილებელი მათთვის, ვისაც მომაკვდინებელი ცოდვები არ ჩაუდენია. რა თქმა უნდა, უცოდველნი არც ისინი არიან, მაგრამ მათი ცოდვები ყოველ წამს შეიძლება განმეორდეს და ასეც ხდება. შეუძლებელია აღსარების შემდეგ ისე მიუდეს კაცი ზიარებამდე, რომ გონება არ გაუბნდეს, თვალი არ გაექცეს, არავინ განიკითხოს, წარსული არ გაახსენდეს, მომავალზე ფიქრმა არ გაიტაცოს, არ გაღიზიანდეს, არაფერი ეწყინოს... გაუთავებლად ხომ არ იქნის აღსარებაზე, ვიდრე ეზიარებოდეს, ან მოძღვარი ხომ ვერ მიაცილებს ყველას ბარძიმამდე.

აღსარება უნდა ითქვას ნებისმიერ დროს და არა მაინცდამაინც ზიარების წინ. ყოველი ზიარების წინ აღსარების თქმა პრაქტიკულად ყოვლად შეუძლებელია. ეს ასეა ყველა ეკლესიაში დღესაც, გარდა რუსულისა და ქართულისა.

ნუ მრევლს მოუწოდებთ ცოდვების აღიარებისაკენ. ეს არის მოწოდება ადამიანის თავისუფალი ნებისა სინანულისაკენ. როგორც **იოანე ოქროპირი** ამბობს, ღვთისათვის სათნოა ნებით ქმნილი სათნოება და არა იძულებითი. სინანული იძულებით როგორ შეიძლება? როგორ შეიძლება ადამიანი აიძულო თქვას აღსარება, შეინანოს? შეიძლება მოუწოდო. მოწოდება შეიძლება იყოს მკაცრიც, მამხილებელიც. მოძღვარმა ამ დროის სიტყვით შეიძლება ყველა ხერხი იხმაროს, მაგრამ მორწმუნე ამას გააკეთებს თუ არა, ეს მისი ნებაა.



**- მამა თეიმურაზ, დიდი მადლობა საინტერესო საუბრისათვის.**

რუბრიკას უძღვება
ნინო კვანტალიანი

## ნათელა ჭახნაკია

# მეკვლე

**ქართული სიტყვა ისეთივე საოცარი ფენომენია, როგორც ქართული სული და ქართველი კაცის ბუნება. მრავალსაუკუნოვან წიაღში იშვა ლექსიკური უნიკუმი: დღესასწაული, იავნანა, ცისარტყელა, ციცინათელა, ჭირისუფალი, მზეთუნახავი, ცხრაკლიტული, ნატვრისთვალი და ა.შ. ეს სიტყვები ისეთივე უკვდავ, მარადიულ, ხატსახიერ ძეგლებს წარმოადგენენ ჩვენი სულიერებისას, როგორიცაა სვეტიცხოველი, ვარძია, ნიკორწმინდა, ვეფხისტყაოსანი და სხვა. ქართულ ენაში, ვითარცა ჯადოსნურ სალაროში, სიტყვის ნამდვილი დღესასწაულია.**

**ჩვენი დღევანდელი საუბრის თემა არის სიტყვა მეკვლე.**

**მეკვლეობა** ახალ წელთან დაკავშირებული უმშვენიერესი რიტუალური ტრადიციაა გალოცვისა, დალოცვისა, მილოცვისა და უიშვიათესი ხატსახიერებით არის დამკვიდრებული ჩვენს ცნობიერებაში.

საქართველო ულამაზესი ტრადიციების ქვეყანაა. ტრადიცია იდუმალი ზეშთაგონებითი ძალაა, ტაძარია ჩვენი სულიერებისა, რომელიც დროთა შეურყვნელ მდინარებაში გამოაბრწყინებს ხოლმე წუთებს, დღეებსა და ურჩეულესს, ვითარცა ჟამს სიხარულისა, სიწმინდისა და ამაღლებულობისა. ქართულმა გონებამ იგი ერთ სიტყვად, ერთ ცნებად გამოაქანდაკა - დღესასწაული, რომელიც სრულყოფილად ასახიერებს სარიტუალო, საკრალურ დღეთა საზეიმო დანიშნულებას. ყოველი დღესასწაული ამაღლებულ განწყობილებათა და განცდათა მრავალფეროვნებაა, საკვირველება და სასწაულთქმედებაა საგანგებო წეს-ჩვეულებებით გამოხატული და გალამაზებული. დღესასწაულზე იშვებს და ხარობს ჩვენი გული, სინათლე და სიწმინდე შემოაქვს ჩვენს ყოველდღიურობაში.

და აი, ახლაც ჩვენს წინაა ყველაზე რჩეული დღესასწაული - ახალი წელი, რომელიც პირველ იანვარს აღინიშნება, როგორც ყოველი ახალი წლის საწყისი და დამდეგი დღე. ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა რამდენიმე საინტერესო ცნობა:

იანვარი-წარმოსდგება რომაული ორსახოვანი ღმერთის იანუსის სახელიდან. იგი იყო დროისა და კარის მფარველი ღვთაება.

იანვარი წლის პირველ თვედ გამოცხადდა რომში, ძველი წელთაღრიცხვით 46 წელს.

წლის დასაწყისად 1 იანვარი საქართველოში შემოღებულია მეთე საუკუნიდან. მანამდე კი ახალი წელი იწყებოდა სეკდემბრიდან; ამიტომაა, სეკდემბერს ძველქართულად „ახალწლისა" ჰქვია, იანვარს კი - აპანი.

ახალი წლის უპირველეს პერსონაჟსა და მშვენებას სწორედ **მეკვლე** წარმოადგენს; იგი უპირესად რიტუალური ხასიათისაა, რომელიც დღემდე უცვლელად არის შენარჩუნებული, მრავალმხრივ შესწავლილი და



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოკვლეული. ჩვენთვის ფრიად მნიშვნელოვანია მისი, როგორც ქართული სიტყვის ფენომენალური შესაძლებლობის გამოვლინება; თუ როგორ შეიქმნა, როგორ დაიბადა ჩვენს ცნობიერებაში?

**მეკვლე** ქართულ ლექსიკაში განსაკუთრებული ღირებულების ლექსიკური ერთეულია. მას, როგორც ლიტერატურულ ფორმას, მოეპოვება დიალექტური შესატყვისობანი: მეკვრისავი, მეფეხე, მეფეხური, რომლებიც ძირითადი აზრობრივი შინაარსით ერთიანდებიან.

**მეკვლე**. პირდაპირი გაგებით, აღნიშნავს პირს, ვინც წინ მიუძღვის, გზას უკვალავს ვისმეს. იგი წარმოქმნილი სიტყვაა და მის ძირეულ ნაწილს წარმოადგენს **კვალი**. სულხან-საბა ორბელიანი ამ სიტყვის მეტად საინტერესო განმარტებას გვაძლევს. „კვალი (კვალი, ნაფეხვარი). მხოვლითი კვალს უხმობენ ხნულს ორნატსა და ბოსტნის მარგსა". ამ განსაზღვრების ნათელსაყოფად აქვე მოგვყავს საბასვე განმარტებანი სიტყვებისა **ორნატი** და **მარგი**, რომლებიც ძველი ქართული სიტყვებია და დღევანდელ ლექსიკაში არ გვხვდება:

„**მარგი**-ბოსტნის რიგის კვალებია".

„**ორნატი**-არს ერთხელ გავლილი ერქვანი გახნვად, არა ორგზის და სამ, ვითარცა ხნულ, არამედ ერთ. ორნატი ესე არს სახნველთა მიერ გაკვალეული. კვალი არა რასა ეწოდების, თვინიერ და საკვლევლისა ფერხთასა".

ე.ი. **კვალი** არის ნატერფალები, აგრეთვე ერქვანის (გუთნის) მიერ გაკვალეული პირველი ნაკვალევი, ხოლო მეორედ და მესამედ ნახნავს უკვე **ხნული** ეწოდება. მეტად ნიშნეულია, რომ **ორნატი**, იგივე კვალი (თუმცა პირველი სახნავია და არა მეორე და მესამე), **კვალი** უფრო ფართო მნიშვნელობისაა, რამდენადაც კვალი არის ფეხის ნაკვალევიც, გუთნის სახნავიც და ბოსტნის მარგიც, ორნატი კი მხოლოდ გუთნის პირველ ნახნავს, პირველ გატანილ ნაკვალევს ეწოდება.

გადატანითი მნიშვნელობით **მეკვლე** უდრესად სიმბოლური გააზრებისაა და უპირველეს ყოვლისა, ქართული ტრადიციული ყოფის ერთ-ერთ ულამაზეს გამოხატულებას წარმოადგენს ძველი ქართული ლექსიკონების მიხედვით.

**მეკვლე** არის მეძღვნე, მომკვლევი ახალს წელიწადისა. ასეა ახსნილი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ერთტომეულშიც. პირი, რომელიც ახალი წლის დილით პირველი შედის ვისამე ოჯახში და ულოცავს ახალი წლის დადგომას.

მეკვლეობა, როგორც ახალი წლის ბედნიერად შეხვედრისა და კეთილად დაბედების უმშვენიერესი რიტუალი, მხოლოდ ქართული სინამდვილისათვის რიგია დამახასიათებელი. იგი მრავალნაირი სხვადასხვა ფორმით ვლინდება ერთა და ქვეყანათა შორის, მაგრამ ქართულ ყოფაში იძენს მაღალ ესთეტიკურ ღირებულებას, რომლის სიტყვიერ დაგვირგვინებას სწორედ მეკვლე წარმოადგენს. დიალექტური სინონიმების **მეფეხავისა** და **მეფეხეს** ერთ საერთო ძირს **ფეხს** მეკვლეში ენაცვლება **კვლ** შეკუმშული ნაწილი **კვალ** სრული ფუძისა. როგორ ავხსნათ ეს?- სრულიად ბუნებრივად **კვალი**, თავისთავად ხომ ნაფეხურს, ფეხის ნაბიჯებს, ნატერფალებს ნიშნავს, ასე რომ, **მეკვლე** უკვე წარმოადგენს სრულყოფილ, დახვეწილს და გაუმჯობესებულ ფორმას, გამდიდრებულს ყოფით-რიტუალური გააზრებითა და მაღალი სახიერებით.

**მეკვლეს** ძირეული ფორმა **კვალი** თავისებურ საინტერესო ახსნას გვაძლევს ამ სიტყვის სრული გააზრებისათვის.

ვიცით, რომ **კვალი** პირველს, ახალს, საწყისს წარმოადგენს, როგორც ხილულ ანაბეჭდს, სახეს, ფორმას. ამდენად მეკვლეობაც ინარჩუნებს მისი ძირეული ფორმის ლექსიკურ შინაარსს პირველობისა, სიახლისა და განუმეორებლობისას, ქმედითი, აქტიური შემსრულებლის სახით. **კვალი** თუ მოქმედების შედეგი, სტატიკური ფორმაა, **მეკვლე** რეალურად მოქმედი სუბიექტია, რომელიც, თავისთავად, ახალ ზნეობრივ-მორალურ დატვირთვას იძენს და მთელი სადღესასწაულო რიტუალის მთავარ ფენომენად გვევლინება. ეს სიტყვა საოცარი ძალმოსილებისაა და ხატოვნად, მრავალგვარი გააზრებით წარმოაჩენს საგნის დედაარსს.

**მეკვლე** - ე.ი. გზის გამკვალავი, მეწინავე, წინამძღვარი.

**მეკვლე** - საახალწლო რიტუალის მთავარი პერსონაჟი, ოჯახის მეძღვნე, პირველი მახარობელი, პირველი მაცნე.

**მეკვლე**-ყველასაგან რჩეული, ფეხბედნიერი პიროვნებაა, რომელსაც ძალუძს მხოლოდ დოვლათითა და სიხარულით სავსე ახალი წელი მოუტანოს ადამიანებს.

**კვალისაგან** არის ნაწარმოები აგრეთვე მეცნიერებაში ღრმად დამკვიდრებული ცნება- ტერმინები მკვლევარი, კვლევა, მიკვლევა, საკვლევი, ნაკვლევი, მოკვლევა, გამოკვლევა, ასე ფართოდ და შემოქმედებითად რომ ათვალსაჩინოებენ ადამიანის ცხოვრების მიზანსა და დანიშნულებას, მის ღვაწლსა და შრომისუნარიანობას.

დღევანდელ ლექსიკაში **მეკვლემ** კიდევ უფრო მეტი ესთეტიკური დატვირთვა შეიძინა. **მეკვლეს** უწოდებენ ყოველ დიდ მოაზროვნესა და შემოქმედს, ახალ საქმეთა მოთავესა და ფუძემდებელს, ერისა და ქვეყნისათვის თავდადებულსა და მოჭირნახულეს.

**მეკვლე** სიტყვის სახიერება დასაბამიდანვე მის უძლიერესად რიტუალურ გააზრებაშია. ამ მხრივ მას ვერც სინონიმური შესატყვისობანი ენაცვლებიან და ვერც მისი სხვა ესთეტიკური გააზრებანი უთანაბრდებიან. **მეკვლე** ერთადერთი უცვლელი და ორიგინალური ქართული სიტყვაა, რომელიც ჩვენი ყოფის ფრიად გამორჩეული საახალწლო დღესასწაულში მკვიდრობს და მეუფობს.

**მეკვლე** ჩვენს ცნობიერებაში ყველაზე ლამაზი ხატია სიკეთისა და ბედნიერებისა, დოვლათისა და სანუკვარ ოცნებათა აღსრულებისა. **მეკვლე** და **მეკვლეობა** ქართულ სულსა და გონებაში ფეხბედნიერობასთან დაკავშირებული ყველა სიტყვა-ცნებათა დახვეწილი და ნატიფი სახიერებაა. სხეულის ორგანული ნაწილის, გამომხატველ სიტყვას **ფეხი** მოიარებით და სახიერი ლაკონურობით ენაცვლება **კვალი** ახლად წარმოქმნილ ესთეტიკურ ფენომენში **მეკვლე**, რომელიც რჩეული სახიერებით ერთვის ქართული ლექსიკის მრავალსაუკუნოვან წიაღს.

# სწორია:

## ბავშვები სკოლაში არიან...

როგორც ცნობილია, ყველა ენაში არსებობს საგნისა და ასევე მოქმედება-მდგომარეობის აღმნიშვნელი სიტყვები, ანუ არსებითი სახელები და ზმნები. წინადადებაში ისინი, როგორც წესი, ცალ-ცალკე სიტყვით გამოიხატება. მაგ. სიხარულის დღეს, ბავშვები თამაშობენ, მღერიან, საუბრობენ და ა.შ. მაგრამ ხანდახან ზმნა შეიძლება სახელს შეერწყას - ამ შემთხვევაში ერთი სიტყვით გამოიცემა სახელიც და ზმნაც, ანუ საგანი და მოქმედება ან მდგომარეობა. ეს შესაძლებელია მხოლოდ „ყოფნა“ ზმნის III პირის მხოლობითი რიცხვის ახლანდელი დროის ფორმასთან „არის“. ასე რომ, შეიძლება ითქვას, „ეს სახლი არის“ და „ეს სახლია“; ასევე „ნინო სტუდენტი არის“ და „ნინო სტუდენტია“. „ის კარგი კაცი არის“ და „ის კარგი კაცია“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელისა და ზმნის ამგვარი შერწყმა მხოლოდ „არის“ ფორმასთან ხდება. ამავე ზმნის მრავლობითი რიცხვის ფორმა „არიან“ ამ შერწყმას არ ექვემდებარება. ამიტომ შეცდომაა ისეთი სიტყვათშეხამებები, როგორიცაა: „სცენაზე ესტრადის ვარსკვლავებია“, „ესენი მგლის ლეკვებია“, „ბავშვები სკოლაშია“. ამ გამოთქმებში ზმნა მრავლობით რიცხვში იგულისხმება, რადგან არსებითი სახელი სულიერია და მრავლობით რიცხვში დგას. „არიან“ ფორმა კი, როგორც ითქვა, ვერ ერწყმის სახელს. ეს შეცდომები ისეთი წინადადებების ანალოგით ხდება, როგორიცაა: „რა ლამაზი ყვავილებია“, „ესენი ვარდის ბუჩქებია“ და ა.შ. მართალია, არსებითი სახელი აქაც მრავლობით რიცხვში დგას, მაგრამ ის უსულოთა ჯგუფს განეკუთვნება და ქართული ენის კანონებით ზმნის მხოლობითი რიცხვის ფორმას შეიწყობს. სახელისა და ზმნის შერწყმისას კი მხოლოდ ზმნის რიცხვს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ასე რომ, თუმცა **სწორია** წინადადებები: **„რა ლამაზი ბავშვია“, „რა კარგი ყვავილებია“, „ესენი ვარდის ბუჩქებია“**, მაგრამ სულიერთა ჯგუფის მრავლობითი რიცხვის არსებით სახელებთან შემდეგი წინადადებებია მართებული: **„სცენაზე არიან ესტრადის ვარსკვლავები“, „ესენი მგლის ლეკვები არიან“, „ბავშვები სკოლაში არიან“** და ა.შ.

## უარვყოფ, სრულვყოფ...

ქართულში ზოგიერთი ზმნა რთული შედგენილობისაა: პირველი შემადგენელი ნაწილი სახელია, მეორე კი - „ყოფა“ ზმნა. ასეთი ტიპის ფორმები საკმაოდ ხშირად გვხვდება ყოველდღიურ მეტყველებაში: შეურაცხყოფს, უგულებელყოფს, სრულყოფს, უარყოფს, უზრუნველყოფს, ხელყოფს და სხვები.

ასეთი ზმნები ზმნისწინს არ დაირთავენ და ამიტომ ერთი და იმავე ფორმამ შეიძლება გამოხატოს როგორც ახლანდელი, ისე მომავალი დრო. მაგ. „ის ამ აზრს ახლაც უარყოფს“ - აწმყოა, ხოლო „დღეს ამ აზრს ადასტურებს, ხვალ კი უარყოფს“ - მომავალი.

შეცდომები ამ ტიპის ზმნების I პირის ფორმებთან მოგვდის, სადაც I სუბიექტური პირის ვ თავსართი, რომელიც ჩვეულებრივ ზმნას თავში ერთვის (ვხატავ, ვრეცხავ, ვწერ) 3 სხვადასხვა ადგილას შეიძლება შევხვდეთ: თავში, შუაში, ან ორივეგან ერთად. ასე გაჩნდა ერთი სიტყვის 3 სხვადასხვაგვარი ვარიანტი: უარვყოფ, ვუარყოფ და ვუარვყოფ. III ვარიანტი „ვუარვყოფ“ ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ მცდარია: ორი ვ თავსართიდან ერთ-ერთიც საკმარისია I პირის გამოსახატავად. მაგრამ რომელი ფორმაა მართებული: უარვყოფ თუ ვუარყოფ? ვინაიდან ამ ტიპის ფორმა ჯერ კიდევ გაიაზრება, როგორც სახელისა და ზმნისაგან შედგენილი, ამიტომ ვ თავსართი, რომელიც ზმნის კუთვნილებაა, სიტყვის სწორედ ზმნურ ნაწილს უძღვის წინ, მაგრამ მთლიანი სიტყვის შუაგულში აღმოჩნდება; ასე რომ, მართებულია ფორმები: **უარვყოფ, შეურაცხვყოფ, სრულვყოფ** და ა.შ. მათ სისწორეს ადასტურებს ფორმები, სადაც ობიექტიც I ან II პირია. მათი აღმნიშვნელი პრეფიქსები მ/გ (მხატავს ის მე/გხატავს ის შენ.) განხილულ ფორმებში სწორედ შუაში, ზმნური ნაწილის წინ დგას: არავინ ამბობს „მუარყოფს ის მე“, არამედ „უარმყოფს ის მე“, ასევე არ ითქმის „გშეურაცხყოფს ის შენ“, არამედ „შეურაცხგყოფს ის შენ“. აქედან გამომდინარე, I სუბიექტური პირის ნიშანი ვ-ც ამ ტიპის ფორმებთან სიტყვის შუაში უნდა ვიხმაროთ.

## აღვნიშნავ, აღვზრდი...

ქართულში ზმნას, ანუ მოქმედების და მდგომარეობის აღმნიშვნელ სიტყვას წინ შეიძლება ერთი ან მეტი მარცვლისაგან შემდგარი თავსართი, ანუ ზმნისწინი, დაერთოს. ზმნისწინის ძირითადი დანიშნულება მიმართულების ჩვენებაა. მას ასევე ზმნის მომავალ დროში გადაყვანაც შეუძლია. მაგ.: ის მას წერილს სწერს - აწმყოა; ამ ფორმას რომ ზმნისწინი „მი“ დავურთოთ, მივიღებთ ზმნას - მისწერს ის მას წერილს, რომელიც უკვე მომავალ დროშია და განსაზღვრულ მიმართულებასაც გვიჩვენებს.

ზმნისწინი ზმნას, როგორც წესი, სულ წინ დაერთვის. ზმნისწინით იწყება ზმნა, შემდეგ მოდის ყველა სხვა ნიშანი - პირისა თუ სხვა კატეგორიის აღმნიშვნელი. მაგ. ვწერ-**და**ვწერ; ვხატავ-**და**ვხატავ; ვუშენებ-**მი**ვუშენებ და ა.შ. როგორც ვხედავთ, წესი საკმაოდ მარტივია, მაგრამ გამონაკლისი მაინც იჩენს თავს **აღ** - ზმნისწინის დართვისას. ჩვენ მიერ აღნიშნული წესის თანახმად გვაქვს ფორმები: **აღ**ვწერ, **აღ**ვზრდი, **აღ**ვნუსხავ, **აღ**ვნიშნავ - ჯერ ზმნისწინი **აღ-**, შემდეგ სხვა მაწარმოებლები და ფუძე. მაგრამ ზოგჯერ **აღ-** ზმნისწინს არ აღიქვამენ ერთიან ფორმანტად და თიშავენ მას I პირის **ვ-** ნიშნით. ასე მივიღეთ არასწორი ფორმები: ავღნიშნავ, ავღზრდი, ავღნუსხავ და სხვები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, **აღ-** ერთიანი ზმნისწინია და ის წინ უძღვის ფუძეს და ყველა სხვა მაწარმოებელს. ასე რომ, მართებულია ფორმები: **აღვნიშნავ, აღვზრდი, აღვნუსხავ** და ა.შ..

ერთადერთი გამონაკლისი ამ წესისა არის „აღიარება“ ზმნა, რომელშიც უკვე კარგა ხნის წინ არის დამკვიდრებული ქართულისთვის უცხო თანმიმდევრობა - ჯერ პირის ნიშანი, შემდეგ კი ზმნისწინი, ვინაიდან **აღ-** თავსართი უკვე ზმნის ფუძის კუთვნილება გახდა. ასე რომ, სწორ ფორმად დამკვიდრდა: **ვაღიარებ, ვაღიარებთ.**

განვაგრძობთ ბეჭდვას საქართველოს ტელევიზიის პირველი არხით გადაცემული სიუჟეტების ტექსტისას. მისი ავტორი არის არნ. ჩიქობავას სახელობის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების მეცნიერ თანამშრომელი ნინო ჯორბენაძე; კონსულტანტი - ამ განყოფილების ხელმძღვანელი, დოცენტი შუქია აფრიდონიძე. მასალა მომზადებულია „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებისა“ და „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ კრებულების მიხედვით.

## ომარ გვეტაძე

# „მაშინ არ ავად ვიყვენით"

მხატვრული ლიტერატურის განვითარება ისტორიული ასპექტით უწყვეტი პროცესის სახით წარმოგვიდგება. ერთმანეთისაგან დაშორებულ ეპოქებში თითქოს ხელახლა იბადებიან მსგავსი თემები, განწყობილებანი, პერსონაჟთა სახეები, რომლებიც ეპაექრებიან, ზოგჯერ იმეორებენ, ავსებენ ერთმანეთს ან უარყოფის გზით ახალი შინაარსით ივსებიან. თანამედროვე ქართული მწერლობაც მემკვიდრეა ძველი ქართული ლიტერატურის მდიდარი ტრადიციებისა. ძველი ქართული პროზის საუკეთესო ნიმუშები გამსჭვალულია სიკეთის დამკვიდრებისა და ბოროტებასთან უკომპრომისო ბრძოლის სულისკვეთებით, სამშობლოს სიყვარულითა და მაღალჰუმანური იდეალებით. ეს მარადცოცხალი ძარღვი ეროვნული მწერლობისა დღესაც ასაზრდოებს ქართულ ლიტერატურას: პოეზიას, პროზას, დრამატურგიას... ამ წერილში გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ერთ კონკრეტულ საკითხზე, კერძოდ, თანამედროვე ქართველი პოეტის ნაწარმოებისა და ძველი ქართული სარაინდო რომანის მხატვრულ სახეთა ურთიერთმიმართებაზე. მხედველობაში გვაქვს ავთანდილ ყურაშვილის მიერ ჟურნალ განთიადში (1988 წ. №4) გამოქვეყნებული ვრცელი ლექსი: „Куда აქვე. Кому... ამირანდარეჯანის ძეს მოკითხვამდე... Адрес - ხოფ. ლეირიში" და მისი ხიბლის „ამირანდარეჯანიანი". ქართველი მკითხველისათვის კარგადაა ცნობილი ისტორიულ თემაზე დაწერილი მრავალი შესანიშნავი ნაწარმოები, რომლებშიც მოცემულია საერო თუ სასულიერო თხზულებათა თემებისა და პერსონაჟების ახლებური გააზრება, ორიგინალური ინტერპრეტაცია... ლიტერატურის ისტორიისათვის ასეთი პარალელების გავლება ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს. რატომ მიმართა თანამედროვე ქართველმა პოეტმა ძველი ქართული სარაინდო რომანის გმირს ამირანდარეჯანის ძეს? რატომ გაიხსენა დღეს შუასაუკუნეების ქართული ყოფის სამყარო, იმდროინდელი ყოფა, ზნეობა და გროტესკის ხერხის გამოყენებით დაუპირისპირა დღევანდელობას? ამ კითხვებს, რომლებზედაც შევეცდებით პასუხი გავცეთ.

უკანასკნელ ხანს, როდესაც მიმდინარეობს ღირებულებათა გადაფასების მტკივნეული პროცესი, როდესაც დაიმსხვრა ძველი სტერეოტიპები, ახალი ცხოვრებისეული ყოფის კონტურები ჯერ რეალურად გამოკვეთილიც კი არ არის, სახეზეა პიროვნების შინაგანი გაორების, გაუცხოების შეუქცევადი პროცესი. ძალზე მნიშვნელოვანია თუ ქართული მწერლობა როგორ ასახავს ამ ვითარებას- იქნება მხოლოდ ფაქტების მაკონსტანტირებელი თუ სიკეთისა და ბოროტების, სინათლისა და სიბნელის ბრძოლას მარადიულ პლანში გაიაზრებს, მხატვრულ დამაჯერებლობას მიანიჭებს. ბევრი ისეთი ნაწარმოები ვიცით, რომლებიც თავის დროზე შესაშური ოპერატიულობით გამოეხმაურნენ ამა თუ იმ ნეგატიურ მოვლენას, მოწონებაც დაიმსახურეს, მაგრამ გაქრა თუ არა ასეთი ანტისაზოგადოებრივი მოვლენების სოციალური საფუძველი, ამ რიგის ნაწარმოებებმაც მაშინვე დაკარგეს თავიანთი აქტუალურობა და მკითხველის ინტერესიც. დღეს უკვე ბიბლიოთეკის თაროებზე შემოწყობილ ამ მტვერწაყრილ ნაწარმოებებს იშვიათად თუ ვინმე მოუბრუნდეს. ავთანდილ ყურაშვილი დღევანდელობის საჭირბოროტო საკითხებზე დაფიქრებული შემოქმედია. ნიჭიერმა პოეტმა მოძებნა ორიგინალური გზა, რათა მხატვრული პარალელიზმის მოხმობით გამოეხატა თავისი მოქალაქეობრივი პოზიცია, თავისი მწერლური დამოკიდებულება ყველაფერ იმისადმი, რაც ჩვენს გარშემო ხდება. განსახილველი ლექსის ლირიკული გმირის მიმართვის ადრესატია ამირანდარეჯანისძე - კეთილშობილი და გმირი რაინდი.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ამირანის პიროვნება „ქართულ შეგნებაში ეროვნული იდეალების განსახიერებაა და განიცდება, როგორც ერთი სახე. ამდენად,ეს გმირი ქართველი ხალხის ხასიათის ზოგადი ხატია, მისი არსებობის სიმბოლო... ამ გმირში ნაციონალურმა შეგნებამ დაინახა ეროვნული იდეალების განსახიერება, რომელთაც ის თავის ისტორიაში ჭვრეტდა და რის გამოც ის აიყვანა ეროვნული გმირის გაგებამდე" (გ. იმედაშვილი). „ამირანდარეჯანიანის" მთავარი გმირი კრებითი ტიპის სახეა. რაინდული ბრძოლები, ხიფათიანი თავგადასავლები, სიკეთისა და ქველობის გამოვლენა „ამირანდარეჯანიანის მთავარი თემაა. ამ სარაინდო რომანში ათზე მეტი წამყვანი გმირია, მაგრამ ცენტრალური ფიგურა ამირანდარეჯანისძეა. იგი ავტორის სათაყვანო გმირია, უძლეველი რაინდი - ფალავანი, მეგობრისადმი თავდადებული და დაჩაგრულის მფარველი... აღნიშნულია, რომ რომანში დახატული საფალავნო შერკინებების, ბრძოლების მამოძრავებელი პირადი ინტერესები კი არ არის თავისთავად, არამედ ხშირად ქვეყნისა და საზოგადოებისთვის აუცილებელი, ყოველდღიური ცხოვრების უშიშროების უზრუნველყოფაც. სარაინდო რომანის გმირები ქვრივ-ობლების, მოხუცებისა და უპოვართა მფარველობის გარდა ბადრაგობენ მექარავნეებს, უზრუნველყოფენ ვაჭართა და მგზავრთა მიმოსვლას, რაც თავისთავად იმ დროისათვის დიდი სიკეთის მომტანი იყო. მეთორმეტე საუკუნის ამ ქართულ სამყაროსთან ჩვენი დღევანდელი ყოფის შეპირისპირების მიზანი ავთანდილ ყურაშვილის ლექსის სათაურიდან უკვე კარგად ჩანს, რაც გამოხატულია რუსული ანბანით საფოსტო გზავნილების შევსების ფაქტში. ის ვითარება, რომ საკუთარ ქვეყანაში უცხო ენაზე უნდა მოძებნოს ავტორმა ადრესატი, პიროვნების თავისუფლების შეზღუდვის პირველი ნიშანია. ლირიკული გმირის აღსარება ასე იწყება:

„რა უნდა გითხრა, რა ისეთი
უნდა გახარო
შენც კარგად ხედავ, აქამომდე
ძლივს მოვჩანჩალდი".

ლექსში ამაღლებული სული, კეთილშობილება, საგმირო საქმეების ჩადენისაკენ მისწრაფება კონფლიქტ-

შია ზნეობრივ დეგრადირებასთან, უმოქმედობასა და მლიქვნელობასთან. ლირიკული გმირის სულიერი კათარზისის დასაწყებად აუცილებელია იმ ტრაგიკული სინამდვილის გააზრება, რომ შუასაუკუნეების ქართულ ზნეობასთან, მაღალ ეთიკურ ნორმებთან ფსიქოლოგიური კავშირი გაწყვეტილია, ტრადიციაში რაღაც მნიშვნელოვანი მოწყვეტილია. უკანასკნელმა ავადსახსენებელმა სამოცდაათმა წელმა, ბოლშევიკურმა იდეოლოგიამ სოციალურად დააკნინა ადამიანი, აქცია იგი ქურდად, მაბეზღარად, დედამისის დამსმენად, საკუთარი სინდისის მომფურთხებლად. რუსეთის იმპერიამ დაპყრობილი ერის დიდ ნაწილში ძალისმიერი მეთოდებით დათრგუნა თავისუფლებისაკენ მისწრაფება. ასეთ „დათრგუნულ" თანამედროვეს მიმართავს პოეტი:

„ნეტავი შენ, რომ იმპერიის
მაღალი დროშით
შეუვარდები პირდაღჩენილ
ლომებს ხახაში,
ნეტავი შენ, რომ შეგიძლია
იცხოვრო დროში,
სადაც ძაღლივით არ თაკილობ
ხელიპი ნახარში...
ჩაეჩნდა ხმალი, თოფის ლულა
და ფალია,
გამქრალდა, გაცვდა, შემომჭმუნან
მგლები.
უნდა ვტიროდე, თუ სადმე
სამართალია,
მე კი ვზივარ და სიცილით
ვიგუდები".

ძველ საქართველოში „ამირანდარეჯანიანის" მიხედვით ჭაბუკები (რაინდები) არ იბრძვიან სიმდიდრისა და ქონებისათვის, მათ არ იტაცებთ ოქრო-ვერცხლი. მაგ., როცა ამირამ ომად მალის ძეს შეუთვალა: „დადევ ჩემ თანა და საჭურჭლეთა სამდე გაგიყოფ და მესამესა, შენ მოგცემო", ომად მალის ძემ უარი განუცხადა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თუკი რაინდებს ერთმანეთთან შებრძოლება უხდებათ, ესაა ბრძოლა სახელის მოსახვეჭად და არა ქონებისათვის. ა. ყურაშვილი ლექსში კი საპირისპირო სურათს გვიხატავს:

-ვინც ტრაბახობს ქონებით, ვინაც
სულ არ ქონებით
ნელფუჩურის ქროლებით მიდის
ჩვენი ცხოვრება...
ნიუ კვდება, ბახუსიც მალე
დაიბრიდება.
დიდება მის სახელს, დიდება!
უმეცარი, უზრდილი,
მუცელღმერთა, ბრიყვი,
მსხვილი, როგორც საყასბოს
როგორც ლეშის ბუზი.
იგულება ქვეყანა ალუდის
ოხშივარში.
სანთლითაც რომ ეძებო, კაცს ვერ
ნახავ გვარში."

ამირანი სიტყვის პატრონია. მან პირობა მისცა რაზაგისძის მოლაშქრეებს, არ მოკლავდა მას, რადგან „ისი მარტო დარჩომილა თავის სახლსა შინა". ასე აასრულა ამირანმა იამან ჭაბუკისადმი მიცემული სიტყვა და გაათავისუფლა დევების მიერ შეპყრობილი ჭაბუკები. ამირ მუშლის ვაჟებისათვის საცოდვების მოსაჭყანად მიმავალ ამირანს გზაში ბევრი გაჭირვება გადახდა. თანამგზავრთა რჩევაზე უკან გაბრუნებულიყო, მან უპასუხა: „რასაც თქვენ იტყვით, იგი კარგთა ჭაბუკთა ხელი არ არისო" და თავისი სიტყვის ერთგულმა დავალება პირნათლად შეასრულა. რომანის მიხედვით კარგად ჩანს, რომ შუასაუკუნეების რაინდისათვის სიტყვა და საქმე ერთია. ამ ფონზე ლექსის ქვემომოყვანილი სტრიქონები თანამედროვეობისადმი მძაფრ ბრალდებად აღიქმება:

„სიტყვის ფასი მცირდება, რა თქმა
უნდა ძვირდება
ფასი ბეჭედ-ქადაღის,
ალბათ გაგიკვირდება,
ეს რატომ წერი,
რისთვის ვიწყე ლაღადი.
სიტყვის ფასი მცირდება და
თანდათან ძვირდება
ძმა და ამხანაგი.
„რა თქმა უნდა აგრეა" -
მილახტურებს პაგია
ეშმა და გარია, პარია, ჭამია,
თქვლეფეია, ცლაპია
აგრეა, აგრეა...
უცვლელია დროება, ვზუთხავ
ამბოებს
მწვანეს, ყვითელს, წითელს,
როგორც მომეთხოვება სხვათა
მედროვეობას
ვით ის, ვით შენ, ვით-შენ!"

ამ ვრცელი ლექსის ძირითადი პათოსი თვითგვემაში, საკუთარი თავის სინდისის სამსჯავროზე წარდგენაში ვლინდება. დღევანდელობაში რაინდობის, კეთილშობილების ცნება გაუფასურა - აი, რაზე წუხს ლირიკული გმირი. ადამიანის გარეგნობამ დეფორმირება განიცადა, შემართებამ და უანგარო თავგანწირვამ - დეგრადირება... ომახიანი საბრძოლო შეძახილების, მოჩქნარა ხმლების შეჯახებათა ხმების ნაცვლად გარშემო ისმის ღრუტუნი, ღრუჭუნი, წიწინი, წივწივი... „ამირანდარეჯანიანში" კი ვკითხულობთ: „დილისა ბინდსა ჰკრეს ბუკსა და დაბდაბსა ხელმდაველეს კარსა. გამოვიდა ხელმდავლე ოთარსა ტაიჭსა ზედა ჯდა. პოლიტიკნი და რკინანი დაეკიდნეს სატკივართა ადგილთა ცხენისად და თვითცა ჩაბალახსა გარაეკიდნეს და სამი ხმაალი დაეკიდნეს... ოდესმცა ნახე, ამას იტყოდი არა ნახულა ამისაებრი კაცი... მაშინ ჰკრეს ბუკი ამირანდარეჯანისძის კარსა, გამოვიდა ვერძყე შეკაზმული იგიცა. შემოუვლეს ნავარდი ერთმანეთსა... დიდთა კლდეთა ჯახებასა ჰგავდა მათი ომი და ჯახება. ხრმალთა ცემა ქუხასა ჰგავდა".

პოეტის ყურს დღევანდელობის ასპარეზიდან სულ სხვა განწყობილება და ხმები ღაუჭერია:

-ვუცქერ სისინ-სრიალი, კუდის
ქიცინ-ტრიალი
აუკბობს თვალთა მზერას,
ჯაზ-ორკესტრის გრიალში ვისმენ
ჯაჭვის პყრანგს,
ვიცმევ ბამბის პერანგს -

## ახალი წიგნი



ვიფუთნები ბეჯითად...
ობი აუჯაჯილდა,
ყვინთავს შენი თეთრონი...
მე ვიპოვე სავანე ანუ
გამოსავალი
მიეალ, - ტირში ვერთობი.
მოვიწრიფდა ღვთისმშობლის
მადლიანი კალთა,
ვეღარ გვფარავს ყველას...
ირხევიან ქარ-ქარ
ვარსკვლავები წვრილ-წვრილი.
იქით გადარბენა,
აქეთ გადმოვრენა
ღრუტუნი, ღრუწუნი, წიწინი,
წივწივი“.

ავთანდილ ყურაშვილის ეს ვრცელი ლექსი არის ბრალდება, განაჩენის გამოტანა საზოგადოების გარკვეული ნაწილისათვის, იმათთვის ვინც მხოლოდ დღევანდელი დღით ცხოვრობს, მეშჩანურად აზროვნებს და ცხოვრების წესად უქცევია მხოლოდ არსებობისათვის ზრუნვა. ამიტომაც ასეთი ადამიანი ადვილად ურიგდება ზნეობის დეგრადაციას, გმირობისა და პატრიოტიზმის იდეალების დამცრობას. პატრიოტიზმის უმწეობად აღიარებამ, უპრინციპობის, უუნარობის შესაქებ თვისებად გამოცხადებამ უახლოეს წარსულში ქართველი ადამიანის მორალური სახე დაამახინჯა, იგი საზოგადოებისათვის ზედმეტ ბარგად აქცია. სწორედ ამაზე საუბრა თანამედროვე ქართველი პოეტი შუასაუკუნეების გამორჩეულ რაინდს ამირანდარეჯანისძეს, როგორც მხატვრულს, როგორც წარსულიდან აწმყოზე გულისტკივილით მზირალს:

„ისე მიდის ცხოვრება როგორც
გაგვეგონება,
როგორც მე მეკადრება.
ყოველ დილა-საღამო
(ვუხმე ჭკუა-გონებას)
ყლუპ-ყლუპით ვსვამ შემობარ
რძეს -
ყელზე რას დამადგება ნემო
დარეჯანისძევ.
არც ღვინო, არც ხორცი
არც პური, არც არაყი,
არა არ მენატრება მოუმზეს
„ღვინისა“,
საარწყენო ხორხოცი და უქმი
ლაპარაკი...
მენატრება კრება
პარტ-პროფ-მწერკავშირისა“.

სარაინდო რომანის გმირებს ახასიათებთ ურთიერთპატივისცემა, მოკრძალება და სიყვარული. ისინი იხიბლებიან ერთმანეთის ვაჟკაცობით და არც მალავენ ამას. ინდო ჭაბუკი აღფრთოვანებულია ამრი არაბის სიმამაცით: ნეტარ ვინ არის ესე კაცი, რომე ესრე კარგა შემომყვებაო?“

მიუხედავად იმისა, რომ ამირანი არ ბადრი იამანის ძეს, ალი დილამს და ინდო ჭაბუკს უცოყმანოდ მიემართება მათ დასახმარებლად. ამირანდარეჯანისძე ვერ ურიგდება უსამართლობას. შეიტყო რა, რომ ბაქთარმა მიითვისა მშვენიერი წალკოტი ხვარაშანის მამისა, იგი მამაცურად შეება მტერს და დაიბრუნა ხეხილის ბაღი. სარაინდო რომანი ხოტბას ასხამს სამართლიანობისათვის მებრძოლ ფალავნებს. სწორედ ამ შესაშური თვისებების მინქმალვამ და დროის ავბედითმა ცვალებადობამ ათქმევინა პოეტს:

„ცვედანი მთვარე გამოლადრულ
სივრცეს ადნება,
მარტის სპეტაკლი ღამის ბინდში
დადგეს კატებმა,
ვარ ბედნიერი, როგორც კვახი
თხილის ღობეში,
როგორც შარაზე დასკუპული
მსხვილი გომბეშო.
როგორც - ბორბლებქვეშ
მოყოლილი ძაღლი ფინია,
როგორც-ულელში თავგარგული
ხარი ღვინია,
როგორც წისქვილი დამდგარი და
მიშლილ-მოშლილი,
როგორც-მზის გულზე
დაგდებული ძველი ორშიმო.
როგორც-მდინარე დაშრეტილი,
ხახაგამშრალი,
როგორც ბუდეჭყლარი,
ბუდეწაშლილი ქალაქ-ქალაქვი,
როგორც-ჭაობი, აფშაკული,
დაობებული,
არც სიცრუე, არც სიმართლე -
მე არ ვარსებობ,
სიტყვის უწრფელი უდაბნოა
მხოლოდ გარშემო“.

ამიტომაცაა ლირიკული პოემა-წერილის გმირი გაუცხოებული და გაორებული. იგი არ ეკუთვნის თავის თავს, მან დაკარგა ზნეობრივ ღირებულებათა ათვლის წერტილი. ერთადერთი გზა გადარჩენისა მეთორმეტე საუკუნის საქართველოს რაინდული ქცევისა და სულისკვეთების მოხმობა და გაღვიძებაა. ამისკენაა მიმართული ლექსის ძირითადი პათოსი, მისი დაფარული ქვეტექსტი. ეს თავის თავში ჩაბრუნების გზა ძალზე მტკივნეული და რთულია, მაგრამ ამასთანავე ამაღლებული და მომავლის რწმენით განათებული. ა. ყურაშვილი ასე მიმართავს წერილის ადრესატს ამირანდარეჯანისძეს:

„ჩვენს შორის უკვე უთვალავი
დღეები წვანან,
ჩვენს შორის უკვე ყინვის მკვდარი
ქარები პყრია,
აილე, გულზე დამკარი დანა,
აილე, შუბლში დამარტყი ტყვია.
არადა სხვა გზა არსაით არ ჩანს,
სხვა გზა ვერაფრით მომიყვანს
შენთან,
წერილს გწერ, ამო, ამირანო,
ალმასის ხანჯალს
პირს მოუბლაგვებს და
მოუთეთქავს“.

ასეთია თვალის ერთი გადავლებით თანამედროვე პოეტის მიერ წარსულში გაგზავნილი პოემა-წერილის ლირიკული გმირისა და ძველი საქართველოს სარაინდო რომანის გამორჩეული პერსონაჟის- ამირანდარეჯანისძის ურთიერთმიმართება. ავთანდილ ყურაშვილმა, როგორც ქართული მწერლობის დიდი ტრადიციების გამგრძელებელმა, კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმაში, რომ შუასაუკუნეების საერო მწერლობა დღესაც ინარჩუნებს მკითხველზე ცხოველმყოფელ ზემოქმედების ძალას; რომ ძველ ქართულ პროზაში ასახული ზნეობრივ-ეთიკური, პატრიოტული იდეალები დღეს, როგორც არასდროს, აქტუალურია.

რომანის ერთ-ერთი გმირი იმად მალის ძე, როცა განვლილ ბრძოლებს იხსენებს, ამბობს: „მაშინ არ ავად ვიყვენითო“ და მართლაც, პოეტ ავთანდილ ყურაშვილის ვრცელმა წერილმა ის დრო შეგვახსენა, როცა „არ ავად ვიყვენით“ და თავის მძაფრი კრიტიკული, გროტესკული პათოსით ის გზაც მიგვანიშნა, საითაც უნდა იაროს ხელისუფლებამ ადორძინებულმა და თავისუფალმა საქართველომ.

# ქართული ხასიათისათვის

თბილისში ასეთ ანეკდოტს გაიგონებ:

კახელი გლეხი წამოწოლილა კაკლის ხის ჩრდილში, მოუდგამს ერთი დოქი ღვინო, წრუპავს და გასცქერის კავკასიონსა და ალაზნის ველს. თავს საგანგებოდ ჩამოყვანილი ამერიკელი მილიარდერი წამოადგა და მათ შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

- აქ რას აკეთებ, დილით, შხიხით? - ეკითხება მილიარდერი;

- რა ვიცი აბა, ცხელა - პასუხობს გლეხი.

- ადექი; ხედავ, რამდენი კაკალი ასხია ამ ხეს, დაბერტყე, აკრიფე, ბაზარში წაიღე, გაყიდე...

- მერე?...

- მერე მონაგები საქმეში ჩადე, იმ საქმის მონაგებით საქმე გაზარდე...

- მერე?

- მერე სხვა საქმეს წამოიწყებ, ქარხნებს ააშენებ, მეპატრონე გახდები... ჩემსავით მდიდარი, მილიარდერი...

- მერე?

- მერე წამოწვები და იყავი შენთვის ჩრდილში არხეინად და სვი ეგ ღვინო...

- მა ეხლა რას ვაკეთებ?..

ალბათ არც ერთი სხვა ანეკდოტი არ გამოხატავს ქართულ ხასიათს ისე, როგორც ქართველი გლეხის გულწრფელი გაოცება. აქ მოცემულია ონტოლოგიური ქართული ბუნებისა მის სრულ ფილოსოფიურ და, ვიტყოდი, რელიგიურ გაგებაში, პირველსახეობა, არქეტიპი.

ხედავ, რომლითაც კახელი გლეხი აღიქვამს სინამდვილეს, გვაყენებს ჯერ კიდევ ონტოლოგიური და ექსისტენციური კითხვების პირისპირ. აქ არის დროისა და დროულობის პირდაპირი ფლობა. დრო ქართულ გაგებაში არის ყოფიერების უშუალო, ონტოლოგიური გამოვლინება. იგი არ შეიძლება არსებობდეს ამ ყოფიერების იქით, სადღაც, გარეთ... იგი თვით ამ ყოფიერებაშია ჩაქსოვილი და მისი გამოთავისუფლება, ან ამ, აქ და ახლა, ამწუთიერად არსებული ყოფიერებიდან გამოთავისუფლება, თვით ამ ყოფიერების დაშლას მოასწავებს. მაგრამ დროის მსვლელობა თავისთავად მიზანთან არის დაკავშირებული. მიზნის მისაღწევ ძალისხმევათა ჯაჭვის რგოლები, არსებითად დროის მოდიფიკაციებია. გაწყვეტა ამ ჯაჭვისა, მიზნის ვერმიღწევის ტოლფასია და ე.ი. დროის შეჩერებისა. კახელი გლეხი კი იმთავითვე მიზანში არსებობს. მასა და მიზანს შორის მანძილი ნულოვანია. ნულოვანია დროის სვლაც. აქ შეიძლება ყოფიერების მშვენიერებად გასრულებული ფაუსტური შეჩერებულობა დავინახოთ („შეჩერდი წამო, ო, რა რიგად მშვენიერი ხარ"), მაგრამ ძალისხმევათა ფაუსტური ისტორიულობის გარეშე, რადგან დროის დენადობაში მიზანი საარსებო ძალისხმევათა ჯაჭვში ხდება განზავებული და, ამდენად, თვით ეს ძალისხმევები იქცევა მიზნად. მილიარდერისა და კახელი ქართველი გლეხის ხედვა ამდენად ონტოლოგიურად არის შეუთავსებელი. მაგრამ განა ქართველს არ უნდა იყოს მილიარდერი? უნდა, მაგრამ ძალისხმევათა გარეშე ან ძალისხმევათა მინიმუმით: უშუალოდ და ერთბაშად და, რაც მთავარია, ბუნებრივად, რათა შემდეგ სწრაფად წამოწვეს თავისი ხანდაზმული კაკლის ძირში, გახედოს ალაზნის უმშვენიერეს ველს და ლაღი ღიღინით წრუპოს თავისი მზისთვალნახული მტევნიდან დაწურული ღვინო.

*

დროის ონტო-ქარაქტეროლოგიურ ხედვას შეესატყვისება სივრცის ხედვა, გამოთქმული საქართველოს მეორე უკიდურეს დასავლეთ მხარეში, გურიაში გავრცელებულ ანეკდოტში:

გურული ზის ლიანდაგზე ჩამოქცეული. გამოიარა მეორე გურულმა, დაინახა ლიანდაგზე ჩამომჯდარი კაცი. თვითონაც გადაწყვიტა ჩამოჯდომა, მოუახლოვდა და ეუბნება: ჩაიწიე ძამა, ცოტა, მეც მინდა ჩამოვჯდეო...

ამ ხედვაში თავს იჩენს „ექსისტენციური წუხილი" საკუთარი თავისუფლების შეუძლებლობისა, სივრცის სხვის მიერ შევსებულობის გამო. ქართველის ხედვაში სხვის მიერ შევსებული სივრცე თავის კუთვნილებადაა წარმოდგენილი. ლიანდაგზე ჩამოჯდომა ვინმეს გვერდით შეუძლებელი ხდება. ის, ვისაც ამ წუთში უკავია სწორედ ის წერტილი უსასრულო სივრცეში, რომელიც რაღაც ტრანსცენდენტალური აპერცეფციით ჩემი კუთვნილებაა, განთავისუფლებულ უნდა იქნას მის მიერ რომ განხორციელდეს ჩემი თავისუფლება. თუ ეს არ მოხდა, ანუ, თუ ის არ ჩაიწევა და არ გაათავისუფლებს ამ სივრცეს, ჩემი ხლომილება შეუძლებელი ხდება. მიზანი განისაზღვრება, თუ რამდენად არის შესაძლებელი ჩემს მიერ მისი ჩაწევა ან რამდენად არის ის თვითონ ნებაყოფლობით დამთმობი თავისი ადგილისა. მაგრამ, ბოლოსდაბოლოს, ის, უკვე ჩამომჯდარი ლიანდაგზე, ხომ ჩემივე ძმაა და ისიც ხომ ამ ადგილს თავის საკუთრებად მიიჩნევს...

ერთ შემთხვევაში მიზნის უშუალოდ დაუფლებისადმი მისწრაფება „ნულოვან სივრცეში" წარმოშობს ხერხთა განურჩევლობას, რაც „ყოველივე დასაშვებიას" პრინციპის ტოტალიზებას იწვევს, მეორე შემთხვევაში კი სხვის მიერ დაკავებული სივრცის ჩემდამი კუთვნილების განცდა ერთიერთის მიმართ აგრესიულ და არდამთმობ მისწრაფებებს აჟითარებს. ერთიერთზე გადაკიდება ქართველებისა გაცილებით უფრო ადვილი ხდება, ვიდრე მათი მობილიზება გარეშე ექსპანსიის წინააღმდეგ. პოლიტიკური და სოციალური ქარაქტერო-

ლოგიისათვის ამას მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ქართული კულტურა, მთელი თავისი ანტიკური წონითა და კლასიკურობით, ქართველთა ამ პოლუსური მახასიათებლების შერბილებაშია გამოხატული. სწორედ აქ, ქართულ კულტურულ მატრიცაში, არის წარმოჩენილი უაღრესად ნატიფი და გაწონასწორებული ტიპი კულტურული ქართველისა, რომელიც ერთნაირად გამოსაცნობი ხდება როგორც აღმოსავლური, სენსუალისტური, ასევე დასავლური, გონითი ტიპის ცივილიზაციებისათვის, რადგან საქართველო ფორმირდებოდა უძველესი წინააზიურ-სპარსული (აღმოსავლური) და ბერძნულ-ქრისტიანული (დასავლური) ცივილიზაციების სინთეზურ სივრცეში. კულტურა მთელი თავისი ფორმებითა და ურთიერთობრივი „ზრდილობითი" პრინციპებით ავსებდა აღნიშნულ პოლუსთა შორის მოთავსებულ სოციალურ სივრცეს და არბილებდა ურთიერთობებს.

საქართველოს ისტორიაც, თავისი ქარაქტეროლოგიური მახასიათებლებით, არსებითად ამ ორ პოლუსთა ველშია გაშლილი. ფინალობის ხელვა და მკვრეტელობა მისი ისეთივე მახასიათებელია, როგორიც ურთიერთის „გაწონ-გამოწონების" ენერგიული ძალისხმევა. ქართველს თავისიანის „გაწონება" ურჩევნია ყოველივე სხვა აქტივობას. ესაა მიზეზი იმისაც, რომ საქართველო არ გახდა ექსპანსიონისტური სახელმწიფო, მიუხედავად მრავალგზისი შესაძლებლობისა, და უცხოთა მიმართ განსაკუთრებული გულისხმიერებითა და ტოლერანტობითაა გამსჭვალული. ამ შინაგანი მიმართებიდან, მეორეს მხრივ, წარმოიქმნება, განსაკუთრებით დეკულტურიზაციის ეპოქებში, თითქმის სრული შეუძლებლობა პარალელური საქმიანობისა, ანუ რეალური სოციალური ურთიერთობებისა. აქედანვე წარმოდგება მთელი რიგი მახასიათებლებისა, რომლებიც შესანიშნავად იქნა შესწავლილი და გამოყენებული რუსეთის იმპერიული სამსახურების მიერ და რამაც საკმაოდ მძიმე შედეგამდე მიიყვანა დღეს საქართველო. უპირველესი მიზანი იმპერიული ძალისხმევებისა მიმართული იყო სწორედ ქართული კულტურის წინააღმდეგ და იმ „ხალხის" წინააღმდეგ, რომელიც ამ კულტურას ასაზრდოებდა. დეკულტურიზაცია და ამ ექსტრემული მახასიათებლების „აშვება" უკანასკნელი დროის საქართველოს ისტორიის განმსაზღვრელი ფაქტორები შეიქმნა.

დეკულტურიზაცია, რომელმაც მოიცვა საქართველო უკანასკნელი ორი საუკუნის, და განსაკუთრებით ტოტალიტარიზმის, პირობებში, გამოიხატა ქართულ ხასიათში ამ ორი „ანეკდოტური" პოლუსური თვისების გამწვავებით, ანუ ქართული კულტურული ტიპის თანდათანი დაქვეითებით, წაშლით, გამასობრივებით და მისი შეცვლით „მასობრივი ტიპოლოგიის" მქონე „ჰომო სოვეტიკუსით", რომელიც დეკულტურიზაციის უმთავრესი „მამოძრავებელი" იყო. ტოტალიტარიზმის პირობებში განხორციელებული საქართველოს ხელოვნური პროლეტარიზაცია ქართული ხასიათის დეკულტურიზაციის იარაღი გახდა. ამან სოციალური და კულტურული ცნობიერების დაშლა გამოიწვია და ქართულ ხასიათს ბუნებრიობა წაართვა. ექსტრემული მახასიათებლები „მასობრივად" შერეული ჯერ კიდევ შერჩენილ კულტურულ ელემენტებთან საერთო ქართულ ფონს მეტად აბუნდოვანებს და გაუგებარს ხდის.

„ქართველი თავმოწონეა" - წერდა გრიგოლ რობაქიძე - „იგი შეიძლება შესახელებით აამოქმედო. მაგრამ არასოდეს ბრძანებით". ეს იყო ქართული ინდივიდუალიზმის მძლავრი საფუძველი. ეს არტისტული თვისება, რომელიც დაუინტერესებელ ესთეტიზირებულ სცენას უნდა ჰქონდეს, ამავე დროს მოკლებულია ამ დაუინტერესებლობას და გარდაიქმნება თვისებად, რომელიც სრულიად უცხოა ესთეტიური თავმოწონეობისათვის - იგი ხდება იერარქიული სუბორდინაციის, ანუ მსახურებრივი იერარქიისადმი მიკუთვნებულობის მახასიათებელი. ეგალიტარულმა ტოტალიტარიზმმა ამ თვისებას სრულიად შემოაცალა კულტურული გარსი, რომლითაც ჯერ კიდევ ხერხდებოდა მისი ქართული კულტურისათვის დამახასიათებელ ზრდილობით ფორმებში მოქცევა. მან კი ხელი შეუწყო ქართული კულტურული მატრიცის რღვევის გაძლიერებას. მაგრამ დღევანდელ დღეს, როდესაც „მასათა ამბოხმა" და დეკულტურიზაციამ თავის კულმინაციას მიაღწია, რომელი ერის მახასიათებელი ინარჩუნებს თავის ენერგიას და ძალას?

ქართული ხასიათის ანალიზისას ერთი რამ უეჭველად უნდა იქნას გათვალისწინებული და, სახელდობრ, ის, რომ ისტორიაში ჯერ არ მომხდარა კერძო საკუთრების (ე.ი. ინდივიდუალური თავისუფლების) პრინციპის გაუქმების შემდეგ, სამოცდაათწლიანი ტოტალიტარიზმის ბნელ გვირაბში გაევლოს ვინმეს და დაბრუნებოდეს ნორმალურ ცხოვრებას. ის, რაც ხდება საქართველოში (და მთელ ექსსსრკში), ერთადერთი შემთხვევაა და, ამ თვალსაზრისითაც „მსოფლიო ისტორიული". ყველა სხვა რევოლუციები და მათი შედეგები, როგორადაც არ უნდა იქნან ისინი შეფასებულნი, არასოდეს არ აჩერებდნენ ისტორიას მისი ძრავის - კერძო საკუთრების (და ე.ი. თავისუფლების) გაუქმებით. ამ თვალსაზრისით მსოფლიოს ისტორია თავის ნებისმიერ რეგისტრში აღებული ტიპოლოგიურად ერთგვაროვან პრინციპთა ფენომენოლოგიურ პარადიგმებს გვაძლევს და ონტოლოგიალურად ურთიერთგასაგები და ურთიერთგამოსაცნობი ხდება. დარწმუნებული ვარ, რომ დღევანდელი საერთო ვერცნობა და ვერგაგება იმ ვითარებისა, რომელშიდაც ტოტალიტარიზმიდან გამომსვლელი ქვეყნები იმყოფებიან, განპირობებულია ამ უნიკალურობით, თვით რევოლუციების პარა-

ლოქში იმაში მდგომარეობს, რომ ხდება წინარე, უკვე დანერგული რეჟიმის დეგრადირებულ ფორმათა აღდგენა და განახლება ახალ სოციალურ და პოლიტიკურ ვითარებაში. რაც აბსურდულ ვითარებას ქმნის რევოლუციის მიერვე აღიარებულ პრინციპებთან მიმართებაში. თუმც რევოლუციით გამხრწნილი და დეგრადაციული ტენდენცია, არსებითად, გამომდინარეობს წარსულთან უთვალავი კავშირის გაწყვეტის პრინციპულ შეუძლებლობაში. რაც საკმაოდ სწრაფად ცნობიერდება „რევოლუციური ბიუროკრატიის" მიერ. „რევოლუციური რომანტიზმის" საფუძველს რევოლუციის „ონტოლოგიური განუხორციელებლობა" წარმოადგენს - რევოლუცია ონტოლოგიურად განუხორციელებადია.

ტოტალიტარიზმმა ქართველი ადამიანის სახიერის გარდაქმნა დაისახა მიზნად. შეძლებდა კი დესპოტიზაცია მოახდინა და ამ სახიერის ექსტრემალური თვისებები გააცხოველა. მაგრამ, განა, იგივე არ მოხდა საფრანგეთის რევოლუციის დროს? და, განა, ფრანგი ერის ტოტალიტარული დახასიათება საქმეს გამოსაცნობიერად არ შეიძლება მივუსადაგოთ ქართველებ-

## ახალი წიგნი




საც ყველა იმ თვისებების გათვალისწინებით, რომლებიც ახასიათებს ქართულ ბუნებას და მის მდგრადობას საუკუნეთა განწვრთვ და რომელიც ასეთის შესანიშნავი თვითირონიით დაადუქიორა ირ დახასიათებულ ანეკდოტში „ხალხური გონმა" (l'esprit du peuple)? აი, რას წერს ტოკვილი:

„რამდენიმეჯერ, რევოლუციის დაწყების შემდეგ დღევანდლამდე, ჩვენ ვხედავთ თავისუფლების გრძნობას ჩამქრალს, შემდეგ ქვლავ შობილს, ისევ ჩამქრალს და ხელახლა შობილს; ასე იქნება იგი დიდხანს, ყოველთვის გამოუცდელი და ცუდად აწყობილი, იოლი გასაცუდებელი, დასაშინებელი და დასამარცხებელი, ზედაპირული და წარმავალი...

ფრანგული რევოლუცია მხოლოდ და მხოლოდ ხიბრელე იქნება იმათთვის, ვისაც მარტოოდენ მას უნდა რომ უცქირონ; მის წინა დროებში უნდა ვეძებნოდეთ ერთადერთ სინათლეს, რომელსაც შეუძლია მისი განათება. ძველი საზოგადოების ნათელი ხედვის, მისი კანონების, მისი სიბრძნის, მისი წინაგანწყობების, მისი სიდიადის, მისი სიცოცხლის გარეშე, ჩვენ ვერ გავიგებთ ვერასოდეს, რა გააკეთეს ფრანგებმა იმ სამოცი წლის განმავლობაში, რომელიც მოჰყვა მის დაცემას; მაგრამ ეს ხედვა არ იქნება მაინც საკმარისი, თუ ჩვენ არ ჩავწვდებით თვით ბუნებას ჩვენი ერისა.

როდესაც მე წარმოვიდგენ ამ ერს თავისთავად, მე ვპოულობ მას უფრო არაჩვეულებრივს, ვიდრე მისი ისტორიის რომელიმე მოვლენას. ყოფილა თუკიმე დედამიწაზე ვინმე, რომელიც იქნებოდა ესოდენ აღსავსე კონტრასტებით და ესოდენ უკიდურესი ყოველ თავის მოქმედებაში, უფრო მეტად მართული თავისი გრძნობებით, ნაკლებად პრინციპებით? ამგვარად ყოველთვის მოულოდნელად მეტნაკლები ცუდის ან კარგის, ხან საერთო ადამიანური დონეზე დაბლა, ხან კი ამ დონეზე ბევრად მაღლა; ხალხი იმგვარად უცვლელი თავის მთავარ ინსტინქტებში, რომ ვცნობთ მას იმ პორტრეტებში, რომლებიც მისგან იქნა გადმოღებული ორი თუ სამი ათასი წლის წინ და ამავე დროს აგრერიგად მოძრავი თავის ყოველდღიურ აზრებში და გემოვნებაში, რომ მისთვისვე მოულოდნელ სპექტაკლად გახდომით არსულებს და ხშირად გაოცებული უცხოელებივით იმყოფება იმის შემდეგ, რაც გააკეთა; თავის თავთან მიჯაჭვული, ყველაზე უფრო შინმჯდომი და ყველაზე უფრო მოგზაური და, თუ მისი ნების საწინააღმდეგოდ, აწყვეტს თავის საწოლს და თავის ჩვევებს, მზად მუდამ ხმელეთის კიდემდე წავიდეს და ყოველივე გაბედოს; ინდისხილი ტემპერამენტით და უფრო კარგად შემგუებელი თვითნება იმპერიისა და ძალმომრე პრინციპისაც კი, ვიდრე წესიერი და თავისუფალი მოქალაქეობრივი პრინციპების ხელისუფლებისა; დღეს აღიარებული მტერი ყოველგვარი მორჩილებისა, ხვალ მსახური ისეთის ვნებით, რომელსაც მსახურებისათვის უფრო ნიჭიერი ერები ვერ აღწევენ; მართულნი ძაფით, რომელსაც არავინ არ ეწინააღმდეგება, უმართავი, როდესაც წინააღმდეგობის მაგალითი არის მიცემული სადმე; ყოველთვის მომატყუებელი თავისი მოძღვრებისა, რომლებსაც მისი ეშინიათ ან ძალიან, ან სულ არ; არასოდეს იმდენად თავისუფალი, რომ უიმედო იყოს მისი დამონება, და არც იმდენად დამონებული, რომ ვერ შესძლოს ისევ გაწყვეტის უღელი; ყველაფრის შემძლე, მაგრამ ბრწყინავდეს მხოლოდ ომში; შემთხვევითის, ძალის, წარმატების, გაბრწყინების და ხმაურის გამაღმერთებელი, ვიდრე ნამდვილი დიდებისა; უფრო შეძლებ გმირობისა,ვიდრე ღირსებისა, გენიისა, ვიდრე საღი აზრისა, სულმოუთმენლად უზომო ჩანაფიქრისა, ვიდრე დიდი წამოწყების დასრულებისა; უფრო ბრწყინვალე და უფრო საშიში ევროპულ ერთაგან და უკეთესად ქმნილი თანდათან ქცეოდა საგნად თაყვანისცემისა, სიძულვილისა, სიბრალულისა, საშინელებისა, ტერორისა, მაგრამ არასოდეს გულგრილობისა?"

ჯანრი კაშია
ქართულ-ევროპული ინსტიტუტი (ქართული, კავკასიური და ევრაზიული ცივილიზაციები) პარიზი

ელიზბარს ტყვეობისაგან დაუღწევია თავი თუ როგორ. ეს ლექსში არ ჩანს (არცაა საჭირო). ერთი კი ცხადია: მან დიდი საქანაქებელი გამოიარა, დარჩენილი მონატრებით სიმშვიდემოყვარულით და ძილგატეხილ ყრიას დაუბრუნდა. თანამემამულენი სიცხარულით სულებიან, გადარჩენას ულოცავენ და, სიცხარულთან ერთად, დიდი ინტერესიც აღაპარაკებთ: „გვიამბე, ელიზბარაო, რა ამბავ

ვაჟა ხორნაული

# ამბავი კაი ყმებისა

## (ვაჟა-ფშაველას ერთი ლექსის – "ბაკურის" – სივრცეში)

მოხდა ეცია? როგორ დაეცნენ ლეკები ბაკურის ციხე-ეზოსა?"

ბაკურის უახლოესი თანამებრძოლისთვის ჯოჯოხეთურად ძნელია გულში სატკივარივით გაჩრილი ამბის მოყოლა. მისი გონება სინანულის ჯვარზეა გაკრული: „არ მინდა, ძველი დარდები რომ გულში აიწეწოსა. მე რა ვთქვა? უნდა კიცობა ბაკურმა დაიკვეხოსა... ჩემ ბერების სიცოცხლე სამარემ დაილევოსა".

ელიზბარის თანამემამულეებმა იმ ბრძოლის შესახებ, რომელშიც ბაკურს „დაავლეს კლანჭები", მართალია, ყველაფერი არა, მაგრამ მაინც ბევრი რამე იციან: იციან, რომ ელიზბარი მრავალრიცხოვანი მტრის წინაშე არ დამდაბლებულა. უკვირთ კიდევაც, ახლა დაუნდობელი რომ არის საკუთარი თავის მიმართ: „ვერ შევძელ იმის მხრის ჭერა, ვერ მოვკვდი-ხელი მეტკბილა"... ელიზბარმა საკუთარ სინდისს კიდევ ერთხელ გადაჰკრა მათრახი (ახლა უკვე ხმამაღლა, საჯაროდ). მაგრამ მისი სინდისი სუფთაა, არაა მათრახის ღირსი. ამიტომაც გაისმის პასუხად: „სიმ არ გიქნე რა ვქენით, არ დაგიცალეს სიკვდილი... ის რაისთვის გესირცხვილება, რაიც არ არის სირცხვილი? ჩვენც ვიცით, აგრე გვიამბე ამბავი კილო-კავადა; ერთმაც არ დაგგმოს, ღმერთს მადლმა, არ მოგიხსენა ავადა".

იცის ელიზბარმა, რომ თავის მართლებიდან ტრაბახამდე დიდი მანძილი აღარაა. გარდა ამისა, თავი რომ უფრო დაიმკვიდროს და ჩაწიხლოს ("თავს რადა სწიხლავ ფეხითა?"), ბავშვური გულწრფელობით აქებს და ადიდებს თავისიანებს: „ბაკურის იმი და ძმაი ხუტაი თვალით გეხილა!"

ბია საკუთარი თავისათვის, რომ ბრძოლის ველზე ბაკურთან ერთად ვერ დაეცა და ტყვედ ჩავარდა. თუ მის ამგვარ სულიერ მდგომარეობას გავითვალისწინებთ, სრულიად გასაგებია უმძიმესი ბრალდება, „მე"-ზე მიმართული: „ვერ შევძელ იმის მხრის ჭერა, ვერ მოვკვდი-ხელი მეტკბილა..."

„ვერ შევძელ იმის მხრის ჭერა, ვერ მოვკვდი-ხელი მეტკბილაო", ამბობს ელიზბარი, მაგრამ მისი ნათქვამი სინამდვილეს არ შეეფერება: ლექსის მიწურულს კი, აი, როგორ „წამოსცდა" სიმართლე: „მტერს მიგვგვა ციხის კარს, მეც იმას მოვკვდი კალთზედა..."

"მეც იმას მოვკვდი კალთზედა"- რამდენი რამის მთქმელია ეს სტრიქონი. ამ სტრიქონის შუქით სულ სხვაგვარად ნათლდება ელიზბარის პიროვნება. ჩვენ ვხედავთ, როგორ მიჰყვება იგი კვალზე ბაკურს, რომლის ხმალიც უკვე ცოდვილის სისხლითაა ჭიაფრად შეღებილი. ბაკურმა და ელიზბარმა იციან, რომ მათი წუთები დათვლილია. ელიზბარის მახვილიც თავისას აკეთებს. მაგრამ... ვინ იცის, იქნებ მახვილი გადაეტეხა: ან მაშინ, როდესაც ბრძოლებში დაქანცული და წაქცეული ბაკური იხილა, ხმლიანი მარჯვენა წამით მოუდუნდა და შეიპყრეს... და ტყვის ბედი გაიზიარა.

„მეც იმას მოვკვდი კალთზედა"- ეს სტრიქონი აისბერგივით მაღლდება ლექსში. მის სიღრმეში მკვიდრდებიან ასეთი სტრიქონები: „ჩემ ბერების სიცოცხლე სამარემ დაილევისა..." „ვერ შევძელ იმის მხრის ჭერა, ვერ მოვკვდი-ხელი მეტკბილა...", „გული მწვავს, ცოცხლად რისთვისა მტერს ჩავუვარდი ხელშია..." „თავის ალაგა არ შჭამის, ვე-

უჩვეულოდ გაგახსენდება და გონებას კიდევ ერთხელ გაგიხსენებს უკვდავი სიბრძნე ლექსიდან „კაი ყმა": „სჯობსა იქნეს სახელი, თავის გარჯასა ჰმაღლდეს".

ბაკური და ელიზბარი ბევრი რამით ჰგვანან ერთმანეთს. მაგრამ სხვადასხვა ბედისწერისანი არიან. ელიზბარი კი თითქოს ვერ გრძნობს ბედისწერის გარდაუვალობას. მას ყურადღება უპატიე-

დარც გავშლილვარ წელშია..." ეს სტრიქონები (რომელთაც საკუთარი სიმართლე და ლოგიკა გააჩნიათ) ერთ თავგულად იკვრებიან და ჩვენ, ამ თავგულის შემხედვარენი, კიდევ ერთხელ გადავდივართ „კაი ყმის" სამყაროში, რომელშიც სიცხარულის პლანეტები უფლისა და ადამიანის იმედით მოძრაობენ; რომელშიც წუთისოფლის სიბრძნე და სევდაა ნატეხელი; რომელშიც ლეგიური უბრალოებით და შეგრძნობებით აღსავსე სიტყვები - ელიზბარის რწმენა და სიმართლე: „სჯობსა იქნეს სახელი, თავის გარჯასა ჰმაღლდეს".

როგორ უნდა მოიქცეს ელიზბარი?

ეს უკვე თხოვნა აღარაა - ევედრებიან: „გეხვეწებით, იმის ამბავი ეხლა გვიამბე თავადა".

უნდა უამბოს - ამით ხომ, უპირველეს ყოვლისა, ბაკურის ძნელად დახავერებულ, იგავმიუწვდომელ გმირობას დაავახებს და სიაცარი განძით დაამშვენებს მსმენელების გულსა და გონებას. თანაც მადლმოსავით წაეცხო ფიქრის ჭრილობებზე თანამემამულეთა გულწრფელი სიტყვები: „ერთმაც არ დაგგმოს, ღმერთს მადლმა, არ მოგიხსენა ავადა".

„ერთმაც არ დაგგმო" - უხრეს და „თავის ალაგა" არ გახსენებია.

„ღმერთს მადლმა" - მხოლოდ რომელიღაც მსმენელის ბაგეთაგან კი არა, თითქოს სიყრუეებიდანაც ჩაესმა და...

იამბო ელიზბარმა...

* * *

მტერმა მტრობა არ მოიშალა და ელიში „დაეცნენ ლეკები ბაკურის ციხე-ეზოსა". შავი დღეს, მთელი ერთი კვირის განმავლობაში, იბრძვიან ქართველები. ბაკურის ციხე-ეზო ალყაშია მოქცეული. წვიან ციხის კედლებზე ახსლეტილი ტყვები. ბაკურის ციხე-ეზოსთან ბევრი მოიხლეტის თვალებში სამუდამოდ ჩაქრა. წაიშალა ცა და დედამიწა.

არც ქალები არიან უქმად: „დიაცნი წამალს გვიწყობდნენ,- ქებას ღირსნია ხწორედა!"

ციხეში დიდი განსაცდელის სუნი მატულობს. „მერვე დღეს ტყვია-წამალი გაწყდა, გათავდა ხრულადა." შარე ეკლი თავზარდამცემ სინამდვილეზე ქუხდა. სიკვდილი, რომელიც წინა დღეებში ბაკურის ციხე-ეზოს გარშემო უქროდა, ახლა ახლოს, სულ ახლოს, მოვიდა და ციხეში მტრის თვალებით შემოიხედა.

გადამწვარი თოფები.

დედების ცრემლი.

შვილების სიტყვები - ციხის ბინდში მოურიდებლად ერთმანეთისადმი ფრინვე-

ლები.

„მოდგა და მოდგა მტრის ჯარი".

უძილოთა და მშიერ-მწყურვალთა ტანჯვა ენით აუწერელი.

ბაქარის ციხე-ქვა - უიმედობის ნაცრისფერ ბურუსში გახვეული.

ბაქარის ფიქრი: „უნდა ცოლ-შვილით მტერს დავრჩე, სირცხვილი კისრით ვზიდოთ! მას მერე ტანზე აბჯარი რიგორღა დავიკიდოთ?!"

ხმლები ჯერ ისევ ქარქაშების ლამეში დუმან. შვიდი სასტიკი დღე-ღამე ბაქრისთვის მარტო ბრძოლისა არა ყოფილა-ფიქრობდა კიდევაც. საკუთარი სიცოცხლე უკვე აღარ ახსოვს; მაგრამ, მტრის ხელში მის ცოლ-შვილს რაც დაემართება, კარგად იცის ბაქარის გულმა. უნდა დაასწროს! - თორემ, სადაცაა მტრის ჯარი ციხეში შეიჭრება. სიკვდილის ბეწვიანი ღრუბლივით შემოეხვევა და მაშინ შეიძლება დასწრება გაჭირდეს...

„დავხოცავ და გადარჩებიან..."

„უცებ, ერთ წამში უნდა მოხდეს ყველაფერი... ერთმანეთის სიკვდილი ვერ უნდა იხილონ..."

მართლაც, წამში უნდა დაეტრია-ლებულიყო ულამაზესი საშინელება.

ასე სხვაგვარად გაუთავებელი ბაქარი მანამდე არასოდეს ენახა ცოლ-შვილს. არც ასეთი ხელი შეუმჩნევიათ მანამდე მის თვალებში.

ბაქარმა ცოლ-შვილისკენ გადადგა ნაბიჯი. ასეთი ნაბიჯით ადამიანი იმ ტაძარს უახლოვდება, რომელიც საკუთარ სიცოცხლეს ურჩევნია, მაგრამ მაინც უნდა დაანგრიოს, რადგან ასეთია ნება განგებისა-თვითონ თუ არ დაანგრია, მტერი დაასწრებს: დაანგრევს. მის ღმერთებსა თუ მლოცველებს ერთმანეთის თვალწინ წაბილწავს და თავზედაც დაამ-რღვევს.

ბაქარი ცოლ-შვილს მიუახლოვდა.

სახლი იყო ძველი ბაქარის- ასეთი მშობლიური და ასეთი უცხო იგი არასოდეს ყოფილა მათთვის.

„დავხოცავ და გადარჩებიან..."

და ბაქარის ხმალმა იელვა.

და მოხდა მოსახდენი: „ვაჰ, დედის მტრისას!- ესა სთქვა, ხელი გაიქნია ხმალზედა: „ისევ მე დავხოცავ"- და ცოლ-შვილს თავები დასჭრა წამზედა".

არც მანამდე და არც მაშინ - იმ მერვე დღეს, მტერთან უკანასკნელი შერკინებისას - ასეთი ძლიერი და სასწრაფო ბაქარის ხმალი არ მოუქნევია.

სიცოცხლეს სიტყვე მიჩნეული ცოლ-შვილის დახოცვა - ეს იყო იმა საკუთარ თავთან. არც ასეთი იმა- უჩვეულო და უსასტიკესი- გადაუტანია მანამდე ბაქარს.

...მაგრამ ცოლ-შვილის სისხლით ფხაგაბრწყინებული ხმლით ვერ მივა ბაქარი წინაპრებთან. ეს სისხლი მტრის სისხლით უნდა ჩამოიწმინდოს.

ცოლ-შვილის სისხლში განათლული ხმალი სხვა არის- სხვაგვარად ჭრის. სხვაგვარად ელავს და გველივით მოქნილი სხეულიც სხვაგვარად უთრთის, რომელსაც მისი პატრონი, „პირზე ოფლგადამდინარე", უკანასკნელად განიცდის: ბექობით-დედამიწას, ხოლო



დახუჭული თვალებითა და ღია ჭრილობებით - სიყრუეს.

* * *

ელიზბარი და მისი მშვილდები სხვაგან არიან. სადაც გულის უფროსებისა ადამიანს ასეთი რამ მოიმოქმედა, რომ თავის ღირს გაქრალა; თავის, ღრუბელს ერთად, ერთი წამით გაქრალა სიკვდილიც. მაგრამ - მხოლოდ ერთი წამით: სიკვდილი-სიკვდილია და, მკვლისა, არწივისა და კაი ყმისა არ იცის, არ გაიწყვიტება...

ელიზბარი თანამემამულეთა ლამაზად გადმოცემულებს, თავის ლექსში აპირიდებული სხლების შუქით განათებულ სახეებს გადასცემს და განადიდებს...

ბაქარი მტერთან და სიკვდილთან შეუსვენებლად გაიჭრა გარეთ: „გაუხტა ხმალ-მოლერებით, ფრანგულმა გაიცინა: თორმეტი მოჰკლა ციხის კარს, ერთურთზე დააწვინა. ვეფხვსა დაადგა კლანჭები: ბაქარმაც დაიძინა".

ამგვარი დაძინება მგლისმუხლა და არწივისგულა ვაჟკაცების ხვედრია მხოლოდ.

ბაქარი არ მომკვდარა: დაცხრილული კლანჭებითა და მტრის სისხლით გალესილი მახვილით მივიდა წინაპრებთან... მეწამული ბზარებივით მოუჩანდა ჭრილობები დაჩეხილ სხეულზე.

...და დღესაც ელის ციხექვეშეთში გაელვებული და ვაჟკაცობის ოქროთი დახუნძლული იმილან დიდი ხნის შემდეგ. წინაპრების უმხლო, მაგრამ ღვთიური შუქით გაცისკროვნებულ ქვეყანაში ცოცხლობს ბაქარი, ცოლ-შვილთან ერთად. რა თქმა უნდა, იქაა ელიზბარიც.

* * *

ელიზბარი კიდევ მრავალჯერ იამბობს ბაქარის ამბავს. უამბობს ნეკის შვილებსა თუ შვილიშვილებს. საკუთარ თავსაც მრავალჯერ ნაწილავს - „მტერმეტების სიცოცხლე ხამარდ დაილეკიხარ".- ამოიკვნესებს. მაგრამ არ დაუჯერებენ: ხოლო თვითონაც რომ სხვაზე ნაკლები ვაჟკაცი არაა და ბაქარის ჯიშისაა (მასთან ერთად ბრძოლისა და დაცვის ღირსი), ამას ყველაზე გამოუსწორებელი ურწმუნოც კი მიხვდება, თუ კარგად დააკვირდება მის „მონანიებას", მისი საუბრის ინტონაციას, განსაკუთრებით - ლექსის მიწურულს თხრობის ეშხში შესული კაცისაგან თითქოს შემთხვევით, სხვათა შორის, წამოსროლილ „მეც იმას მოვკვდ ქალზედა"-ს.

მომავალშიც მრავალი ირწმუნებს ვენახლურ ლექსში გაცხადებულ ჭეშმარიტებას: ბაქარი და ელიზბარი, გარდა ბედისწერისა, ბევრი რამით ჰგვანან ერთმანეთს. ისინი - უფლის ღირსეული შვილები - ამ ცოდვილ წუთისოფელში იმისთვის მოსულან, რომ თავდადებით, გულითა და გონებით გამოკვეთილი სიყვარულით მეგობრებისთვის ღმერთი თუ მიეცა და ამ სიყვარულისთვის შეეწირათ საკუთარი (და არამარტო საკუთარი!) სიცოცხლე...

ბაქარი და ელიზბარი - ორი არწივი, მარადიული ლექსის კლდისგან ზეცის სივრცეში გადმოფრენილი.

ისინი კაი ყმები არიან!

1999 წლის ნოემბერში გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" (№45) გამოქვეყნდა შალვა საბაშვილის ვრცელი წერილი „ცოცხალი ენა თუ გრამატიკა?... (ქართული ზმნის უღვლილების შესახებ)". ავტორი წერს: „ამ რამდენიმე ათეული წლის წინათ ძალიან დამაინტერესა ქართული ზმნის უღვლილების სისტემამ... მუშაობის პროცესში ბევრი საინტერესო საკითხი აღიძრა, მთავარი კი ის იყო, რომ დავინახე: სასკოლო გრამატიკაში მოყვანილი ზმნის უღლების სისტემა არც ლოგიკური იყო და არც სრული... ამას წინათ კიდევ ჩავიხედე 1996 წლის მე-7 კლასის გრამატიკის სახელმძღვანელოში და იგივე სურათი დამხვდა, არავის არაფერი შეუცვლია..." და ბატონმა შ. საბაშვილმა იტვირთა არალოგიკური და არასრული სისტემის ლოგიკურ ჩარჩოებში მოქცევა და სრულყოფა!.. როგორც შევიტყვე, ბ-ნი შ. საბაშვილი ასტრონომი ბრძანდება. მცირე რეპლიკა შევკადრე და სასწრაფოდ პასუხი დამიბრუნა გაგულისებულმა; იძულებული გავხდი, უფრო ვრცლად მემსჯელა და მოვლენებისთვის თავისი სახელი დამერქმია.

საჭიროდ მივიჩნიე, ბ-ნი საბაშვილისა და ჩემი რეპლიკებისთვის ერთად მომეყარა თავი და მკითხველის სამსჯავროზე კვლავ გამომეტანა. მიზანი: არაპროფესიონალიზმსა და დილეტანტიზმს დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ, თუ გვინდა, რომ საქმე სასიკეთოდ წარიმართოს...

# ენათმეცნიერის ასტრონომიული „დაკვირვებანი",

## ანუ კომენტარი ასტრონომის ენათმეცნიერულ „ნააზრევზე"

გაზეთმა „ლიტერატურულმა საქართველომ" რუბრიკით „თვალსაზრისი" გამოაქვეყნა ასტრონომ შალვა საბაშვილის წერილი „ცოცხალი ენა თუ გრამატიკა", რომელსაც ქვესათაურად აქვს მიწერილი: „ქართული ზმნის უღვლილების შესახებ".

სანამ ჩემს აზრს მოვახსენებდე პატივცემულ ასტრონომს, მინდა ორიოდე ასტრონომიული დაკვირვება გავუზიარო:

ვფიქრობ, მზის დაბნელება იმიტომ ხდება, რომ მთვარე ეფარება მზეს. ამ აღმოჩენამ ასეთ დასკვნამდეც მიმიყვანა: მთვარე უფრო ახლოსაა დედამიწასთან, ვიდრე - მზე. წინააღმდეგ შემთხვევაში მთვარის დაბნელება მოხდებოდა და არა მზისა...

და კიდევ: მე არა მჯერა მოლა ნასრედინისა, რომელიც ამტკიცებდა, რომ, როცა მთვარე ძველდება, მას ჭრიან და მისგან პატარ-პატარა ვარსკვლავებს ამზადებენ. მე ვთვლი, რომ ვარსკვლავები მზისა და მთვარის შვილები არიან.

გაგიხსენოთ: „მზე დედაა ჩემი, მთვარე - მამაჩემი..." - ამას პაწია ვარსკვლავი ამბობს...

მაინტერესებს, რა კომენტარს გაუკეთებს პატივცემული ასტრონომი ამ აღმოჩენებს, რა დაგიმალოთ და, ისეთივე კომენტარი უნდა გაუკეთდეს ბატონ შ. საბაშვილის ნააზრევსაც...

ხუმრობა იქით იყოს და, ნუთუ სერიოზულად ფიქრობს ავტორი, რომ „ვწერე", „ვაგე", „ვაშრე" ფორმები მან აღმოაჩინა და ამიტომ კითხულობს შეშფოთებული: „ეს ფორმა (ვწერე - გ.გ.) არ არსებობს ქართულში, თუნდაც თანამედროვე ქართულში? ეგებ არაბუნებრივია? ეგებ არ ესაჭიროება ქართულ ენას, ე.ი. რაიმე ბუნებრივ მოქმედებას არ გამოხატავს?" და იქვე დაასკვნის: „პირიქით, ეს ფორმა არსებობს ენაში, ბუნებრივიცაა და აუცილებელიც".

ამგვარ მსჯელობაზე სერიოზული კომენტარის გაკეთება არ შეიძლება. ისე კი, ერთმა ახირებულმა კაცმა მცხეთის ჯვრის მონასტრის დანგრევა მოისურვა: იმის ქვევით, სიღრმეში მნიშვნელოვანი საბუთი მეგულება ჩვენი დამწერლობის თაობაზე და ის უნდა ამოვიღოო! მეორე ახირებულმა კაცმა ევროპაში ნაპოვნი ათეული საუკუნეების წინანდელი ფირფიტა თანამედროვე მეგრული და სვანური ენების მეშვეობით „გაშიფრა"; მესამე ახირებულმა კაცმა მსოფლიოს ყველა ენა მეგრული ენიდან წარმოშობილად გამოაცხადა; მეოთხე ახირებულმა კაცმა - ქართული დამწერლობა ყველა დამწერლობის საფუძველიაო; მეხუთე ახირებულმა კაცმა „სა1აშ2სო გრამატიკა" შეადგინა და ა.შ....

და რაც მთავარია, ყველა ამ ახირებას გზა მისცა ჩვენმა პრესამ და ტელევიზიამ. რატომ არ მოვიშველიებთ კომპეტენტურ აზრს (მეცნიერებათა აკადემიის შესაბამისი ინსტიტუტებისა თუ თბილისის უნივერსიტეტის სათანადო კათედრებისას...)? რატომ არ შეგვწევს ძალა, ახირებულ ავტორს უარი ვუთხრათ დაბეჭდვაზე?

მეშვიდე კლასის წიგნის წაკითხვამ ბატონ ასტრონომს ეს აზრი გაუჩინა. მაღალ კლასებში რომ გადავა, ისევ უნდა ველოდოთ ახალ აღმოჩენებს?... ეს ხომ გაშარჟება და აბუჩად აგდებაა ჩვენი ეროვნული მეცნიერების ტრადიციული დარგისა!?

ვიფიქროთ ამაზეც...

გიორგი გოგოლაშვილი

„ლიტერატურული საქართველო", №47

# მთავარი ხომ ჭეშმარიტებაა?!

„ლიტერატურული საქართველოს“ 19-26 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა ბ-ნი გიორგი გოგოლაშვილის გამოხმაურება ჩემს წერილზე „ცოცხალი ენა თუ გრამატიკა?“

რეპლიკის თითქმის ნახევარი ეთმობა საუბარს ჩემს პროფესიაზე, აგრეთვე მარტივ მსჯელობას მზისა და მთვარის შესახებ. მეორე ნახევარში მინიშნებულია რამდენიმე ანონიმი ავტორი, გამოთქმულია გულისწყრომა პრესისა და ტელევიზიის მიმართ, რომლებიც გზას აძლევენ მათ ფანტასტიკურ იდეათა პუბლიკაციებს.

რაღა მოასწრო ავტორმა ისეც მცირე რეპლიკის დარჩენილ უმცირეს ნაწილში? მხოლოდ გაოცება: „ნუთუ სერიოზულად ფიქრობს ავტორი, რომ „ვწერე“, „ვკეცე“, „ვაშრე“ ფორმები მან აღმოაჩინა?“ და განცხადება: „...ეს გაშარჟებაა ჩვენი ეროვნული მეცნიერების ტრადიციული დარგისა“. დასაბუთების ცდაც კი არაა.

განვმარტავ იმას, რაც ისედაც ნათლად ჩანს ჩემს წერილში: „მე „აღმოვაჩინე“ არა „ვწერე“ და კიდევ ოთხი სხვა ფორმა: „ვწერო“, „მიწერია“, „მეწერა“, „მეწეროს“, არამედ ის, რომ ეს ფორმები „ვერ აღმოაჩინა“ ან შეგნებულად უგულებელყო სასკოლო გრამატიკის კურსმა. ნუთუ ამ უბრალო რამის გაგება ძნელი იყო?

სასკოლო გრამატიკა გვასწავლის, რომ ქართული ზმნის უღლება მოიცავს 11 მწკრივს. მე დავწერე, რომ სინამდვილეში არსებობს 16, მივუთითე 5 დამატებითი მწკრივი და ვაჩვენე მათი სრულფასოვნება. მაშასადამე, რეპლიკის ავტორი ან უნდა დამთანხმებოდა, ან დაესაბუთებინა ჩემი თვალსაზრისის მცდარობა, რამ შეუშალა ხელი ამაში?

ავტორის აზრი მაინც ნათელია. რადგან ამტკიცებს, რომ ეს დამატებული ფორმები მე არ აღმომიჩენია (რა აღმოჩენა სჭირდება სრულიად ცოცხალ სამეტყველო ფორმებს? შ.ს.), მაშასადამე სჯერა მათი არსებობა. მაშინ ან უნდა თქვას და კიდეც დაასაბუთოს, რომ ეს ფორმები 11 „აღიარებული“ მწკრივის ფორმათა უბრალო ნაირსახეობანია და მათი ცალკე მწკრივებად გამოყოფა გაუმართლებელია, ან აღიაროს, რომ მათი შეტანა გრამატიკის კურსში აუცილებელია. ის არც ერთს აკეთებს, არც - მეორეს. რა უშლის ხელს?

ერთადერთი მოტივი, რაც რეპლიკაში გაისმის, ასეთია: „რატომ შეეხო ასტრონომი ენათმეცნიერებას?“ ასტრონომებისათვის ასეთი მიდგომა უცნაურია - ისინი მიესალმებიან მოყვარულთაგან ასტრონომიაში შეტანილ ყოველ წვლილს. მარტო მუსიკოს ჰერშელის ასტრონომიულ აღმოჩენათა ჩამოთვლას ერთი გვერდი არ ეყოფა. თუნდაც პლანეტა ურანის პოვნა რად ღირს! ასტრონომებს არც უფიქრიათ ურანის „გაუქმება“ - დააკვირდნენ, დარწმუნდნენ მის არსებობაში, გულდასმითაც შეისწავლეს და მის მოძრაობაში შემჩნეული შეშფოთებების წყალობით შემდეგში ახალი პლანეტა ნეპტუნიც აღმოაჩინეს...

შალვა საბაშვილი

„ლიტერატურული საქართველო“, №49

# რას მოგვიტანს არაპროფესიონალიზმი და დილეტანტიზმი?

ამას წინათ ერთ-ერთ ცნობილ ჟურნალისტზე ითქვა ტელევიზიით - „ყოფილი ჟურნალისტიო“; თურმე მას ჟურნალისტური საქმიანობა მიუტოვებია და სახელმწიფო მოხელე გამხდარა... ამ ფაქტმა ეს ამბავი გამახსენა: ერთ სატელევიზიო სამართლებრივ გადაცემას ჩემი ნაცნობი სტუდენტი უძღვებოდა. ტელეეკრანზე იწერებოდა „ჟურნალისტი ესა და ესაო“. ვიცოდი, იურიდიულზე რომ სწავლობდა და შეხვედრისას ვკითხე, შენ ხომ იურისტი ხარ-მეთქი. ჯერ არ დამიმთავრებია უნივერსიტეტი, ჟურნალისტი საიდან ხარ-მეთქი; - ჟურნალისტობას რა უნდაო... საინტერესო ფაქტია: ვინც წერს, ვინც გამოდის ტელევიზიით, ყველა „ჟურნალისტია“. ჟურნალისტობას, მათი გაგებით, არ სჭირდება პროფესიული განათლება. ამიტომაა კარგად უხომოდ მომრავლებული ჟურნალ-გაზეთებისა და ტელეკომპანიების საქმე...

არაპროფესიონალიზმმა და დილეტანტიზმმა ძალუმად შემოგვიტია. აივსო წიგნის ბაზარი არამწერალთა და არაჟურნალისტთა წიგნებით, ჟურნალ-გაზეთებით.

არაპროფესიონალ, დილეტანტ „მეცნიერთა“ ასპარეზად იქცა ძირითადად რუსთველოლოგია და ენათმეცნიერება... ამას წინათ ქუთაისის ერთ-ერთ გაზეთში ვკითხულობდი, თამარ მეფის მეხამე ქმარი შოთა რუსთაველი იყო და ერთად არიან დასაფლავებული აგერ, გელათშიო... მითხრეს, ეს ნაშრომი წიგნადაც გამოიცაო. სხვა ფაქტების დასახელებაც შეიძლება... სრული განუკითხაობაა... რატომ ვსაუბრობ ამ თემაზე?

იმიტომ, რომ მხოლოდ ამგვარ კონტექსტში შეიძლება მოვიაზროთ შ. საბაშვილის წერილი „გრამატიკა თუ ცოცხალი ენა“, რომელიც გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა (5-12 ნოემბერი, 1999 წ.). მოკლე რეპლიკა შევკადრე ავტორს და შევახსენე, რომ ქართული ენათმეცნიერება ეროვნული მეცნიერების ტრადიციული დარგია და ასე მარტივად ნუ შეხედავ ამ საქმეს-მეთქი. იწყინა ბატონმა საბაშვილმა ჩვენი რეპლიკა და გაგულისებულმა რიტორიკული კითხვა დასვა: „მთავარი ხომ ჭეშმარიტებაა?“ და ისე გაიაზრა, თითქოს, მას, ასტრონომს, მე, ენათმეცნიერი, ვუკრძალავდე ენის საკითხებზე ფიქრს... არ არის ასე, ბატონო შალვა!

ერთადერთი, რაშიც შეიძლება დაგეთანხმოთ, ის არის, რომ „მთავარი ჭეშმარიტებაა!“ მაგრამ ეს ჭეშმარიტება არ ჩანს არც თქვენს „მეცნიერულ გამოკვლევაში“ და არც რეპლიკის პასუხად დაწერილ წერილში.

ნება მიბოძეთ, უფრო ვრცლად განვიმარტოთ:

არ გამოვრიცხავ (და არც არის აუცილებელი), რომ „ლიტერატურული საქართველოს“ მკითხველთა

ნაწილი არ იყოს ჩახედული იმ საქმეში ღრმად, რასაც საულლებელ ერთეულთა რაოდენობის დადგენა მოითხოვს. ვამბობ, ისე ღრმად-მეთქი, რადგან 30-იანი წლებიდან მოყოლებული ჩვენს სკოლაში აკაკი შანიძის გრამატიკის სახელმძღვანელოებით ისწავლება ქართული ენა და ამიტომ ყველა ჩვენგანისათვის ნაცნობია ის წიგნი, ბატონ საბაშვილს პაექრობის სურვილი რომ გაუჩინა.

და რადგანაც არ არის აუცილებელი, რომ „ლიტერატურული საქართველოს" ყველა მკითხველი ღრმად ერკვეოდეს საულლებელ ერთეულთა რაოდენობის საკითხში, ვინმემ შეიძლება გულწრფელად გაიცინოს: თუ ეს საკითხი მოყვარულმა (ასე უწოდებს თავის თავს შ. საბაშვილი) გაარკვია, რას აკეთებს ამდენი სამეცნიერო დაწესებულება, უმაღლესი სასწავლებელი? კითხვა ლოგიკური იქნება, მაგრამ...

ახე დავასრულე რეპლიკა, რომელიც ამ წერილის გამო გამოვაქვეყნე: „ეს ხომ გაშარჟება და აბუჩად აგდებაა ჩვენი ეროვნული მეცნიერების ტრადიციული დარგისა?! ვიფიქროთ ამაზეც". და ვიფიქრე, საკითხი არ იყო ისე დასმული, რომ მასზე დაწვრილებით მსჯელობა ღირებულიყო. მაგრამ, როგორც ჩანს, ზოგი რამ მაინც უნდა მეთქვა...

რა არ მოსწონს სასკოლო გრამატიკაში შ. საბაშვილს და ვის თვალსაზრისს უჭერს კორექტივს?

მე შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ ა. შანიძის, ვ. თოფურიას, არნ. ჩიქობავას თუ სხვათა თვალსაზრისის კრიტიკა არ შეიძლება. საკითხის ამგვარად დასმას არც ამ კლასიკოსთა ხელები გვაპატიებენ. პირიქით, ეს რომ საჭიროცაა, ამის კარგი მაგალითები თავადაც მოგვცეს. ერთ ფაქტს გავიხსენებ: ა. შანიძემ კ. დანელიას ერთ წერილს ასეთი მინაწერი გაუკეთა:

„თქმულა: სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა". ეს ბრძნული აზრი შ. რუსთაველისა ვერ გავითვალისწინე, აჩქარდი და შეცდომა მომივიდა „მსხორ" სიტყვის ახსნისას. მაგრამ, სასიამოვნოა, რომ ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობა გაირკვა და ეს ჩემი შეცდომა ჩემმავე მოწაფემ პროფ. კ. დანელიამ გამოასწორა". კ. დანელიას წერილი ამ მინაწერითურთ გამოქვეყნდა.

დიახ, ბატონო შალვა, შეცდომის გასწორებას, ახლის მიგნებას, აღმოჩენას ასეთი აღტაცებით ხვდებოდნენ ჩვენი მასწავლებლები და ამასვე მოითხოვდნენ ჩვენგანაც. ამიტომ, თუ რაიმე დაზუსტდება, გაირკვევა, აღმოჩნდება - აღტაცებით მივიღებთ და დავუჭერთ მხარს. არა აქვს ჩვენთვის მნიშვნელობა, ამას ასპირანტი გააკეთებს თუ აკადემიკოსი, ენათმეცნიერი თუ ასტრონომი. მაგალითები გნებავთ? კეთილი. ჩვენ გამოვეცით კრებული „საენათმეცნიერო ძიებანი", სადაც დაიბეჭდა მათემატიკოს ნ. კანდელაკის საინტერესო ნაშრომი ქართულ ასომთავრულზე ("საენათმეცნიერო ძიებანი", 1983); თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტის ერთობლივ სამეცნიერო სემინარზე „საენათმეცნიერო საუბრები" მოვისმინეთ და, ფაქტობრივ, გზა დავულოცეთ ფიზიკოს პ. მარგველაშვილის საინტერესო ტექსტოლოგიურ ძიებებს „ვეფხისტყაოსნიდან". იმის მაგალითიც მრავლად შეიძლება მოვიყვანოთ, თუ რა წვლილი შეიტანეს ენათმეცნიერების განვითარებაში განათლებით არაფილოლოგებმა; ერთი სახელის გახსენებაც იკმარებდა - პეტრე უსლარი... ასე რომ, ბატონო შალვა, ის კი არ არის მთავარი, თქვენს დიპლომში რა გიწერიათ, მთავარია, რას ამბობთ და როგორ.

აბა, დავფიქრდეთ, რას ნიშნავს თქვენი ამბიციური და თავმომწონე განცხადება: „განვმარტავ იმას, რაც ისედაც ნათლად ჩანს ჩემს წერილში: „მე „აღმოვაჩინე" არა „ვწერე" და კიდევ ოთხი სხვა ფორმა: „ვწერო", „მიწერია", „მეწერა", „მეწეროს", არამედ ის, **რომ ეს ფორმები „ვერ აღმოაჩინა" ან შეგნებულად უგულებელყო სასკოლო გრამატიკის კურსმა.** ნუთუ ამის გაგება ძნელი იყო?" (ხაზი ჩემია - გ.გ.).

იმის გაგებაა ძნელი, ბატონო შალვა, რატომ არ ამბობთ, ვისია მოძღვრება 11 მწკრივის შესახებ, ვინ არიან ავტორები სახელმძღვანელოსი.

დიახ, ბატონო შალვა, ამ მოძღვრების ავტორი და სახელმძღვანელოსიც ა. შანიძეა (სახელმძღვანელოს თანაავტორები არიან პროფ. ი. იმნაიშვილი და პროფ. ლ. კვაჭაძე, მაგრამ მოძღვრება 11 მწკრივის შესახებ, კიდევ ერთხელ გიმეორებთ, ა. შანიძისაა). იცით, რომ ა. შანიძეს VII კლასის სახელმძღვანელოს გარდა სხვა ნაშრომებიც აქვს, სადაც ეს საკითხებია განხილული? იცით, რომ მწკრივთა მოძღვრება მონოგრაფიულად დაამუშავა ა. შანიძემ? იცით, რომ ამ საკითხის მეცნიერულ კვლევას საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს? იცით, რომ ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დიმიტრი ყიფიანი გამოთქვამდა იმ აზრს, რაც თქვენ საკუთარ აღმოჩენად მიგაჩნიათ? იცით, რომ დღესაც არიან ენათმეცნიერები, ვინც ამ საკითხებზე წერენ და, ნუ გაიოცებთ, არ ეთანხმებიან ა. შანიძეს,მაგრამ, თქვენგან განსხვავებით, იცნობენ და პატივს სცემენ მის ღვაწლს? იცით, რომ ქართული ენათმეცნიერება მხოლოდ სასკოლო გრამატიკა არ არის? იცით... თუმცა რაღა საჭიროა ამდენი შეკითხვა...

თქვენ ეს არ იცით, სამწუხაროდ, და ამიტომ აცხადებთ ასე, რბილად რომ ვთქვათ, გაბედულად: „მე დავწერე, რომ სინამდვილეში არსებობს 16 (მწკრივზეა საუბარი - გ.გ.), მიუთითე 5 დამატებითი მწკრივი და ვაჩვენე მათი სრულფასოვნება".

-თქვენ რომ იცნობდეთ ამ საკითხის შესახებ არსებულ ლიტერატურას, თქვენ რომ მოგეცალათ და წაგეკითხათ, რაც საჭიროა, არ გამოვრიცხავ, რაიმე ახალი აზრი გაგჩენოდათ, მაგრამ თქვენ ამისთვის ვერ მოიცალეთ. დიახ, ასე ამბობთ თქვენს წერილში: „მიზეზი იყო მოუცლელობა", რომ აქამდე ვერ დავწერე ეს გამოკვლევაო... მერე მოიცალეთ და აღმოაჩინეთ, რომ ა. შანიძის მოძღვრება მწკრივის შესახებ" არც ლოგიკურია და არც სრული". უხერხულობას არ გრძნობთ, ამას რომ ამბობთ? შეიძლება არ გაიხაროთ, მაგრამ ჩვენი მეცნიერების პატრიარქის მიერ ათეული წლების განმავლობაში ნაფიქრ-ნაღვაწი ასე ერთი ხელის მოსმით რომ მოისროლეთ, ცოდვით არ გწამთ? სინდისმა არ შეგაწუხათ?

„არც ლოგიკურია და არც სრული" - აცხადებს და ამ ლოგიკას იწყ-

ნებს კაცი, რომელიც ასე მსჯელობს: გოგოლაშვილს „რეპლიკის თითქმის ნახევარი უთმობა... მეორე ნახევარში მინიშნებულია... დარჩენილ ნაწილში... „ორი ნახევრის შემდეგ რაღა დარჩა? რამდენი ნახევარია სულ?.. და ამ ლოგიკის პატრონი ა. შანიძის ლოგიკას იწუნებთ?

წერეთ, ბატონო, ვინ გიშლით, მაგრამ ისიც წაიკითხეთ, სხვა რას წერს. ურანი უკვე ნაპოვნია და ნუ ეძებთ მას...

ახლა მაინც თუ ხვდებით, ბატონო შალვა, რა მიზანი ჰქონდა ჩემს რეპლიკაში, თქვენი სიტყვებით რომ ვთქვათ, „მარტივ მსჯელობას მზისა და მთვარის შესახებ"? კიდევ ერთხელ ვიტყვი: დიდად დაგიმადლებთ ჩვენცა და ერიც, თუ რაიმე ფასეულსა და მნიშვნელოვანს აღმოაჩენთ; ვიდებთ ყურად თქვენს შეგონებას: ასტრონომები „მოეხალმებიან მოყვარულთაგან ასტრონომიაში შეტანილ წვლილს", მაგრამ ნურც თავს მოიტყუებთ და სხვის შეცდომაში შეყვანასაც ნუ ეცდებით: აქ წვლილზეა საუბარი და არა სხვისი წვლილის უგულებელყოფაზე...

დაბოლოს: თავში ნათქვამს რომ დავუბრუნდეთ, არაპროფესიონალიზმი და დილეტანტიზმი სიკეთეს არ მოგვიტანს და შეძლებისდაგვარად მას გზა უნდა გადავუღობოთ ყველგან, ყველა სფეროში.

გიორგი გოგოლაშვილი
„ლიტერატურული საქართველო", №52

*P.S. და მაინც, ღირდა კი ამდენი დროისა და საჟურნალგაზეთო ადგილის ხარჯვა? რა შედეგს გვაძლევს ამგვარი პოლემიკა?*

*მახსენდება: კარგა ხნის წინათ თ. ჭილაძემ ძალზე საინტერესო კრიტიკული წერილი გამოაქვეყნა ქართული საესტრადო სიმღერების ტექსტებზე. ასეთ ფაქტს შევესწარი: მწერალთა კავშირის წინ ნიკა აგიაშვილი შეხვდა თამაზს და უთხრა: თამაზ, ძალიან კარგი იყო შენი წერილი, მაგრამ რაღა გინდა, ხვალ გამოვლენ და ისევ ისე იმღერებენო...*

*ეს ნახევრადხუმრობით ნათქვამი მოსწრებული სიტყვა გაფრთხილებაცაა: მაინც თუ იმღერებს, ტაში ნუღარ დაუკრავთ თავგამოდებით, ნუ მიეცემით ფართო გზას...*

*და კიდევ - სჯობს, დ. გურამიშვილს დავესესხოთ: „ავს თუ ავი არ ვუწოდო, კარგს სახელად რა დავარქვა?"*

*ისიც ვთქვათ, ეს არაა კერძო შემთხვევა და შეიძლება საკმაოდ ბევრიც გავაგრძელოთ. ისევ გურამიშვილი: „მართალია მძრახველს ძრახვა თვით კი ავად მოუხდების, მაგრამ ფარვა სიავისა ქვეყანას არ მოუხდების!"..*

*ქვეყანა რა შუაშია, არა მგონია, ჩვენმა მკითხველმა იკითხოს...*



# სამეცნიერო კონფერენცია გერმანიაში

1999 წლის 27-28 ნოემბერს გერმანიის ქალაქ ოლდენბურგში ჩატარდა ტრადიციული კონფერენცია „კავკასიის ენათა პრობლემები. VIII". მისი ორგანიზატორი გახლდათ ოლდენბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, ქართველოლოგი, საქართველოს დიდი მეგობარი ბ-ნი **ვინფრიდ ბოედერი.**

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ გერმანიის, შვეიცარიის, პოლონეთისა და საქართველოს წარმომადგენლები. თემატიკა მრავალფეროვანი იყო, მოხსენები - საინტერესო. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კონფერენციაზე მოხსენებათა უმრავლესობა ზანურ (კოლხურ) ენას შეეხებოდა, რაც წინასწარ იყო გათვალისწინებული. მასპინძელთაგან მეგრულ-ლაზურის შესახებ მოხსენებები წარმოადგინეს პროფ. **ვინფრიდ ბოედერმა** („ქონა-ყოლის აღმნიშვნელი ზმნები მეგრულში"), იენის უნივერსიტეტის პროფესორმა **ჰაინც ფენრიხმა** („ქართველური ლექსიკა მეგრულის გათვალისწინებით"), კიოლნის უნივერსიტეტის თანამშრომელმა **სილვია კუზერმა** („ბრუნვის სისტემის შესახებ ართაულში"); ციურიხის უნივერსიტეტის თანამშრომელმა **იონა მატისენმა** („ასპექტი ლაზურში").

საქართველოს წარმომადგენელთაგან მოხსენებები წაიკითხეს ფილოლ. მეცნ. კანდიდატებმა **გურამ კარტოზიამ** („მეგრულ-ლაზური ფოლკლორული პარალელები" და „ლაზური დიალექტები"), **რევაზ შეროზიამ** („სტატიკურ და დინამიკურ ზმნათა აწმყოს ფუძის წარმოების საკითხი კოლხურში (ზანურში)" და „კოლხური (ზანური" ენა სოციოლინგვისტური თვალსაზრისით").

საინტერესო მოხსენებები წარმოადგინეს პროფ. **ზურაბ სარჯველაძემ** („დასავლურ ქართველურ ტომთა სახელწოდებები ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში"), **ლელა ალექსიძემ** („სახელდების პრობლემა პროკლეს ელემენტების იოანე პეტრიწისეული კომენტარების ბოლოსიტყვაობისა"), ფილოლ. მეცნ. დოქტორმა **მანანა თანდაშვილმა** („პირის ნიშანთა განაწილებისათვის უდიურ ზმნაში"); კავკასიოლოგმა ლაიფციგის უნივერსიტეტიდან **ბერნარდ კომრიემ** („აფექტური (დატიური) კონსტრუქციის შესახებ ცეზურ ენაში"), პოლონელმა მეცნიერმა ტორნის უნივერსიტეტიდან **ვიტოლდ სტეფანსკიმ** („ილია ჭავჭავაძის ენისა და პოეტიკის შესახებ"); ფრანკფურტის უნივერსიტეტის პროფესორმა **იოსტ გიპერტმა** („პროგრამა „არმაზი-პროექტი"").

კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ ოლდენბურგის, ბერლინისა და გეტინგენის უნივერსიტეტების თანამშრომლები, კარგად იყო ორგანიზებული, რაც ბ-ნ ვინფრიდ ბოედერის დიდი შრომის შედეგი გახლდათ. აქვე უნდა აღინიშნოს განსაკუთრებული სითბო და ყურადღება საქართველოს წარმომადგენელთა მიმართ. გულით, „ქართველური" მასპინძლობა გაუწიეს სტუმრებს ბოედერების ოჯახმა, ბ-ნმა ვინფრიდმა და მისმა მეუღლემ და დაუღალავმა თანაშემწემ ქ-ნმა დორისმა. დასამახსოვრებელი იყო სტუმრობა ოლდენბურგის უნივერსიტეტში, ბერლინში; ასევე - გეტინგენში, სადაც სამხრეთული სიმკვირცხლითა და სითბოთი მასპინძლობდა პროფ. მაიკლ იობი... კონფერენციის შესახებ **ბიძინა რამიშვილის** ინფორმაცია გადასცა რადიო „თავისუფლებამ".

# ეტლთა და უნდთა მნათობთათჳს

# თხის რქაჲ, რომელსა არაბულად ჰრქჳან ჯადი

**XII საუკუნის ეს ასტროლოგიური თხზულება 1975 წელს გამოსცა აკადემიკოსმა აკაკი შანიძემ. ჟურნალის წინამდებარე ნომერში გთავაზობთ ორ მონაკვეთს: თხის რქას (22.12. - 19.01) და წყლის საქანელს (მერწყული, 20.01 - 18.02).**



თხისა რქისა ბურჯი ზუჰალისა სახლი არს და მარიხისა შარაფი და მუშთარისა ჰუბუტი და მთოარისა ვაბალი. მიწისაჲ არს და დედალი და ბუნებად გრილი და ჴმელი. და კაცისა ნივთთაგან სევდაჲ მისი არს სამხრისაჲ არს. და რაჲ მზე პირველსა დაყოფასა ამის ბურჯისასა მოვიდეს, დღე ყოველთა [დღეთა]გან უმცრო არს და ღამე ყოველთა ღამეთაგან უფრო არს.

და დღე მაშინ მატებასა დაიწყებს. და ზამთრისა პირველი არს. და ამას ბურჯსა შიგან მზე ადრე აღმოჰჴდების და გვიანად ჩაჰჴდების. და დღეთაგან შაბათი მისი არს და შვილ-მოწონებული არს: არცა უშვილოჲ არს და არცა შვილ-მრავალი, შუა-ჴმაჲ. ქუეყანათაგან რასაცა ზედა ხენი მაღალნი დგანან, მისი არს და დიდთა და ცხებულთა მეფეთა და შარავანდედთა და მთავართა ეტლი არს. და კაცისა ასოთაგან მუჴლნი მისნი არიან. ქალაქთაგან ეთიოპიაჲ და სინდოეთი და სინდეთი და ჩინთა ქუეყანაჲ და აჲვაზისა ქუეყანაჲ და ქაბულისა ქალაქნი და ზღუაჲ დიდი უკიანოსი; და ადგილთაგან მაღალნი მთანი ტყიანნი და მაღალნი კოშკნი და მაღალნი მთანი ყანიანნი. და ხეთაგან რაჲცა მაღალი არს და აზანოზისა ხე. და სულიერთაგან პილოჲ, აქლემი და ზროხაჲ და ეშუ მისი არს. და ორბი და არწივი მისი არს. და ჴელისუფალთაგან მგებელნი და მუშანი და ჴევის ბერნი.

ვინცა ამას ეტლსა ზედა იშვას, კაცი იყოს ცნობილი, მძიმე და ფრთხილი და კაცის შემტყუები, და მართალი და მოთმინე, სიბრძნის მოყუარე, პირად კეკლუცი, ტანად შუენიერი, არცა გრძელი, არცა მოკლე და მწყაზარი, თმა-გრძელი და წუვმოკლე და ნებისა ცხორებაჲ და მგზავრობა-მრავალი და შაჴვის მოყუარე და ერთსა გონებასა და ერთსა საქმესა ზედა არ დამდგომი. და თუ ჴელმწიფისაგან იყოს, მრავალსა ქუეყანასა და მრავალსა საქონელსა ზედა პატრონობაჲ მიხუდეს, ამისთჳს რომელ ამის ეტლისა პატრონი და მნათობი ზუჰალი არს და ზუალი ყოველთა ვარსკულავთა უმაღლესი არს. და შობისა ჟამსა ზუჰალი თუ სასწორსა ზედა იყოს, რომელ არს მისი შარაფი (და შარაფისა თარგმანი „საპატივოდ ნებითა საჯდომი არს და ცხორებაჲ"), ესე რაჲცა გუთქუამს, უკეთესი და უფროჲსი მიხუდების, მით რომელ სასწორი ეტლისაგან მეათე კარი არს, და მეათე კარი ჴელმწიფისა კარი არს.

ესე ბურჯი სამ-ნაწილი არს: პირველ[ი] ათ დარაჯამდის მუშთარისაჲ არს, მეორე მარიხისაჲ არს და მესამე – მზისაჲ.

თუ მუშთარისა ნაწილსა ზედა იშვას, კაცი იყოს მკერდ-ბრტყელი და სიტყვა-წყლიანი და სიკეთის მოყუარე.

და თუ მარიხისა ნაწილსა ზედა იშვას, ცოტად მწითური იყოს და ადრე გამწყრომი.

და თუ მზისა ნაწილსა ზედა იშვას, მრავალთ მოყუარე იყოს და მრავალ-გონება.

და ოთხშაბათი დღე არ აშუნდეს.

# წყლის საქანელი, რომელსა არაბულად ჰრქჳან დალვ



წყლის საქანელისა ბურჯი ზუჰალისა სახლი არს და მზისა ვაბალი. და დღისაჲ არს, დასავლეთისაჲ არს, მამალი არს, ბუნებად მჭურვალი და ნედლი არს. კაცისა ნივთთაგან სისხლი მისი არს. ჰაერისაჲ არს და ქარისაჲ (ქარი იგი, რომელ ზღჳასა აღსძრავს და ნავსა დაანთქამს). და რაჲ მზე ამას ბურჯსა ხუთმეტ დარაჯამდის მივიდეს, შუა ზამთარი არს და ადრე ამოჰჭდების და გჳანად ჩაჰჭდების. და დღეთაგან შაბათი მისი არს.

და ესე ბურჯი ბერთა პატიოსანთა, ჴელისუფალთა და მუშათაჲ არს. კაცისა ასოთაგან წჳვნი კოჭთამდის მისნი არიან. ქალაქთაგან ქუფაჲ და ყიპტისა ქუეყანაჲ და ედემი, ქირმანი მისნი არიან; წყალთაგან ნილოსი და დიდნი მდინარენი; ადგილთაგან ტყენი და ჰურიათა სალოცავნი და ჯორთა და აქლემთა და ცხენთა სადგომნი და ოჭერნი ადგილნი მისნი არიან; და სულიერთაგან წყლისა მფრინველნი, მწავი და კატაჲ ველური და ნასნასი.

ვინცა ამას ეტლსა ზედა იშვას, კაცი იყოს მოკლე და წჳერ-გრძელი და თავ-დიდი, თუალ-ცოტაჲ და ლაშ-ფართოჲ და ბაგე-სქელი და თით-მოკლე და მკერდ-ბრტყელი. სიძვის მოყუარე, მძიმე-გონებაჲ და საქმედ ზანტი და ოქროჲსა შემკრებელი და არ წამგები არცა თავისათჳს და არცა სხუათათჳს. და ზოგმან მრავალ-ჯერ იშოოს და მრავალ-ჯერ დაგლახაკდეს. და ზოგი გლახაჲ და უღონოჲ და უბედური და ძური და საწადმართოჲსა საქმისა არ მოყუარე. ჴელისუფალთაგან მეურმე და ქვის მთლელი, მებოსტნე, მეაქლემე, მეწისქჳლე და რაჲცა ძნელი და საჭიროჲ საქმეა, მისი არს.

# ეტლთა და შჳდთა მნათობთათჳს

ესე ბურჯი სამ-ნაწილი არს: პირველი ნაწილი ათ დარაჯამდის მთიებისაჲ არს და მეორე ოც დარაჯამდის ოტერიდისაჲ არს და მესამე ოცდაათ დარაჯამდის მთოარისაჲ არს.

თუ მთიებისა ნაწილსა ზედა იშვას, კაცი იყოს პირ-კეკლუცი და წჳერ-კეკლუცი, შაჰვის მოყუარე და მხიარული, მომღერალი და მრავლის მოყუარე და მკერდსა ზედა ნიშანი იყოს.

და თუ ოტერიდისა ნაწილსა ზედა იშვას, იყოს თუალ-მახხი და მწერალი და ნარდისა და ჭადრაკისა მომღერალი, და ლჳნისა მსუმელი და ყოვლისა ჭელისუფლობისაგან ცოცოტაჲ ისწავლოს.

და თუ მთოარისა ნაწილსა ზედა იშვას, იყოს კაცი პირ-მრგუალი და მჭლე და მღაღობელი და მრავლის მეტყუელი და ზურგსა და ჭელსა და ფერჴსა ზედა ნიშანი იყოს, ანუ გალატოზობაი იცოდის კარგი, ანუ მეტყავე იყოს. და პარასკევი დღე არ აშუნდეს.

და ვინცა მეშვდესა და მეთექუსმეტესა და მეშჳდმეტესა და მეოცესა დარაჯასა ზედა იშვას, ბედიანი იყოს.

* * *

თბილისის ი. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის მეცნიერებათა დარგის P10.02.C №6 სადისერტაციო საბჭომ (თავმჯდომარე აკადემიკოსი **თ. გამყრელიძე**) მიანიჭა

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი

ირინა კაპანაძეს

**დისერტაციის თემა:** რელიგიური ტერმინოლოგია სლავურ-რუსულ და ქართულ-ბიბლიურ წიგნებში.

**საბჭოს ექსპერტი:** პროფ. ზ. ჭუმბურიძე.

**ოფიციალური ოპონენტები:** პროფ. დ. მელიქიშვილი, პროფ. ნ. ბასილაია, პროფ. ე. ჭელიძე.

**წამყვანი ორგანიზაცია:** არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

დისერტაციის დაცვა გაიმართა **1999 წლის 22 დეკემბერს.**

ნინო ცქიტიშვილს

**დისერტაციის თემა:** ვოკალურ'შენაერთებიან სიტყვათა აქცენტური ორგანიზაცია.

**საბჭოს ექსპერტი:** პროფ. ც. ახვლედიანი.

**ოფიციალური ოპონენტები:** პროფ. ი. ფხაკაძე, პროფ. ლ. ზუბკოვა, პროფ. გ. ქუთათელაძე.

წამყვანი ორგანიზაცია: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გერმანული და ფრანგული ენების კათედრა.

დისერტაციის დაცვა გაიმართა **1999 წლის 29 დეკემბერს.**

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი

ნანა ხეცურიანს

**დისერტაციის თემა:** უარყოფის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია.

**სამეცნიერო ხელმძღვანელი** - პროფ. მ. მეგრელიშვილი.

**კონსულტანტი** - მ.ბ. ზიგლერი (აშშ. ქ. ატლანტა)

**საბჭოს ექსპერტი** - პროფ. მ. ნათაძე.

**ოფიციალური ოპონენტები:** პროფ. მ. ქურდიანი, დოც. ნ. ძოწენიძე.

**წამყვანი ორგანიზაცია:** სულხან-საბა ორბელიანის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი.

დისერტაციის დაცვა გაიმართა **1999 წლის 15 დეკემბერს.**

* * *

ი. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი ფილოლოგიის დარგის სადისერტაციო საბჭომ P 10.01 C №2 (თავმჯდომარე პროფ. **გ. ხინთიბიძე**) მიანიჭა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი

მამუკა ჯანტურიას

დისერტაციის თემა - ვაჟა-ფშაველას 900-იანი წლების ეპოსი - „ძალლიკა ხიმიკაურის" პრობლემატიკა და მხატვრული სტრუქტურა.

**სამეცნიერო ხელმძღვანელი** - პროფ. ჯ. ჭუმბურიძე.

**საბჭოს ექსპერტი** - პროფ. ო. ბაქანიძე.

**ოფიციალური ოპონენტები** - პროფ. ლ. ჭრელაშვილი, დოც. დ. კოტორაშვილი.

**წამყვანი ორგანიზაცია** - ა. წერეთლის სახ. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

დისერტაციის დაცვა გაიმართა **1999 წლის 16 აპრილს**

* * *

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ფილოლოგიის მეცნიერებათა დარგის P 10.02. C №4 სადისერტაციო საბჭომ (თავმჯდომარე პროფ. **გ. კვარაცხელია**) მიანიჭა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი

თამარ ჟღენტს

**დისერტაციის თემა:** დანტეს ნააზრევი ენის შესახებ.

**სამეცნიერო ხელმძღვანელი** - ფილოლ. მეცნ. კანდ. მ. მაჭავარიანი.

**ოფიციალური ოპონენტები** - პროფ. მ. ქურდიანი, ფილოლ. მეცნ. კანდ. თ. ომიაძე.

**წამყვანი ორგანიზაცია**- თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. ენისა და კულტურის უნივერსიტეტი.

დისერტაციის დაცვა გაიმართა **1999 წლის 7 დეკემბერს.**

ეკატერინე აბულაძეს

**დისერტაციის თემა** - ანტონ ფურცელაძის ენა და სტილი.

**სამეცნიერო ხელმძღვანელი** - პროფ. ვ. სერგია.

**საბჭოს ექსპერტი** - პროფ. ი. ქობალავა.

**ოფიციალური ოპონენტები** - პროფ. ი. კიკნაძე, დოც. გ. ბედოშვილი.

**წამყვანი ორგანიზაცია** - თსუ სოხუმის ფილიალი.

დისერტაციის დაცვა გაიმართა **1999 წლის 7 დეკემბერს.**

ელისაბედ (ბულიკო) გაზდელიანს

**დისერტაციის თემა** - ხმოვანთა პოზიციური სიგრძე სვანურში.

**სამეცნიერო ხელმძღვანელი** - პროფ. მ. ქალდანი, პროფ. ი. ნანტლაძე.

**საბჭოს ექსპერტი** - პროფ. თ. უთურგაიძე.

**ოფიციალური ოპონენტები** - პროფ. ზ. ჭუმბურიძე, დოც. ი. ლეჟავა.

**წამყვანი ორგანიზაცია** - სულხან-საბა ორბელიანის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა გაიმართა **1999 წლის 14 დეკემბერს.**

როენა ჭკადუას

**დისერტაციის თემა** - სტატიკურ ზმნათა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი სვანურში

**სამეცნიერო ხელმძღვანელი** - პროფ. ი. ნანტლაძე.

**საბჭოს ექსპერტი** - პროფ. ა. არაბული.

**ოფიციალური ოპონენტები** - პროფ. გ. თოფურია, დოც. ქ. მარგიანი.

**წამყვანი ორგანიზაცია** - სულხან-საბა ორბელიანის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა გაიმართა **1999 წლის 14 დეკემბერს.**

ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲑᲣᲙᲘᲐᲡ

**დისერტაციის თემა** - მეცხვარეობისა და ცხენოსნობის ლექსიკა ზანურში.

**სამეცნიერო ხელმძღვანელი** - ფილოლ. მეცნ. დოქტ. თ. გვანცელაძე.

**საბჭოს ექსპერტი** - პროფ. ი. ჩანტლაძე.

**ოფიციალური ოპონენტები** - პროფ. ა. არაბული, დოც. თ. მიქიაშვილი.

**წამყვანი ორგანიზაცია** - ი. ჭავჭავაძის სახ. ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

დისერტაციის დაცვა გაიმართა **1999 წლის 21 დეკემბერს.**

ᲜᲐᲠᲒᲘᲖᲐ ᲡᲣᲠᲛᲐᲕᲐᲡ

**დისერტაციის თემა** - ქვემოაჭარული დარგობრივი ლექსიკა.

**სამეცნიერო ხელმძღვანელი** - პროფ. თ. უთურგაიძე.

**საბჭოს ექსპერტი** - ფილოლ. მეცნ. დოქტ. ა. ჭინჭარაული.

**ოფიციალური ოპონენტები** - პროფ. გ. ბერძულაძე, ფილოლ. მეცნ. კანდ. ნ. ცქიტიშვილი.

**წამყვანი ორგანიზაცია** - ბათუმის შ. რუსთაველის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი.

დისერტაციის დაცვა გაიმართა **1999 წლის 21 დეკემბერს.**

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ




სამეცნიერო წრეებისათვის კარგად არის ცნობილი ურთიერთთანამშრომლობა ცნობილი გერმანელი ქართველოლოგის, იენის უნივერსიტეტის პროფესორის ᲰᲐᲘᲜᲪ ᲤᲔᲜᲠᲘᲮᲘᲡᲐ და თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის გამგის, ჰუმბოლდტის პრემიის ლაურეატის, პროფესორ ᲖᲣᲠᲐᲑ ᲡᲐᲠᲯᲕᲔᲚᲐᲫᲘᲡᲐ. ამ თანამშრომლობის შედეგად შეიქმნა კაპიტალური ნაშრომი „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი", რომელიც ქართულად 1990 წელს გამოიცა, გერმანულად - 1995 წელს ჰოლანდიაში. მალე გამოვა ამ ლექსიკონის ახალი, შევსებული გამოცემა.

ახლახან გერმანიაში, ჰამბურგში, გამოიცა მეცნიერთა ახალი ნაშრომი **„ძველქართულ-გერმანული ლექსიკონი"**. წიგნის გამომცემელია ცნობილი გერმანელი ქართველოლოგი **იოსტ გიპერტი...** გამოცემა დააფინანსა ალ. ჰუმბოლდტის სახელობის ფონდმა. ამჟამად მეცნიერები მუშაობენ „ძველქართულ-გერმანული ლექსიკონის" ვრცელ ვარიანტზე.

* * *

1999 წლის 24, 27-29 დეკემბერს გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის **არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 58-ე სამეცნიერო სესია,** რომელიც მიეძღვნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორ **ივანე გიგინეიშვილს** დაბადების 90-ე წლისთავს.

სამეცნიერო სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სხვა სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებათა წარმომადგენლებმა. მოხსენებათა თემატიკა მრავალფეროვანი იყო. ხუთ სესიაზე მოსმენილი იქნა 40-მდე მოხსენება.

სამეცნიერო სესიის მასალები გამოქვეყნდა.

* * *

2000 წლის 8 იანვარს გაიმართა ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრისა და არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ერთობლივი სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა აკადემიკოს **ვარლამ თოფურიას** ხსოვნას.

სამეცნიერო სესიაზე მოსმენილი იქნა აკადემიკოს **ქ. ლომთათიძის,** პროფესორების **თ. უთურგაიძის, დ. მელიქიშვილის, გ. გოგოლაშვილის,** დოცენტების **ე. კოშორიძის, თ. ლენაძისა** და ფილოლ. მეცნ. დოქტორის **გ. შენგელიას** მოხსენებები.

* * *

2000 წლის 17 იანვარს ხალხმრავლობა იყო თბილისის ი. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის 93-ე აუდიტორიაში: აქ თავი მოიყარეს ქართველი მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა. ამ დღეს აქ გაიმართა პრეზენტაცია თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის მიერ გამოცემული ჟურნალისა **„ლიტერატურა და სხვა..."** ჟურნალის თაობაზე, მის მიზნებსა და ამოცანებზე ისაუბრა მისმა მთავარმა რედაქტორმა პროფ. **ა. გომართელმა.** ჟურნალის გამოსვლას მიესალმნენ აკადემიკოსები **რ. მეტრეველი, კ. წერეთელი, თ. გამყრელიძე,** პროფესორები **ჯ. ჭუმბურიძე, ვ. ასათიანი** (კულტურის მინისტრი), **ა. კარტოზია** (განათლების მინისტრი) და სხვა.

აზრი ერთსულოვანი იყო: ჟურნალის „ლიტერატურა და სხვა..." გამოსვლა მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენს სამეცნიერო და კულტურულ ცხოვრებაში და გზა დაულოცეს მას.

# „ჩვენ ვინა და კალამი ვინა“...

ასე წერდა მე-19 საუკუნეში დიდი ილია და ქართული ენის სიწმინდისკენ მოუწოდებდა ერს. სამწუხაროდ, 21-ე საუკუნის მიჯნაზეც მშობლიური ენის სიწმინდის საკითხი კვლავ აქტუალია. ...ვუსმენ ტელევიზორთან, ვკითხულობ „კურიერს“ „რუსთავი-2“-ის არხზე და „ხან მეცინება და ხან მეწყინება“, ასე დამახინჯებულს რომ ვხედავ ჩვენს საყვარელ ენას და მახსენდება დიდი ილიას სიტყვები: „მე ჩვენი ენის დამცირებამ გადამაწყვეტინა, ეს სტატია დამეწერა, თორემ ჩვენ ვინა და კალამი ვინა“...

დიახ, ერთავე ტელევიზორს და „ხან გვეცინება და ხან გვეწყინება“ მინისტრების, პარლამენტარებისა თუ ჟურნალისტების სტუმრებისა თუ მასპინძლების საუბარზე. მათ დამახინჯებულ მეტყველებაზე, მათ ენობრივ შეცდომებზე.

**- აბსოლუტურათ,** - ამბობს ნ. ლეკიშვილი (18.XI.99). არ ფიქრობს ენის სიწმინდეზე საქართველოს პოლიტიკასა თუ სხვა პრობლემებზე შეწუხებული კაცი.

**- დაირბა გამოსავალი,**- გვიცხადებს ხ. ალავიძე და ამას ძალიან განიცდის, მაგრამ რომ „დაირბა“ ქართული ენა, ეს ნაკლებად აწუხებს.

**- ყველაფერი ნორმალურად ფუნქციონირობს,**- ამბობს მ. ყოუშიძე, მაგრამ ვერ გავიგე- „ფუნქციონირობს“ კი ყველაფერი ნორმალურად, თუ ენის სიწმინდე დაცული არ არის?

ენის დამახინჯება არავის ეპატიება, უფრო მეტად კი ჟურნალისტებს. კარგად იციან, მათ მთელი საქართველო უსმენს (თუ შუქი იქნება), ხოლო მათ ნაწერს ნახევარი საქართველო მაინც კითხულობს.

თქვენ თუ წარმოიდგენდით, რომ „კურიერში“ ისეთ ოთხსიტყვიან წინადადებას იტყოდნენ, სადაც სამი შეცდომა იქნებოდა: **- ძაან ბევრი ფაქტები მაქ.**

ეს როგორ მოგწონთ: **- სიგნალის არგადმოცემის მიზეზი არის...** - კანდიდატურების არყოლაზეა საუბარი,- გვიხსნის დ. კიკალიშვილი; ერთ-ერთი სტუმარი ხმარობს ამ რიგის „საუკეთესო“ ფორმას - **„არშესრულებლობა“.**

...საინტერესო „ძიებებია“ მე-20 საუკუნის მიწურულს უარყოფით ფორმათა წარმოებისა...

მახინჯდება და ახალი თაობა ეჩვევა არაქართულ ქართულ ენას. რა პასუხს გაეცემთ შთამომავლობას, თუ ვ. გაგოშიძესავით ვიტყვით: **- იქ ვერ გადავა ვერანაირი ტეხნიკა** (20.XI.99). ან მ. სააკაშვილივით:

**- გაზის მაფია** (15.XI).

ან თამაზ ნადარეიშვილივით: **- პრაკტიკტურა** (25.XII).

ეს შეცდომები რუსული ენის გავლენაა, მაგრამ აღარ მოვიდა დრო, რომ თავი დავაღწიოთ ამ გავლენას?

თუ მთელი საქართველო გვიყურებს, ნინო ქადაგიძესავით არ უნდა ვთქვათ **„მეეტია დენი“,** როგორც არ უნდა ბეკტაპელეს ნათურა.

...ვერ გავიგე, როგორ უთანხმდებიან ერთმანეთს, რომელსაც რიცხვში შეთანხმების მაგივრად სრული უთანხმოებაა.

დ. კიკალიშვილი (25.XII): **რამოდენიმე საინფორმაციო რეპორტაჟებში...**

მერიის წარმომადგენელი: **- უამრავი თხოვნები...**

ან: **- ძაან ბევრი ფაქტები...**

ყოველ საღამოს ჩვენს ყურს ესმის: ე. ბერიძე - **ორივე თქვენთაგანი დამეთანხმება** (27.1.);...

ნ. ტაბატაძე: **- თუ არსებობს საუბრები... რამოდენიმე წუთის შემდეგ ჩვენ კვლავ ეთერში ვართ...**

ნ. ლაზაშვილი: **- რომელსაც ზუსტად ერთ საათში გელაპარაკებით...**

ა. გოგინაშვილი: **- საქართველოს დელეგაცია პესიმისტურ განწყობაში იყო...(19.XI.99)**

დ. ონიაშვილი: **რეალურად ვედავებით პრობლემებს (16.X).**

**- საქმე შემდეგშია, რომ...** (24.X.99) ეს ყველაფერი მრავალფეროვანი ქართული ენის დაკნინებაა.

შეიძლებოდა გამეგრძელებინა, მაგალითების ნაკლებობას არ განვიცდი, მაგრამ აქ ვწყვეტ საუბარს...

ჩვენ „რუსთავი-2“-ის საინფორმაციო გადაცემა „კურიერი“ მხოლოდ იმიტომ შევარჩიეთ, რომ ცნობილია და ყველასთვის საყვარელია. გვსურს, უნაკლოდ წარიმართოს მისი მუშაობა, ხოლო, რაც შეეხება სხვა არხებს, ნათქვამია:

„კაკას ეუბნებოდნენ და, ნიტრავ, გაიგონეო“.

**მაკა ბურდიაშვილი**
**ქ. თბილისის 187-ე**
**საშუალო სკოლის მოსწავლე**

## ლაპარაკობს სერგი გვარჯალაძე

- **სიმპატია** დავარქვათ (იმ კაცს).
- **რაშია** შენი პრობლემა.
- ეს კაცი იქნება **სათანადო მანიშნობელი.**
- მე **ვცეირივარ,** არა?
- ეს იყო **ერთჯერადი შეხვედრა?** (ქმარმა უღალატა)
- **დავაი, დავაი,** გამოუშვი!
- მე ბევრს **ვსვავ**? ახლა **სვავთ**? არ **ვსვავ**!

**2 თებერვალი, „კომუნიკატორი“, I არხი.**

## მოვუსმინოთ პატარებს

* * *

3 წლის **მარიამ ცანავამ** ყური მოჰკრა უფროსების ნათქვამს: „მზე პირს იბანს“. იგი ეკითხება ბაბუას: „რატომ იბანს მზე პირს, ჭუჭყიანი აქვს?“

* * *

**მარიამ ცანავამ** სახლის უკან აღმართულ ცემენტის კედელზე მაღლა შენიშნა ყვავილი; ეკითხება ბებიას: ვინ მიაჭედა ეს ყვავილი?

* * *

**მარიამი** (ოთხი წლისა) პირველად ჩავიდა სოფელში. ბებია თავისებურად მიეალერსა შვილიშვილს - „ჩემო პატარა მწყერჩიტა!“.

გაოცებულმა მარიამმა იკითხა - „მწყერიცა ვარ და ჩიტიც?!“

* * *

მამა ეუბნება დედას: „საარჩევნო უბანში მივდივარ ხმის მისაცემად“. დედამ სთხოვა, ბავშვიც (5 წლის **თამაზ ჯავახიშვილი**) თან წაეყვანა. თამაზმა მაგრად წაიჭირა ორივე ხელი ყელში და ყვირილი მორთო: „მე ჩემს“ ხმას არავის მივცემ!“

* * *

**თამაზ ჯავახიშვილი** დიდხანს ეხვეწა დედას, მიეცა მისთვის ცოტა ფული. გაბეზრებულმა დედამ ბოლოს ჰკითხა: „რისთვის გინდა ფული?“ თამაზმა უპასუხა: „სინათლე უნდა ვიყიდო“.

# ლინგვისტური პარადოქსები

პარადოქსი ნიშნავს უცნაურ, არაჩვეულებრივ, საკვირველ მოვლენას, არსებული კანონზომიერების, ზოგჯერ კი საღი აზრის საწინააღმდეგოსაც კი.

ენათმეცნიერთათვის ცნობილია ამა თუ იმ ენაში გაუგებრობის, შეცდომის შედეგად გაჩენილი სიტყვები, რასაც შეიძლება **ლინგვისტური პარადოქსები** ეწოდოს.

შეცდომები ხდებოდა არასწორი წაკითხვის ან არასწორი გადაწე-



რის შედეგადაც. სიტყვა **ზენიტი** წარმოშობით არაბულია. არაბულში იყო semt, რაც ასევე გადავიდა ლათინურში. მოგვიანებით m შეცდომით წაკითხულ იქნა როგორც ni, გაჩნდა senit და ამ ფორმით გავრცელდა.

ტროპიკულ ქარებს, რომლებიც პერიოდულად იცვლიან მიმართულებას (ზაფხულში ოკეანიდან ხმელეთისაკენ ქრიან, ზამთარში კი - პირიქით), **მუსონები** ეწოდება. არაბული სიტყვიდან mausin „სეზონი". ეს სიტყვა შესულია რუმინულში - muson, ფრანგულში - mouson, რუსულში - муссоны, ზოგ ენაში კი სიტყვის შუაში n გაჩნდა: ინგლისურში - monsoon, გერმანულში - munsun და ა.შ. საიდან გაჩნდა n? ეს უბრალო




შემთხვევითი შეცდომაა: n არის გადაბრუნებული u.

ზოგჯერ იქამდე მიდის საქმე, რომ ენობრივი ლაფსუსი ხელოვნებაშიც თავის კვალს ტოვებს. საყოველთაოდ ცნობილ მოსეს ქანდაკებას ერთი უცნაურობა სჭირს. მიქელანჯელომ ამ თავის ცნობილ ქმნილებაში გამოხატა დინამიზმი, შინაგანი დაძაბულობა, სიბრძნე და ამავე დროს მრისხანება. მოსე სამართლიანად არის განრისხებული, რადგან ხალხმა, რომლის გადარჩენისაც იგი ცდილობდა, სიმართლე და თავისუფლება კეთილდღეობაზე გაცვალა. უცნაურობა კი ის არის, რომ წინასწარმეტყველს თავზე ადგას პატარა რქები. ეს ბევრისათვის გაუგებარია. ვულგატური ბიბლიის ლათინური თარგმანის



ბრალია. სიტყვა cor(o)natus „ბრწყინვალე, სხივმოსილი" შეცვალა მსგავსმა სიტყვამ cornutus „რქიანი". შემდეგ კი ეს შეცდომა მიქელანჯელოს ქანდაკებაშიც აისახა.

ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების ჟურნალი

მთავარი რედაქტორი და გამომცემელი
გიორგი გოგოლაშვილი

მთავარი რედაქტორის მოადგილე
კახა გაბუნია

პასუხისმგებელი მდივანი
ჭაბუკა ქირია

დირექტორი
მირიან ხაჭვანი

კონსულტანტი
იოსებ ჭუმბურიძე

რედაქტორები:
ციცინო (ნინო) კვანტალიანი,
მარინე კოკონიშვილი,
ნანა ლოლაძე,
რამაზ ქურდაძე,
ნინო ჭუმბურიძე.

მხატვრული რედაქტორი
ირაკლი ავალიანი

მხატვარი
გია ლაშხი

რედაქციის გამგე
მაია კობიაშვილი

სარედაქციო საბჭო:
მარინე ბერიძე,
გენადი ბურჭულაძე,
ლეილა გეგუჩაძე,
ქეთევან დათუკიშვილი,
რუსუდან ლანდია,
ნანა ურთაშვილი,
მიხეილ ქურდიანი,
ლევან ღვინჯილია,
ინგა ლუტიძე,
გიორგი წიბახაშვილი,
თამაზ ხმალაძე,
ნინო ჯორბენაძე.

მორიგე რედაქტორი
ნანა ლოლაძე

რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ 12.04.99. № 4/9-88.
მისამართი:
პ. ინგოროყვას ქ. №8
ტ. 99-80-46

ინდექსი 76016

